„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ.“ – *ვაჟა*

მანმამისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი **2013 წ. მაისი * №36 * ფასი 1 ლარი**

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



გელათი, XII–XIII ს.ს.

ეკლესიიდან, რომელსაც საუნდა ზვიად გამსახურდია, უერთგულებდა?! გვ. 4

ნუთუ ისევ დიდთურქოგის ხანა გველის? გვ. 5,6

საქართველო ახალი საპრეზიდენტო მარათონის დაწყების წინ, რა გველის!

ლეილა ცომაია

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ფაქტობრივი პრეზიდენტის მეორე საპრეზიდენტო ვადა მიმდინარე წლის 5 ივნვარს ამოიწურა, იგი თვითნებური საკონსტიტუციო მანიპულაციებით ოქტომბრამდე მაინც ინარჩუნებს უმაღლეს თანამდებობრივ პოსტს. მიხეილ სააკაშვილი, საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის, ე.წ. ნაციონალური მოძრაობის ახალი საპრეზიდენტო კანდიდატისა და არც საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის დასახელებას ჩქარობს. არავინ იცის რა სასწაულთმოქმედ პოლიტიკურ დივიდენდებზე იყო გათვლილი მისი 19 აპრილის მიტინგის სენსაციური დეკლარაცია, რომ იგი და მისი გუნდი "ახალ ეროვნულ მოძრაობას ქმნიან". ამ სიტყვიერი გახეხვადებით სააკაშვილის ფსევდო-ნაციონალურმა მოძრაობამ კუდი ისე უხიაგად მოიქნია, რომ დღემდე წასაქცევ მდგომარეობაში დარჩნენ. ამასობაში, საპრეზიდენტო კანდიდატად საკუთარი თავი პირველმა უკვე წამოაყენა ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა. ვერ გეტყვით, რა პოლიტიკური მანიაა ასეთი, რომელიც ყოველგვარ და ყოველ არჩევნებზე ლეიბორისტების პრეზიდენტობას იწვევს, მიუხედავად იმ ხისტი რეალობისა, რომლის წინაშეც თავად დგებიან ბოლო რვა წლის განმავლობაში — მათი საარჩევნო შედეგები 0,1 — 0,3% შორის მერყეობს. ამგვარმა რეიტინგულმა ვარდნამ, ეს მონოლითური პარტიული ელიტა, სულ ახლახან თითქმის დაშალა, მაგრამ მთავარი ლეიბორისტი არ ეგუება შიდაპარტიულ კრიზისს და ალბათ, უკანასკნელად შერისხავს ამომრჩევლებსაც.

მაისი თითქმის იწურება და ამ დროისათვის საქართველოს მოსახლეობისათვის მხოლოდ მესამე კანდიდატია ცნობილი, არჩევნები კი ოქტომბერში მაინც უნდა ჩატარდეს!

მმართველმა კოალიციამ — "ქართული ოცნება" — საპრეზიდენტო კანდიდატად მოქმედი განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი წამოაყენა. სპეციალობით ფილოსოფოსი მარგველაშვილი ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელი

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

იყო; იგი ბურჯანაძის "დემოკრატიული განვითარების ფონდის მრჩეველთა საბჭოს" წარმოადგენდა და პოლიტიკურ დებატებში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბურჯანაძის ინტერესებსა და პოლიტიკურ შეხედულებებს ახმოვანებდა. იგი მკვეთრად გამოხატული რუსული ორიენტაციის პერსონაა.

ივანიშვილის ერთწლიანი დაუღალავი ფიცილმტკიცილი, რომ იგი არ არის "რუსული პროექტი", არამედ ევრო-ამერიკული ორიენტაციისაა, უტიფარ სიმშიშვლედ იქცა; მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენებამ საფსებით ცხადჰყო მისი რეალური პლატფორმა, ივანიშვილმა თვითლუსტრირება მოახდინა; აწ უკვე საპრეზიდენტო კანდიდატ მარგველაშვილს, ივანიშვილისაგან განსხვავებით, არასდროს დაუმალავს საკუთარი განსაკუთრებული და საყოველთაო სიმპატიები რუსეთის მიმართ და ვეჭვობ, რომ საარჩევნო პერიოდში მაინც შეეცადოს მის შეფუთვას!

ამგვარად, მმართველი კოალიციიდან საქართველოს მოსახლეობისათვის შეთავაზებულია მკვეთრად რუსული "პლათფორმის" საპრეზიდენტო კანდიდატი, რომლის გამარგვების შემთხვევაში, საქართველო უაპელაციოდ შეიცვლის ორიენტაციას რუსეთისაკენ, რომლისკენაც კოალიციის ლიდერი, შენიღბულად, ისედაც მიდრეკილი იყო!

ივანიშვილის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძის თავდაპირველად დასახელება, როგორც სჩანს, "მედასავლეთედ" მისეული შენიღბვის პოლიტიკური მანიპულაციის ნაწილს წარმოადგენდა.

პოლიტიკურ სარბიელზე მეტეორივით შემოჭრილი ბანკირი ივანიშვილი "შენიღბვების" ტექნოლოგიის ოსტატ-მანიპულატორად გვევლინება, რაც ვფიქრობთ ვერ გაზრდის მის პოლიტიკურ რეიტინგს. მითუმეტეს, როდესაც აღმოჩნდა, რომ ივანიშვილი, საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობასა თუ ტყუილებში სულაც არ ჩამორჩება საკაშვილს (გადასახადების განახევრება, ბანკის მევალეებისათვის გადასახადების გადავადება, დაბალპროცენტიანი სესხები, მაღალხელფასიანი სამუშაო ადგილების (რომ შეძლოთ ოჯახის რჩენა და ღირსეული ცხოვრებაო) შექმნა თუ სხვა).

ათწლეულების მანძილზე სოციალურად გწამებული ამომრჩევლების ხმებით გაპრემიერებული მილიარდერი, დღეს, მის სამთავრობო და საცხოვრებელ რეზიდენციასთან, ისე ჩაუქროლებს გწებილებულ და სასთწარკვეთილ ადამიანებს, თითქოს ვერც ხედავს იქ დაბანაკებულებს და არც ტელევიზიებიდან ეყურება მათი ღაღადისი, ზოგიერთმა მათგანმა თავის დაწვაც რომ სცადა.

საზოგადოებაში დღემდე არ ქრება მოლოდინი ასეული მილიონის მფლობელი ბიზნესმენის ლევან ვასაძის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენებისა, მიუხედავად იმისა, რომ თავად მან არაერთხელ უარყო მედიაში გავრცელებული ხმები. ვასაძეს, ახალგაზრდულ ასაკსა და წარმატებულ ბიზნესმენობასთან ერთად სხვა მრავალი შარმიც გააჩნია, რამაც შეიძლება მას პოლიტიკური გამარჯვებაც მოუპოვოს, თუმცა იგიც პრო-რუსული ორიენტაციისაა.

იქიდან გამომდინარე, რომ ვასაძე ვერ მოხვდა ბიძინა ივანიშვილის გუნდში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენთვის უცნობი მიზეზ-მოტივებით, ივანიშვილი კეთილგანწყობილი არ უნდა იყო ამ ახალგაზრდა წარმატებული ბიზნესმენის მიმართ. არ არის გამორიცხული, რომ ივანიშვილი ვასაძეს პოლიტიკურ კონკურენტადაც განიხილავდეს და მარგველაშვილზე მისი არჩევანი ამ ფარული შიშით ყოფილიყო მოტივირებული;

მარგველაშვილი და ვასაძე კი, გარდა ნათელ-მირთნობისა, უახლოესი მეგობრებიც არიან. უთუოდ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ივანიშვილმა გათვალა, რომ მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენებით, ვასაძის საპრეზიდენტო ამბიციებს განეიტრალებდა, რაც ასეც მოხდა, მაგრამ ივანიშვილს, როგორც ეჭვიან კაცს მეტი გარანტიები სჭირდებოდა ვასაძის მხრიდან, რომ იგი ნამდვილად არ წამოაყენებდა საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატურას. და აი, 21 მაისს ტელეკომპანია "მაესტროს" ეთერით ივანიშვილის ფავორიტმა ჟურნალისტმა ნინო ჟიჟილაშვილმა (ეს ის პირველი და იმ პერიოდისთვის ერთადერთი ჟურნალისტია, რომელსაც ივანიშვილმა, საკუთარ რეზიდენციაში ექსკლუზიური ინტერვიუს მიცემის პატივი დასდო) ვასაძესთან სატელევიზიო საუბარში საბოლოოდ და ცალსახად გამოთარკვია, რომ ვასაძე პოლიტიკურ აქტივობას არ აპირებს!

ვასაძე, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან დაახლოებული და მისი პატრონაჟის ქვეშ მყოფი პირია. ივანიშვილი კი, შეიძლება ითქვას, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მოვიდა, როგორც რუსეთის პრეზიდენტის მხარდაჭერილი ლიდერი, თუმცა ეს

მხარდაჭერა დღემდე არ არის საამაყოარაო, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ მოსალოდნელია, რომ იგი გახდეს სრულიად ღია და ქმედითიც, რაშიც მნიშვნელოვანად დიდი იქნება საქართველოს პატრიარქის როლიც.

ვასაძეს, როგორც საქართველოს პატრიარქის პატრონაჟის ქვეშ მყოფსა და მარგველაშვილის პირად მეგობარს, მმართველი კოალიციის კანდიდატის გაპრეზიდენტებით მიეცემა საკუთარი ბიზნესის გაფართოებისა და შეუზღუდავი წარმოების საშუალება საქართველოში და რუსეთშიც, რაც მას პერსპექტივაში მილიარდერად ქცევის რეალურ შანსებს გაუჩენს. ამიტომ, ლევან ვასაძეს, ამ ეტაპზე, მომავალზე ორიენტირებული ჭკუა და მოთმინება უფრო სჭირდება, ვიდრე საკუთარი მეგობრის კონკურენტად ქცევა ამ საპრეზიდენტო არჩევნებში. ვასაძე, სწორედ ამგვარი გონივრული განჭვრეტის შესაშურ უნარებს ავლენს!

მესამე საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის "ქარიზმად" შეიძლება მხოლოდ მისი ქალ-პოლიტიკოსობა იქცეს. სხვა მხრივ, ბურჯანაძე, ყოვლად გკეთრებული ლიდერია, მისი ბიოგრაფია — წარსული სახელისუფლო კარიერა — მას პოლიტიკურ კაპიტალს ვერ უქმნის, მისი ოპოზიციორობა ვერ იქცევა საკმარ ბერკეტად პოლიტიკური წარმადობისათვის. ნინო ბურჯანაძე უნდა შეეგუოს რეალობას, რომ მისი პოლიტიკური კარიერა დასრულდა ე. შევარდნაძესა და მიხეილ სააკაშვილთან ერთად და მისი პოლიტიკური რეანიმაციაც ვეღარ მოხერხდება! თუმცა, მას რჩება შესაძლებლობა იყოს მომავალი ხელისუფლების კვალიფიციური ოპონენტი და პოლიტიკაში დარჩენის შემთხვევაში, ალბათ ამ ნიშას აქტიურად გამოიყენებს კიდეც!

19 აპრილის პოლიტიკურ მასკარადზე "ნაციონალ" ლიდერებმა დაანონსეს, რომ ისინი საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატს შიდაპარტიული პრაიმერის გამოვლენით ივლისში დასახელებდნენ. ამასობაში კი, ივანიშვილის პროკურატურამ 19 აპრილის აქციის მთავარი ორგანიზატორი და "ნაციონალების" ხერხემალი (გენერალური მდივანი) ვანო მერაბიშვილი და ყოფილი მერი, ყოფილი დიპლომატი, ყოფილი გლანდაკვის მინისტრი, ხოლო ამჟამად კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი დააკავა. დაკავებულ ჭიაბერაშვილს ქუთაისის სასამართლომ 20 000 ლარიანი გირაო შეუფარდა, ხოლო ყოფილ უშიშროებისა და შსს მინისტრ ვანო მერაბიშვილს, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა განუსაზღვრა კორუფციისა და თანამდებობრივი უფლებამოსილებების გადამეტების ბრალდებით.

ზემოაღნიშნული რეპრესიული აქტით, ივანიშვილის მთავრობამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ხერხემალში გადატეხა მთავარი ოპოზიციური ძალა, რომელიც 1 ოქტომბრის პოლიტიკურმა მარცხმა ისედაც ისე დაარეტიანა, რომ მას მერე შეცდომებს-შეცდომებზე უშვებდნენ და არაგონივრულად მოქმედებდნენ. "ნაციონალების" მიუტევებელი პირველი შეცდომა იყო პრეზიდენტის განცხადება, რომ იგი გადადის ოპოზიციაში, რითაც მან საკუთარი საპრეზიდენტო პოსტი პარტიულ ორგანოსთან გააიგივა და თავი სახელმწიფოსა და ხალხის გარეთ დაიყენა, ანუ, ფაქტიურად, მან კონსტიტუციურ ლეგიტიმაციას აუკრა ხელი. ფსევდო-ნაციონალების შემდგომი ქმედებებიც აგონიაში მყოფობის ადეკვატური იყო (მიმდინარე წლის 8 თებერვალს ერთიანულ ბიბლიოთეკასთან "ნაციონალების" ფიზიკური დაპირისპირება ყოფილ პოლიტპატიმრებსა და მათი ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობასთან და სხვა).

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", 22 მაისის რეპრესიის შემდგომ, პოლიტიკური ნოკდაუნის მდგომარეობაშია და მას არ ეყოფა დრო მოსულიერებისათვის კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო კანდიდატის წამოსაყენებლად.

პოსტნაციონალურ საქართველოში კი, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი ხუთწლიანი პერიოდი ნამდვილად არ იქნება ოცწლიანი კოშმარის მსგავსი, არამედ საქართველო ნელ-ნელა დაიწყებს სვლას უკეთესი მომავლისაკენ, სადაც აღარც ფსევდო-ნაციონალები იარსებებენ და აღარც ფშუტურა ოცნებისტები.

ინტრიგან მტერ-მოყვარეთა საყურადღებოდ!

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე ყოველთვის გამოხტება ვინმე ინტრიგანი და მეტწილად ტელეფონით მიწყებს დაკითხვა-გამოკითხვებს, თუ ვინ მიფინანსებს გაზეთს (მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის უკანა გვერდზე თვალსაჩინოდ წერია, რომ გამოდის შემოწირულობებით).

განვმარტავ: გაზეთი „განმათავისუფლებელი“ არის ეროვნული მოძრაობის ერთადერთი გაზეთი, რომელიც გამოდის 2003 წლიდან და დღემდე მხოლოდ 36 ნომრის გამოცემა შევძელით, რადგან არა გვყავს სტაბილური გარანტორ-დამფინანსებელი. შემომწირველები კი არიან უზენაესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი და ჭეშმარიტი პატრიოტები ეროვნული მოძრაობიდან.

მეამაყება, რომ გაზეთის გამოსაცემად, სხვადასხვა დროს, არაერთგზისი შემოწირულობები განახორციელეს: ლატავრა ფოჩიანმა, ლია ანდღულაძემ, ნოდარ ჯალაღონიამ და სხვებმა. პირადად მე ვმუშაობ ცარიელ ენთუზიაზმზე საკუთარ სახლში, მარტო და ყოველი ნომრის გამოსაცემად სასოებით ველოდები საკმარ შემოწირულობებს, რათა ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით მაინც შევძლო გაზეთის გამოშვება.

აი, ასეთ ვითარებაში ვამზადებ და ვცემ გაზეთის ყოველ ნომერს.

ბოდიშს ვიხდი იძულებითი საჯარო განმარტებისათვის **(რედ.)**.

მერაბ კოსტავა



* * *

“მოყვასისა და ერის მსახურებად აღგვმართე და ნურც მიგვატოვებ განსაცდელში, ქრისტე მაცხოვარო!”

* * *

“იმპერიის მესვეურებმა უწყიან, რომ საქართველოში ქართული ეკლესიის ჩამოყალიბება და მათში ქართული ენის ფუნქციონირება აშკარად დაანახებს ქართველობას, თუ რა ურყევი და ორგანულია კავშირი სამშობლოს ჭეშმარიტ გაგებასა და ერთიან ერმიას შორის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ კავშირს ეკანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის. მხოლოდ ასე თუ ამოიძირკვება ქართველების შეგნებიდან ღირსების შემლახველი აზრი, რომ თითქოს საქართველოს ურუსეთოდ, ანუ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია. დიახაც, შეუძლია და, ვერც სპარსეთი და თურქეთი დააკლებს რაიმეს, თუკი საკუთარი ძალებისადმი რწმენა გამკვიდრდება ქართველთა გულებში. ამგვარი რწმენის გამკვიდრება კი სხვა ყველაფერთან ერთად ერთიანი ერმიისათვის ზრუნვით უნდა დაიწყოს.”

* * *

იმისგან დამოუკიდებლად, იქნება თუ არ იქნება გლობალური ომი, ტექნიკური გიგანტიზმის განუწყვეტელ ზრდასაც ხელეწიფება არახაკლები კატასტროფის გამოწვევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ თანამედროვე მეცნიერულ–ტექნიკური გიგანტიზმია უმთავრესი მიზეზი ატმოსფეროში ჟანგბადის განუწყვეტელი კლებისა. მეცნიერებისთვის აშკარად ცარგადაა ცნობილი ატმოსფეროს წარმოქმნის ისტორია, მისი ვულკანური წარმომავლობა. ვინაიდან ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს, ჟანგბადის განუწყვეტელ კლებას შესაძლოა ვულკანების მასიური გაღვიძება მოჰყვეს, რაც მსოფლიო ომზე არანაკლებ მსხვერპლს გამოიწვევს.

* * *

ადამიანი უნდა ჰგავდეს გადმობირქვავებისათვის ნიადაგ მზადმყოფ ჭურჭელს, მუდამ მზადმყოფს ახლისათვის ძველის დასათმობად, როგორც კი ამ ახლის ჭეშმარიტებასთან მეტ სიახლოვეს იწამებს იგი. საკუთარი მრწამსი ჭეშმარიტებას უნდა დაუქვემდებაროს მან და არა პირიქით, რათა შეეძლოს პავლე მოციქულივით თქმა: “მე–ს ნაცვლად ქრისტეა ჩემში”.

* * *

არა ცოდვების ჩადენის შიშით ამა სოფლისაგან გაქცევა და მოყვასისაგან განდგომის მცდელობა, არამედ ამა სოფლადვე მოყვასთა შორის სათნოებისა და სიყვარულის დამყარება და მე–ცნობიერების განვითარება, აი, დედამიწაზე ადამიანთა ცხოვრების ჭეშმარიტი დანიშნულება. პირველი მორალური ავტომატიზმის ცდუნებიდან მომდინარეობს, მეორე კი ჭეშმარიტი თავისუფლებისა და მორალური ფანტაზიის თანაარსია.

* * *

ქრისტიანობა გაკილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ რელიგია, რომ იგი უპირველეს ყოვლისა არის ადამიანთმსახურება, მოყვასისადმი უანგარო სიყვარული, დაუშრეტელი მორალური ფანტაზიის საფუძველი და მხოლოდ შემდეგ ღვთისმსახურება, სწორედ ამიტომ არ ანიჭებს ლესსინგი უპირატესობას, არც ერთ სხვა რელიგიას, თორემ თავად სახარებისეული მოძღვრება ისლამზე და სხვა მოძღვრებებზე მაღლა დგას არა მარტოოდენ სათნოების, ქველმოქმედების, მოყვასისათვის თავდადებისა და მორალური ფანტაზიის აპოლოგიით, არამედ იმითაც, რომ ადამიანს მონად არ მიიჩნევს იგი და მამა ღმერთის გარდა აღიარებს ძე ღმერთსა და სულიწმინდა ღმერთს, რაც ფარდია ადამიანის ღვთაებრიობის და ცნობიერების განუსაზღვრელი გრადაციის აღიარებისა.

* * *

შიში თუ გაგეკარა, პირში წყალს ჩაგიყენებს, ან მეტყველებას შენსას სიცრუისა და მლიქნელობის ჭუჭყით შებილწავს. მაღალ ლიტერატურას ვინღა დაეძებს, ნაიძულევი სიჩუმის აბს ჩაგაყლაპებს. გულში ჩამარხული სიმართლის დროული გაცხადებისათვის თვით მაცხოვარი მოუწოდებდა და სიმართლისათვის დევნილთა სამკვიდრებლად ცათა სასუფეველს მიიჩნევდა.

* * *

კულტუროსანი ხალხების ენებს, როგორც ერთდროულად ხელთუქმნელ ძეგლებს და ცოცხალ, მარად ცვალებად ორგანიზმებს, ხელოვნების მუზეუმთა ძვირფას ექსპონატებსა და ნებისმიერ ნაკრძალზე მეტად სჭირდება დაცვა. მშობლიური ენა, როგორც ერის სულიერი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრიობის გამთხატულება, ადამიანის ერთ–ერთ უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს, რომლის შელახვა არავის არ უნდა დავანებთ.

* * *

სულის უკვდავების და ღვთის რწმენის იდეა ქართველი ერის ქვაკუთხედურ იდეად უნდა იქცეს. სწორედ უკვდავ სულს, კოსმოსამდე რომ ფართოვდება და ადამიანის სხეულშიც თავსდება, ძალუძს ჭეშმარიტების ნათელში საქართველოდან მთელი მსოფლიო და სამყარო დაგვანახოს, ხოლო სამყაროს და მსოფლიოს გადმოსახედიდან – საქართველო.

* * *

იშვიათად თუ შეხვდება კაცი ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ისეთ მრავალფეროვნებას სიმღერებისას, როგორც საქართველოში. ჰარმონიის ერთიანი, მტკიცე ბალავერის მიუხედავად, თითოეული კუთხის სიმღერა თავისი ხასიათითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქართლ–კახური ჰომოფონია, სვანური კომპლექსური ჰარმონია, გურულ–იმერული პოლიფონია, მუსიკალური აზროვნების საგსებით განსხვავებული მოვლენებია.

* * *

ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ყველა დიდი მაძიებელი მიაგავს იმ ძვირფას ჭურჭელს, რომელიც ნიადაგ მზად არის დაიცარიელოს თავი ჭეშმარიტების უფრო აღზევებულ სფეროებთან საზიარებლად.

მერაბ კოსტავას

ჩანაწერებიდან

26 მაისი – საქართველოს ისტორიის სამი უმნიშვნელოვანესი თარიღი:

1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიას მენშევიკურმა მთავრობამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს ისტორიაში ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც 6 კანდიდატიდან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ.

1939 წლის 26 მაისს დაიბადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

რეპლიკა

პრემიერი, რომელსაც სურდა ზვიად გამსახურდია, უერთგულებდა?!



ჩვენ, 1994 წლის 5 იანვრიდან ანუ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ ოფიციალური ცნობის გავრცელების დროიდან, დღემდე არაერთი წერილი მივუძღვენით შეთქმულებითა და ღალატით გაჯერებულ მე-20 საუკუნის დასასრულის ამ ისტორიულ დანაშაულს. „თვითმკვლელობის“ ვერსია, რომელიც პასუხისმგებლობისაგან თავისდახსნის მიზნით გამოუძიებელ მტკიცებულებად შემოგვაჩეჩა ქართველ ერს შევარდნაძის ხუნტისტურმა რეჟიმმა, როგორც ვიცით „ემყარებოდა“ ბესარიონ გუგუშვილისა და პრეზიდენტის ორი დაცვის (რობიზონ მარგველანისა და ბაჩუკი გვანცელაძის) „ნაამბობს“. ისიც ვიცით, რომ ამ შეთითხნილი ვერსიის სანაცვლოდ, თავად ამ შეთქმულმა „ტროიკამ“ საკუთარი თავისა და ოჯახის სიცოცხლისა და უსაფრთხოების გარანტიები მიიღეს.

თავდაპირველი ვერსია კი, რომელიც ხუნტამ საზოგადოების ზონდირების მიზნით ხალხში ჭორის სახით, ჯერ კიდევ 1993 წლის 25 დეკემბერს გაავრცელა ასეთი იყო:“ზვიად გამსახურდია მოკლეს... საკუთარმა გარემოცვის წევრებმა“ , მაგრამ ამ ვერსიას დასტურ უნდა მოჰყოლოდა პრეზიდენტის მკვლელი პირების დაჭერა და დასჯა; უკანასკნელი გარემოცვა კი, როგორც მოგეხსენებათ, იმ ზემოხსენებული „ტროიკისაგან“ შედგებოდა. ამ პირვანდელი ვერსიით, ჩვენი ვარაუდით, ხუნტა (შევარდნაძე, სიგუა, იოსელიანი), გუგუშვილ-მარგველან-გვანცელაძეზე ფსიქოლოგიურ-სამართლებრივ ტერორს ისახავდა მიზნად, რის შემთხვევაშიც მათ და მათ ოჯახებსაც ხალხის რისხვაც დაატყდებოდათ თავს .

ხალხში მიზნობრივად გავრცელებული ეს ჭორი, ფაქტიურად გახლდათ გზავნილი პრეზიდენტის იმ უკანასკნელი გარემოცვისადმი, რომლებიც, შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის სპეცსამსახურების მიერ იქნენ შერჩეულნი, როგორც მათთვის ყველაზე მეტად მისაღები და საიმედო პირნი. რაც იმ დასკვნის საფუძველსაც გვაძლევს, რომ ეს სამეული (გუგუშვილ-მარგველან-გვანცელაძე) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ზუგდიდში ჩამოსვლამდეც (1993 წლის 24 სექტემბერი), საიდუმლოდ თამანშრომლობდნენ ხუნტასთან.

ამ სამეულიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რომელიც „მრგვალი მაგიდა- თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო ბლოკის შექმნიდან ჩნდება ამ ორგანიზაციის ოფისში მაჩაბლის ქუჩაზე. იკავებს იქ ოთახს კაბინეტისთვის, იდგამს კომპიუტერს და განმარტოებით იკეტება და მთელი რეების განმავლობაში დაკავებულია ქართული შრიფტებისა და საარჩევნო სიის კომპიუტერში შეტანის საქმიანობით. გვიან, სახლში წასვლამდე იგი თითქმის არ გამოდის კაბინეტიდან. დაუკითხავად, ვერც ვერავინ შედის მასთან, რადგან კარზე ჩამოუხსნელად გაკეთებული აქვს წარწერა: „ვმუშაობ, არ შემოხვიდეთ“.

ბესარიონ გუგუშვილი, როგორც ეროვნულ მოძრაობასთან ასოცირებული პირი, არ ჩნდება არც ერთ მიტინგზე, არსად ფიქსირდება ზვიად გამსახურდიას გვერდითაც კი. შესაბამისად, არც არავის გაკვირვებია, რომ იგი ვერ მოხვდა ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სიაში და არც პირვანდელ მთავრობაში, რადგან მას არ იცნობს თვით ეროვნული მოძრაობაც და არც ფართო საზოგადოებაც. მისი არსებობა და საქმიანობა არ იცის თვით „მრგვალი მაგიდის“ დამფუძნებლებმაც „მრგვალი მაგიდის“ ოფისში, იგი, არ ესწრება „მრგვალი მაგიდის“ სხდომებს, რამეთუ არ არის მათი წევრი. გუგუშვილი არ წარმოადგენს „კონტაქტ-პერსონას“.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბესარიონ გუგუშვილის არსებობა ახსენდება გადატრიალების საწყის ეტაპზე, როდესაც პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა თანამდებობიდან გადადგა. ზვიად გამსახურდია მის შემცვლელად ნიშნავს ბატონ ბესარიონს, როგორც ცნობილ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შვილს, მეცნიერს. გუგუშვილი იკავებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, თუმცა საომარ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების პირობებში იგი არ აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, არ იწვევს მთავრობის სხდომებს, არ გამოდის პრესით, ტელევიზიით, არ ჩადის რეგიონებში, არ ჩნდება უცხოელ ჟურნალისტებთან. ერთადერთი ინტერვიუ პრემიერ-მინისტრის რანგში მან მისცა სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხს 1991 წლის 20 დეკემბერს, რომელიც არაფრით იყო დასამახსოვრებელი.

შეიარაღებული გადატრიალების დაწყებისთანავე 22 დეკემბერს იგი შედის უზენაეს საბჭოში, თუმცა იმალება ე.წ. ბუნკერში შაქრის ტომრების „ბარიკადებ“ მიღმა და არ გამოდის სამალავიდან. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია კი მას აძლევს სიტყვიერ განკარგულებას დატოვოს უზენაესი საბჭოს შენობა და გადაინაცვლოს მთავრობის სასახლეში, მოიწვიოს მთავრობის სხდომა და იმოქმედოს, მაგრამ გუგუშვილი პრეზიდენტს პასხობს, რომ ეშინია და რჩება შაქრის ტომრებში ჩამალული. არ ავლენს არანაირ სურვილს იქ მაინც შეხვდეს უცხოელ ჟურნალისტებს და როგორც მეორე უმაღლესმა ხელისუფალმა გააკეთოს განცხადებები, მისცეს ინტერვიუები. იგი არც უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ენახვება, არამედ იმალება და ამიტომ სულ ხუთიოდე პირმა თუ იცის მისი იქ ყოფნის შესახებ. კუჭისაშლამდე შიშატანილ გუგუშვილი ჯანდაცვის მინისტრ მანანა ძოძუაშვილს წამდაუწუმ წნევას ასინჯინებს, რომელსაც შიშით მოცული პრემიერი, თავზე პალტოგადახურული, საბოლოოდ გაჰყავს კიდეც უზენაესი საბჭოს შენობიდან და შინ უშვებს .

გუგუშვილი თავისი ოჯახით გროზნოში ჩააკითხავს გახიზნულ პრეზიდენტს და გროზნოს ერთ-ერთ სასტუმრო „კავკაზში“ ბინავდება. იგი, არც გროზნოში მოქმედებს, როგორც დევნილი მთავრობის თავმჯდომარე, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქესავით ცხოვრობს იქ. 1993 წლის სექტემბრის დასაწყისში კი იგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით ბრუნდება საქართველოში, ჩამოდის ზუგდიდში, იწვევს უზენაესი საბჭოს სესიას და იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის საქართველოში დაბრუნების შესახებ. პრეზიდენტი 24 სექტემბერს ბრუნდება ზუგდიდში და ბესარიონ გუგუშვილი მხოლოდ ამ დღეს ჩნდება პრეზიდენტის გვერდით ზუგდიდის მრავალათასიანან მიტინგზე. ამის შემდგომ მისი საქმიანობა და არსებობაც გაურკვეველია, იგი კვლავ უჩინარდება, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირი. არსად ჩნდება, არსად ფიქსირდება, არსად საქმიანობს.

ბესარიონ გუგუშვილს, არც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაუკეთებია ოფიციალური განცხადება ქართველი ერისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, არ დაუგმია პუტჩიც.

ბესარიონ გუგუშვილი, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი, შორეულ ემიგრაციაში ფინეთშიც, დღემდე უმოქმედოდ ცხოვრობს, თუმცა პირად წერილებსა თუ ინტერვიუებში (არაოფიციალური) აცხადებს პრეტენზიას ლეგიტიმურ ხელისუფლების პირველ პირობაზე, რითაც ბლოკავს მთავრობის დანარჩენ წევრთა და თვით ეროვნული მოძრაობის აქტივობებს კანონიერი ეროვნული ხელისუფლების დამხობის სამართლებრივი შეფასებისა და აღდგენის მიმართულებით.

ბესარიონ გუგუშვილი უკანასკნელ წლებში ძალზე გააქტიურდა საზოგადოებრივი ქსელ ფაცებოოკ-ით, სადაც დაჟინებით ამტკიცებს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობას და რისხავს მკვლელობის ვერსიის წამომყენებლებს.

Facebook-ში გამოჩნდა ახალგაზრდა სტუდენტი გოგონა ირინა წერეთელი, რომელიც დაიბადა რუსეთში და ცხოვრობს ინგლისში, მაგრამ შესანიშნავად იცის ქართული ენა და დაინტერესებლია გაერკვეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდის მოვლენებში, მაგრამ ბესარიონ გუგუშვილი ცდილობს მის დეზინფორმირებასა და დეზორიენტირებას და ამ ბოროტგანზრახულ მცდელობაში იგი არ ერიდება თავისი რეალური აზრისა და დამოკიდებულების გამჟღავნებას ზვიად გამსახურდიას შეფასებაში. ასე მაგალითად: ირინა წერეთელი სიყვარულით ციტირებს ზვიად გამსახურდიას ფრაზებს, რაზეც გუგუშვილი ასე პასუხობს (იხ, ქვემოთ):

Irina Tsereteli*:*

„არ შეიძლება საკუთარი თავისა და საკუთარი ხალხის მოტყუება-ამაზე მწარე ხვედრი,ამაზე შემზარავი დანაშაული არ არსებობს!'

ზვიად გამსახურდია, მეცნიერ-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის (1973-1990) ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

ბესარიონ პაატას ძე გუგუშვილი*:*

მაგ ყველაფერს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, პარადიგმის ჩარჩოებში დაზუსტება სჭირდება... -- როცა საშუალება იქნება აგიხსნი ლამაზო პიპპი...

***სულ მოკლედ**: ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობისა და შესაბამისი პარადიგმის ჩარჩოებში -- ზვიადი უპირველეს და რაც მთავარია იყო ეროვნულ-დამამონებელი იდეოლოგიის ფუძემდებელი და ეროვნულ-დამამონებელი მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერი... -- ამასთანავე, ზვიადი არ იყო „დისიდენტი“ ამ ტერმინის საყოველთაოდ გავრცელებული გლობალისტური გაგებით... -- ზვიადი არ იყო არც პოლიტიკოსი... -- და სხვა ასეთები... -- ესაა ის, რასაც სჭირდება ამ თემასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება -- ლამაზი (უპირველეს სულიერად, და არა ლამაზმანი) და სათნო, თუმცა გულუბრყვილო, გულახდილი-გულღია და ცხოვრებით გამოუცდელი დიდი ბავშვისთვის -- პიპპისთვის...*

ეს ინტერნეტ-მიმოწერა სტუდენტ წერეთელსა და ჭარმაგ გუგუშვილს შორის ახლახან, 2013 წლის აპრილში შედგა.

2004 წლის 6 ივნისს საქ.ტელევიზია „იმედის“ გადამღები ჯგუფი სპეციალური ვიზიტისას ფინეთში გუგუშვილის ოთახის კედელზე აფიქსირებს ჯოხარ დუდაევის სურათს. ჟურნალისტის კითხვაზე, ზვიადის სურათი რატომ არ გიკიდიათო, გუგუშვილი პასუხობს „ზვიადი გულში მყავსო“. ამ პასუხის ფარისევლობა ნათლად მჟღავნდება გუგუშვილ-ღუდუშაურის (დუშეთის პრეფექტი) ერთობლივი ჩართვიდან ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას გადაცემაში (2011 წლის 13 ნოემბერი), რომელშიც გუგუშვილი ზვიად გამსახურდიას დემაგოგიურად წარმოსახავს „მაოხრებელ მკვდრად“ და ზვიადის ასეთად შექმნაში ბრალს დებს კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას (?!), როგორც „ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების დამდგენ საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს“.

ნიშანდობლივია, რომ ბატონი ბესარიონი განრისხებით ესხმის ყველას, ვინც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზ-გარემოებებს იკვლევს. ამ მოტივით, არაერთხელ გამხდარა მისი თავდასხმის სამიზნე მედეაკავშირ „ობიექტივის“ აწ უკვე ყოფილი ჟურნალისტი ირაკლი შონია, რომელსაც მისი ყველაზე რეიტინგული გადაცემა დაუხურეს! ირაკლი შონიას თქმით, სოსო ღუდუშაურმა მის გადაცემაში, ფინეთიდან ერთ-ერთ სატელეფონი ჩართვისას განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდია ხალხის კეთილდღეობისათვის არ ზრუნავდაო. სწორედ ამგვარი უსინდისო თანამოაზრეობ-თანამზრახველობის ნიშნით დანიშნა გუგუშვილმა ღუდუშაური ფინეთში „ემიგრაციული მთავრობის პრეზიდიუმის წევრად“ და ეს შეთქმული ტანდემი, აწ უკვე ზვიად გამსახურდიას პიროვნულ დისკრედიტაციასაც საერთო ძალისხმევით ეწევიან ფინეთიდან.

ასეთ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში, ვფიქრობთ, ლოგიკურად ჩნდება კითხვა:

პრემიერი, რომელსაც, თურმე, სძულდა ზვიად გამსახურდია, უერთგულებდა?!

ლეილა ცომაია

ნუთუ ისევ დიდთურქობის ხანა გვიდგას?

ბოლო დროს კვლავ აქტუალური გახდა ე. წ. თურქი მესხების საკითხი, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილად ჰკიდია.

ცოტა რამ მათ შესახებ:

XVIII საუკუნის შუა წლებშიც კი ისტორიული მესხეთის მოსახლეობა კვლავ ქრისტიანი ქართველები იყვნენ. მაჰმადიანობას ისევ და ისევ მხოლოდ ფაშას გარემოცვა აღიარებდა, რომლებიც თანამედროვე ახალციხის, ასპინძისა და ახალქალაქის მიდამოებში იყვნენ თავმოყრილნი.

შემდგომ პერიოდში ხდებოდა სხვადასხვა ოსმალო ტომების ჩამოსახლება საქართველოს ამ ძირძველ ისტორიულ მიწა-წყალზე.

ჯერ კიდევ 1919 წელს მესხეთში მცხოვრები თურქები აჯანყდნენ საქართველოს ახლადფეხადგმული დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს ომი წამოიწყეს თურქეთის საიდულო სამსახურების წაქეზებით, მომზადებითა და დახმარების მეშვეობით, რომლებსაც თურქეთის სახელმწიფო უმაგრებდა ზურგს. თურქეთის საიდუმლო სამსახურები მესხეთში მცხოვრებ თურქებს მესხეთის თურქეთთან მიერთებას ჰპირდებოდა.

საბედნიეროდ დამოუკიდებელ საქართველომ შესძლო ამ აჯანყების ჩაქრობა.

რუსეთის საბჭოთა იმპერიის შემქმნელები, რომელთაც სურდათ მჭიდრო თანამშრომლობა ქემალისტურ თურქეთთან, ამიერკავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობისათვის უპირატესობის მინიჭებას ცდილობდნენ.

შედეგად, ქემალისტური თურქეთის ზეწოლითა და სურვილით, მესხეთში თურქებმა მიიღეს კულტურული თვითმმართველობა („ავტონომია“).

1921 წლის 25 თებერვლის რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რუსმა „მასონ-ბოლშევიკებმა“ ქართველი მაჰმადიანების თურქულ ენაზე სწავლება დაიწყეს. მასწავლებლები მეზობელი აზერბაიჯანიდან ჩამოჰყავდათ. მესხეთში მცხოვრებ ძირძველ ქართველებს შეუცვალეს სახელები და გვარები და, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, საბუთებში ქართველებსაც ეროვნებად თურქი ჩაუწერეს.

რუსეთის აღრიცხვის თანახმად, XX-ე საუკუნის 30-იანი წლების შუახანებში რუსეთმა მესხეთში ჩაასახლა 28 ათასი აზერბაიჯანელი. სამაგიეროდ, უკვალოდ გაქრნენ ქართველი-მაჰმადიანები.

მაინც რამდენი ათასი ადამიანი იქნა გასახლებული 1944 წელს საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებიდან?

პოდოლსკი მთავარ არქივში, ისტორიკოს შოთა ნოზაძის მიერ მოპოვებული მასალიდან ჩანს, რომ 1944 წელს საქართველოდან გადასახლებული ყოფილა 15 568 ოჯახი, 69 869 სულით. მათ შორის:

- ***59 780 ანუ, 85,5% თურქი;***
- ***8 667, ანუ 12,4% მაჰმადიანი ქურთი;***
- ***1 462, ანუ 2,1% თარაქამი და ხემშილი (მაჰმადიანი არმენი).***

სამცხე-ჯავახეთის მხარიდან გასახლებულთა ზუსტად იგივე რაოდენობა (69 869 სული) მოყვანილია პროფესორ მაყვალა ნათმელაძის მიერ საქართველოს „პრეზიდენტის“ არქივში მოკვლეულ საბუთებში (იხილეთ მ. ნათმელაძე, „დემოგრაფიული ცვლილებები საქართველოში XX საუკუნის ორმოციან წლებში“, თბილისი, 2002 წ.).

1991 წელს გამოცემულ საბჭოთა ჟურნალ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული „დეპორტაციის მასალების“ თანდართულ ცხრილში საქართველოდან გასახლებულ ადამიანთა რაოდენობად დასახელებულია 94 955. ამავე მასალებში არის 1944 წლის 28 ნოემბრით დათარიღებული ლავრენტი ბერიას მოხსენებითი ბარათი სტალინის, მოლოტოვისა და მალენკოვის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის განკარგულებით საქართველოს საზღვრისპირა მხარეებიდან 91 095 თურქი, ხემშილი და ქურთი გაუსახლებიათ. ბერიას მოხსენებითი ბარათიდან სჩანს, რომ 1944 წლის 25-26 ნოემბერს მაჰმადიანი მოსახლეობა აჭარიდანაც გაუსახლებიათ.

ბერიას მოხსენებით ბარათში აჭარიდან გასახლებულთა რიცხვი მითითებული არ არის. პოდოლსკში ნოზაძის მიერ მოკვლეული საარქივო მასალების მიხედვით კი, ბათუმიდან გასახლებულია 165 ოჯახი:

- ***მათ შორის თურქი — 84,***
- ***ქურთი — 7,***
- ***ხემშილი (მაჰმადიანი არმენი) — 6.***

ბათუმის მხარიდან გასახლებულია 1 049 კერა, ქობულეთის რაიონიდან — 302 კერა:

- ***აქედან თურქი — 70,***
- ***ქურთი — 198,***
- ***ხემშილი — 34.***

ქედის რაიონიდან — 61 ოჯახი;

- ***აქედან თურქი — 44,***
- ***ქურთი — 12 და ხემშილი — 5.***

ხულოს რაიონიდან — 124 ოჯახი;

აქედან თურქი — 61, ქურთი — 35 და ხემშილი — 28.

დიახ, ეს სხვაობა ნამდვილად თვალშისაცემია, სხვაობა შეადგენს — 25 146-დან და სულ მცირე 21 296. ამას შეიძლება ასეთი ახსნა ჰქონდეს: თავდაცვის სამინისტროს მთავარ არქივში მოყვანილია მხოლოდ საქართველოდან გადასახლებულთა მაჰმადიანების რაოდენობა, ხოლო „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ „სტალინური გადასახლების“ მასალაში შეტანილია თურქეთთან საზღვრის მთელ მონაკვეთზე გადასახლებულთა რაოდენობა (მათ შორის სომხეთიდან და ნახჭევანიდან (აზერბაიჯანი) და მიჩნეულია, რომ ყველანი საქართველოდან იყვნენ გასახლებული. სავარაუდოა, რომ ამ „ცდომილების“ ავტორები იმ სამსახურების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც 1989 წელს ფერღანის (უზბეკეთში) სისხლიანი სასაკლაო მოაწყვეს, შემოიღეს და დაამკვიდრეს ე.წ. სიტყვა „თურქი მესხი“.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი რამ, რაზეც დღეს არავინ საუბრობს: იმ პერიოდში თურქული ტომების გასახლება მოხდა არა მარტო საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებიდან, არამედ სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. დღეს ეს ხალხი საქართველოდან გასახლებული მაჰმადიან ტომებთან ერთად ატარებს ახალ ეთნონიმს „თურქი მესხი“ და აპირებენ თავიანთ „ისტორიულ სამშობლოში“ — საქართველოში დაბრუნებას (!).

არქივებში დაცულია 1939 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის შედეგები. ამ მონაცემების მიხედვით, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 266 115 კაცი; მათ შორის:

- ***88 164 (33,13%) აზერბაიჯანელი (მაშინ თურქებიც აზერბაიჯანელებად ეწერებოდნენ) და***
- ***3 886 (1,46%) ქურთი.***

ამრიგად, მხარეში მაჰმადიანების ჯამური რიცხოვნობა 92 150 კაცს შეადგენდა. ანუ, მთელი მოსახლეობის 34,5%-ს.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებასთან ერთად რუსეთის იმპერიამ მრავალი ნაღმი აამოქმედა, მათ შორის საქართველოდან საბჭოთა კავშირის დროს 1944 წლის ნოემბრის თვეში თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებიდან გასახლებული სხვადასხვა მუსულმანი ტომები და როგორც სჩვეოდათ, შექმნეს ახალი კოლგრემერანტი „თურქი მესხი“. მუსულმანი ტომები გაასახლეს აზერბაიჯანსა და შუა აზიის რესპუბლიკებში; ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში, სადაც 1989 წლამდის ცხოვრობდნენ.

ყველას გვახსოვს, ალბათ, თუ როგორ ახსნა შანიბოვმა ფერღანაში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზი, რომელსაც 100 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა: „იზ ზა პოლთარა ქილოგრამა ქლუბნიკა!“.

მოსკოვის მიერ საქართველოს საწინააღმდეგოდ შექმნილი ტერმინი „თურქი მესხი“ საუბედუროდ დამკვიდრდა საერთაშორისო არენაზეც.

ამ ტერმინის დამკვიდრებას, აგრეთვე ხელი შეუწყო 1998 წელს ვენაში და 1999 წელს ჰააგაში, 1944 წელს გადასახლებულთა საკითხზე გამართული საერთაშორისო რჩევითმა შეკრების შედეგებმაც, როდესაც მრავალდღიანი კამათის შემდეგ ახალი ეთნონიმი „თურქი მესხი“ ერთხმად მიიღეს.

თუმცა, ამ ეთნონიმს სხვაგვარად შეხვდენ თვით გადასახლებულთა შორისაც, რადგან გადასახლებულთა შორის მაჰმადიანი ქართველების (მცირე ნაწილი) გარდა არიან ხემშილები (მაჰმადიანი სომხები), თარაქამები, თალიშები, ქურთები და სპარსული წარმოშობის ტომებიც.

გადასახლებულთა მრავალეთნიკურ შემადგენლობას ყველა ერთიანად შერაცხეს „თურქ მესხად“. ეთნიკური წარმომავლობა დაუკარგეს მაჰმადიან სომხებს, ქურთებს, ირანულ ტომებს და რაც მთავარია, მაჰმადიან ქართველებს.

როგორია დღეს დეპორტირებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი?

2004-2006 წლებში უმცირესობის საკითხთა ევროპულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა (EčMI) ყველა იმ ქვეყანაში, სადაც დღეს მესხები ცხოვრობენ. კვლევების თანახმად, მესხების საერთო რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 450-455 ათასს შეადგენდა, რაც აღემატებოდა ადრინდელი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემს. ამ საერთო რაოდენობიდან 137 000 მესხი ცხოვრობდა ყაზახეთში, 33 000 — ყირგიზეთში, 20-25 ათასი — უზბეკეთში, დაახლოებით 130 000 — აზერბაიჯანში, დაახლოებით 75 000 — რუსეთში, 9 000 — უკრაინაში და დაახლოებით 600 სული — საქართველოში. მესხთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობდა თურქეთში — დაახლოებით 35 000 სული. 2006 წლის სექტემბრის მონაცემებით დაახლოებით 10 000 მესხი კრასნოდარიდან აშშ-ში გადასახლდა.

მანამდე კი შუაზიის რესპუბლიკებში გადასახლებულები რეგისტრირებული იყვნენ სხვადასხვაგვარად, ზოგი აზერბაიჯანელად, ზოგიც თურქად და უზბეკად, რაც შეუძლებელს ხდის მათი ზუსტი რაოდენობის დადგენას.

1987 წელს გასახლებული თურქების ქართული წარმომავლობის შესახებ თავიდან ქართულ ეროვნულ მოძრაობას რუსეთის საიდუმლო სამსახურმა შემოაპარა. რამაც თავიდან თავისი ნაყოფი გამოიღო და ეროვნული მოძრაობის თავკაცებმა — ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მოლაპარაკებები დაიწყეს იმ დროისათვის გავრცელებული ცნობებით ქართული წარმოშობის მაჰმადიანებთან.

რუსეთმა გადასახლებულ თურქებს მაჰმადიანური გაერთიანება „ვათანი“- ც შეუქმნა, რომლის თავმჯდომარედ ქართველთმოძულე და თავითფეხებამდე თურქი იუსუფ სარვაროვი დაუნიშნეს, შესაბამისი მხარდაჭერითა და ფულითაც მოამარაგეს. მოგვიანებით თურქების საიდუმლო სამსახურების მცდელობით გაერთიანება „ვათანმა“ საერთაშორისო მნიშვნელობაც კი შეიძინა, რომელსაც წარმომადგენლობები აქვს მოსკოვში (რუსეთი), ანკარაში (თურქეთი), ბაქოში (აზერბაიჯანი), თბილისში და სხვაგან. ეს გაერთიანება თურქეთის და რუსეთის ფულით მარაგდება, მათივე მხარდაჭერით სარგებლობს.

ამ მოლაპარაკებების შედეგად, სულ მალე ნათელი გახდა, რომ შუა აზიაში მცხოვრები ე.წ. ქართული წარმოშობის მაჰმადიანთა უმრავლესობა, მცირე ნაწილის გამოკლებით, თავს თურქად გრძნობდა და საქართველოს მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი.

მათ თავიდან მთელი რიგი მოთხოვნებიც კი წამოაყენეს, კერძოდ:

- ***საქართველოსაგან მოითხოვდნენ ბოდიშის მოხდას გასახლებასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ ქონებრივ ანაზღაურებასაც მოიცავდა;***
- ***აუცილებლად მესხეთში უნდა ჩაესახლებინათ, თანაც კომპაქტურად;***
- ***ითხოვდნენ თვითმართველობის მიცემას („კულტურული ავტონომია“), რაც,სავარაუდოდ, შემდგომში სახელმწიფო თვითმართველობაში გადაიზრდებოდა;***
- ***სალაპარაკო ენას თურქულს მოითხოვდნენ;***

ერთ-ერთ მორიგ შეხვედრაზე მერაბ კოსტავა შეხვდა ჩამოსახლების მსურველი თურქების გაერთიანება „ვათანი“-ის თავჯდომარეს იუსუფ სარვაროვს, რომელიც თავიდან ქართული წარმოშობის ადამიანად (ვითომდა დიდებულიძე იყო გვარად) ასაღებდა თავს. მოლაპარაკებისას, მერაბ კოსტავას კითხვაზე ქართველი იყო თუ არა იგი, სარვაროვმა უპასუხა:

„ალაჰმა დამიფაროს, რომ ერთი წვეთი სისხლიც კი მერიოს ქართული“–ო.

გაწბილებულმა მერაბ კოსტავამ მოლაპარკებიდან დაბრუნებისას, თბილისში გამართულ ხალხმრავალ შეკრებაზე განაცხადა ამის შესახებ და დასძინა, რომ ამ ხალხის საქართველოში ჩამოსახლება ქვეყნის დაღუპვის ტოლფასი იქნებაო.

ამის შემდეგ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, მკაფიო უარით უპასუხა საქართველოსადმი მტრულად განწყობილ თურქებს ჩამოსახლებაზე. გამონაკლისების სახით უნდა დაბრუნებულიყვნენ ის პირები, ვინც მტრულად არ იყო განწყობილი, ქართველად მიაჩნდა თავი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლდებოდა, ცალ-ცალკე. რაც განხორციელდა კიდეც, რამდენიმე ქართული მეობის მქონე პირი დაბრუნდა იმერეთში, თავიანთ კერებითურთ („ოჯახებით“).

თუქების, 1988 წლის 28 ივლისს ყაბარდო-ბალყარეთში გამართულ ყრილობაზე სწორედ ეს საკითხი იქცა ცხარე კამათის საგნად. წარმომადგენელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თავიანთ თურქულ წარმომავლობას.

წარმომადგენლების („დელეგატების“) უმრავლესობამ აღიარა, რომ თურქი-მესხები უნდა დაბრუნდნენ საქართველოში, როგორც თურქული ეროვნების ჯგუფი, რომლებიც ქართველებისაგან განცალკევებულად განსახლდებოდნენ. ყრილობაზე გადაწყდა, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება ხელს შეუშლიდა მათ მიზნის მიღწევაში, მაშინ ისინი დასახლდებოდნენ აზერბაიჯანში.

უმრავლესობამ განაცხადა თავისი თურქებისადმი კუთვნილობის შესახებ, ხოლო ძალიან მცირე ნაწილმა აღიარა, რომ ისინი წარმოადგენენ მაჰმა-

გაგრძელება გვ. 8

ნუთუ ისევ დიდთურქობის ხანა გვიდგას?

დასაწყისი გვ. 5

დიანური აღმსარებლობის ქართველებს.

ვერც რუსეთის მიერ საქართველოს მაშინდელ „კომუნისტურ“ ხელისუფლებაზე ზეწოლით მიაღწია რუსეთმა თურქების შემოსახლებას საქართველოში, რადგან მაშინდელი საქართველოს თავკაცის ჯუმბერ პატიაშვილის („ცეკას I მდივანი“) თანხმობის მიუხედავად, ეროვნულმა მოძრაობამ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით, მაინც არ დაუშვა მტრულად განწყობილი თურქების შემოყვანა საქართველოში.

ფერღანის ტრაგედიის შემდეგ რუსეთმა შუა აზიის ქვეყნებში ჩასახლებული თურქების უსაფრთხოების საბაბით იქ მაცხოვრებელი თურქები დროებით აჰყარა და ძირითადად, საქართველოს გარშემო სხვადასხვა ქვეყნებში ჩაასახლა, კერძოდ აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, უკრაინაში და მოგვიანებით თურქეთშიც კი, ოღონდ დროებით. საქართველოზე კი ზეწოლა გააძლიერეს, როგორც რუსეთმა ასევე თურქეთმა.

ფერღანის დარბევების შემდეგ საბოლოოდ გამოვლინდა თურქი-მესხების მისწრაფება, თავი მიეკუთვნებინათ ანატოლიელი თურქებისათვის და გადასახლებულიყვნენ თურქეთში.

დევნილი თურქების ყრილობაზე, რომელიც აზერბაიჯანში გაიმართა 1989 წლის 2 სექტემბერს, წარმომადგენელთა („დელეგატთა“) 80-მა პროცენტმა სურვილი გამოთქვა თურქეთში გადასახლებაზე. *http://www.nplg.gov.ge/ic/DGL/work/AMBROSI/Polonetidan_danaxuli_sakartvelo/6/1.htm*

ამ დროისათვის მოვლენებში სულ უფრო აქტიურად ერთვება თურქეთი და მისი საიდუმლო სამსახური, მათ მრავლად მოავლინეს თავიანთი ჯაშუშები საქართველოში, ასევე დევნილ თურქებთანაც შეაგზავნეს. ამისათვის დიდძალი ფულიც გამოყო და საერთაშორისო ზეწოლაც გააძლიერა საქართველოზე.

თურქეთისათვის მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა სამხრეთ საქართველოს, მესხეთ-ჯავახეთის მიტაცების შესაძლებლობა და მათ მტაცებლის მონდომებით დაიწყეს დევნილი თურქების ჩამოსახლების ხორცშესხმა მესხეთ-ჯავახეთში.

1990 წლის სამართლიანი არჩევნების შედეგად ეროვნული ხელისუფლება მოვიდა საქართველოში, რომელიც ურყევად დადგა საქართველოს სადარაჯოზე.

თურქეთმა რამდენჯერმე მოავლინა თავისი წარმომადგენლები, რათა ეროვნული ხელისუფლება დევნილი თურქების ჩამოსახლებაზე დაეყოლიებინა, მაგრამ არც მოთაფვლამ და არც მუქარამ მათთვის სასურველი შედეგი არ გამოიღო. საქართველოს მეთაურმა ზვიად გამსახურდიამ მტკიცედ განუცხადა, რომ საქართველოს თავის მრავალათასიანი ქართველი ლტოლვილები ჰყავს დასაბინავებელი და საქართველოს სრულ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დევნილი თურქების საქართველოში ჩამოსახლების საკითხს ვერ განიხილავს.

საქართველოს 1991-92 წლეებში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, საქართველომ დაკარგა დამცავი ეროვნული ხელისუფლება და მტრებს გზა გაეხსნათ საქართველოს ასაოხრებლად.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილ თურქთა უმრავლესობა მიისწრაფვის გადასახლდეს თურქეთში, რათა „იცხოვროს თანამემამულეთა შორის“., ეს არ აწყობთ თურქეთსა და რუსეთს, რათა თავიანთი დამპყრობლური მიზნები განახორციელონ.

თურქები და რუსების შევარდნაძესთან მოლაპარაკების შედეგად, ფარულად დაიწყო დევნილი თურქების შემოყვანა საქართველოში მცირე ჯგუფების სახით. ამ გზით მათ 1 200 დევნილის შემოპარება შესძლეს საქართველოში, ხოლო შევარდნაძის გარემოცვამ გვარიანი ფული ჩაიჯიბა, როგორც პირდაპირი ქრთამის სახით, ასევე თურქების მიერ დევნილებისათვის გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისებით.

დეპორტირებული თურქების ასეთი გაჭიანურებული ჩამოსახლება არ აწყობდა თურქეთს და რუსეთს. მათ ევროკავშირის მეშვეობით გააძლიერეს ზეწოლა საქართველოზე.

1999 წელს ჰააგაში ევროკავშირის წინაშე, შევარდნაძის ბატონობისას, სულგაყიდულმა და ხელისუფლებაში მოსვლის ავადმყოფური სურვილით შეპყრობილმა მიშა სააკაშვილმა და ზურაბ ჟვანიამ ვალდებულება აიღეს რამოდენიმე ასეულათასიანი დეპორტირებული თურქების 2012 წლამდე საქართველოში ჩასახლების შესახებ, რაც ამ ნაძირალების საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი წინაპირობაც იყო.

დევნილი თურქების ჩამოსახლებისათვის თურქეთის მიერ შესანიღბავად, ევროკავშირის გავლით უკვე 100 მილიონი ევროა გამოყოფილი.

თურქების შემოსახლებას, თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ მალე ნათელი გახდა ჯავახეთში და საქართველოს სამხრეთში მცხოვრები არმენები, ასევე მათ ზურგს უკან მდგომი არმენია არ დაუშვებდნენ დეპორტირებული თურქების ჩასახლებას მესხეთში და განსაკუთრებით ჯავახეთში. არმენებს დიდი ხანია საქართველოს სამხრეთი, შავ ზღვამდე თავის საკუთრებად მიაჩნიათ.

არმენებმა აამუშავეს თავიანთი კავშირები მსოფლიოში და მრავალმილიონიანი ფულადი სახსრები. რამდენიმე მილიონიანი არმენული დასაყრდენი ამერიკაში, მათი ფული და კავშირები. არმენებმა მოახერხეს და ამერიკის ხელისუფლებამ მიიღო თურქების ერთი ნაწილის (იმ თურქების, რომლებიც თავს ჯავახეთიდან გასახლებულად მიიჩნევდა და შესაბამისად ჯავახეთში მოითხოვდა ჩასახლებას) ამერიკაში ჩასახლების შესახებ. ამ ჩასახლების ხარჯებს არმენები იხდიან. კრასნოდარიდან 25 000 -მდე დევნილი თურქი ფილადელფიაში (ამერიკაში) გადაიყვანეს.

ახლა კი ჩვენს მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ;

როგორც ვიცით, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებით გზით მობრუნებულმა შევარდნაძემ ქვეყანას თავს მოახვია უამრავი უკეთურობა, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას. არსულებდა და ასრულებს რა, საქართველოს მიმართ მტრული ძალების დაკვეთებს, ერთ-ერთი მათგანია 1999 წელს ევროსაბჭოში აღებული ვალდებულება ე. წ. თურქი მესხების საქართველოში რეპატრიაციის შესახებ.

ეს საქმე წარმატებით განაგრძეს შევარდნაძის მემკვიდრეებამ, რომლებიც 2003 წლიდან „მართავენ“ საქართველოს.

2007 წლის 11 ივლისს კი საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან იძულებით გადასახლებულთა რეპატრიაციის შესახებ კანონს. ამავე დღით თარიღდება საქართველოს „პრეზიდენტის“ მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი „საქართველოს კანონი „ ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრკ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“.

მიუხედავად ამ კანონის მთელი რიგი უარყოფითი მხარეებისა, კანონში მაინც არის ზოგიერთი მუხლი, რომელიც განსაზღვრავს თუ ვის უნდა მიენიჭოს რეპატრიანტის წოდება და შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა.

კანონის მესამე მუხლის თანახმად „განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირები

1. ამ კანონით დადგენილი წესით რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამისი განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირები არიან: იძულებით გადასახლებული პირი და მისი პირდაპირი შთამომავალი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მეუღლეებს და არასრულწლოვან შვილებს ამ კანონით დადგენილი წესით რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამისი განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადის წარდგენისა და მათთვის თანხმობის მიცემის შემთხვევაში.“

მუხლი 7. რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთა რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადების განხილვის დამატებითი პროცედურები

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

2. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის მიზნით შეიძლება დადგინდეს გასაუბრების პროცედურა, აგრეთვე სხვადასხვა სახის ტესტირების გავლის აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია პირის სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხთან.

3. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება ქართული ენის ცოდნას.

როგორც კანონიდან ვგებულობთ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებისას „უპირატესობა ენიჭება ქართული ენის ცოდნას“, მხოლოდ „უპირატესობა“, არა და სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნად, რადგან დასავლეთის ქვეყნების კანონები ქვეყანაში ცხოვრების უფლების ნებართვისას, თუ მოქალაქეობის მინიჭებისას, უპირველეს მოთხოვნად აყენებენ ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნას.

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩეული ხელისუფლება კი შეუდგა ამ კანონის გამარტივებას და „თურქი მესხების“ საქართველოში დაბრუნების დაჩქარების პროცესს, რაც არა ერთხელ განაცხადეს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებების ხელმძღვანელებმა.

საქართველოს პრემიერ–მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ახალი ხელისუფლება თურქი- მესხების საქართველოში დაბრუნების პროცესს მაქსიმალურად დააჩქარებს. მისი თქმით, რეპატრიანტის სტატუსი თითქმის 800-ზე მეტმა თურქმა-მესხმა მიიღო. „ჩემს შეხვედრებში და გუშინაც, მინიონთან შეხვედრისას, ყოველთვის ხაზს ვუსვამდი ჩვენს ვალდებულებებს ევროსაბჭოს წინაშე. იმასაც შეგახსენებთ, რომ 27 მარტს ახალმა ხელისუფლებამ თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ახალი დადგენილება მიიღო და ჩვენ ამ პროცესების მაქსიმალურ დაჩქარებას ვაპირებთ. ვისაც ექნება სურვილი და ობიექტური საფუძველი, ყველას ექნება საშუალება, უახლოეს ორ წელიწადში საქართველოს მოქალაქეობა მიიღოს „, – განაცხადა პრემიერ– მინისტრმა და აღნიშნა, რომ საქართველო აუცილებლად შეასრულებს ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებას.

ეს იმ დროს, როდესაც ქვეყანაში 300000 ათასამდე ადამიანია საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრილი და იძულებით გადაადგილებული, ეს იმ დროს როდესაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისის გამო ქვეყნიდან გასულია 2 მილიონამდე ადამიანი.

რა მოყვება „თურქი მესხების“ ჩამოსახლებას საქართველოში? ამაზე ფიქრით დღეს თავს არ იწუხებს საქართველოს ხელისუფლება. მაშინ, როდესაც „თურქი მესხები“ არ მალავენ თავინათ მიზნებსა და გეგმებს. მათი მიზანია მესხეთ-ჯავახეთის ვილაიეთის შექმნა და მისი თურქეთთან მიერთება.

მსოფლიო პრაქტიკაში გვაქვს ამის მაგალითი კვიპროსის სახით: ევროპის საბჭოს წევრმა, 1959 წლის ციურიხ-ლონდონის შეთანხმებით კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ერთიანობის ერთ-ერთმა გარანტმა სახელმწიფომ — თურქეთის რესპუბლიკამ — 1974 წელს თურქული უმცირესობის უფლებების დაცვის საბაბით განახორციელა ინტერვენცია ევროპის საბჭოს წევრ კვიპროსის რესპუბლიკაში, დაიკავა მისი ტერიტორიის 36%, სადაც 1983 წლიდან მოქმედებს სეპარატისტული ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელთანაც იმავე ევროპის საბჭოს წევრ თურქეთის რესპუბლიკას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა. მიუთითებს თუ არა ეს ფაქტი იმაზე, რომ ევროპის საბჭოს წევრობა არ ნიშნავს წევრი სახელმწიფოსათვის მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას ევროპის საბჭოს წევრი სხვა სახელმწიფოს მხრიდან?

„თურქი მესხების“ საქართველოში რეპატრიაციის საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ რომაა მიმართული, ამის მიხვედრას დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა. მათი გასახლება მოხდა საბჭოთა კავშირის დროს. რუსეთის ფედერაციამ თავის თავზე აიღო საბჭოთა კავშირის სამართლებრივი მემკვიდრეობა, აქედან გამომდინარე საქართველო არ არის ვალდებული პასუხი აგოს სსრკ-ს მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებზე.

საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ რუს სამხედროებთან შეხვედრისას ამომწურავად გასცა პასუხი „თურქი მესხების“ შესახებ დასმულ კითხვას. რუსეთის ფერედრაციამ უარყო ვოლგისპირელი გერმანელების პრობლემა და უარი განაცხადა გერმანელთა ავტონომიის აღდგენაზე.

ცნობისათვის:

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას პოლონეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, რუსეთს, სომხეთს არ დააკისრა ამ ქვეყნებიდან 1944-1945 წლებში დეპორტირებული მოსახლეობის — გერმანელების, უნგრელების, თურქების რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის ვალდებულება.

მაშ, რა ხდება საქართველოსთან მიმართებაში? როგორ მოხდა ამ ვალდებულების აღება?

იყო ეს ქართული მხარის საკუთარი ინიციატივა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ულტიმატუმი?

და თუ ეს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ნება-სურვილით მოხდა, მაშინ საქართველოს მოსახლეობამ პასუხი უნდა მოთხოვოს ამ ღალატისა და მტრობის ინიციატორებს!

ალექსანდრე სანდუხაძე

(სტატიის წყარო — ინტერნეტ სივრცეში არსებული მასალები)

ეროვნული ისტორია

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც 1992 წელს ღიად შევიდნენ ე. წ. სახელმწიფო საბჭოში:

რომან გოცირიძე
ელდარ შენგელაია
პაატა კოღუაშვილი
აკაკი ბობოხიძე
დავით ბერძენიშვილი
თამაზ დიასამიძე
რუსლან ღონღაძე
თედო პაატაშვილი
დავით კუპრეიშვილი
ირაკლი მელაშვილი

იყვნენ დეპუტატები, რომლებიც მალულად თანამშრომლობდნენ ხუნტის სახელმწიფო საბჭოსთან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის ნოემბრიდან დესტრუქციული ძალები აწყობენ სხვადასხვა სახის მადესტაბილიზირებელ, ტერორისტულ აქტებს. რაც მიმართულია მრავალპარტიული, დემოკრატიული წესით არჩეული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ძალადობით დამხობისაკენ. კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ე. წ. ოპოზიციური ძალების მოქმედებებმა ვითარება განსაკუთრებით დაძაბა 1991 წლის 4–5 ოქტომბერს, ხოლო 1991 წლის 22 დეკემბრიდან საქართველოში მიმდინარეობს სახელმწიფო გადატრიალების შეიარაღებული მცდელობა.

ასეთ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთხელ მოუწოდა დეპუტატებს, რათა გამოცხადებულიყვნენ უზენაეს საბჭოში და აღესრულებინათ თავიანთი სადეპუტატო, მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი. დეპუტატთა ერთი ნაწილი, არც ერთხელ არ გამოცხადებულა სამუშაო ადგილზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი მონაწილეობს, ან ხელს უწყობს და ცდილობს გაამართლოს პუტჩისტთა ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი ქმედება.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე–6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ვინაიდან დეპუტატთა ნაწილი პრაქტიკულად არ მონაწილეობს უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, უფლებამოსილება შეუჩერდეთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქვემოთ ჩამოთვლილ წევრებს:

	მანდატის ნომერი
რომან გოცირიძეს	**№5**
ნოდარ ნათაძეს	**№9**
ელდარ შენგელაიას	**№21**
გელა ჩორგოლაშვილს	**№23**
პაატა კოღუაშვილს	**№38**
გივი ლობჟანიძეს	**№58**
მერაბ ბალარჯიშვილს	**№60**
დავით არევაძეს	**№63**
გივი ურიადმყოფელს	**№64**
მალხაზ დვალიშვილს	**№69**
ანზორ საკანდელიძეს	**№73**
ავთანდილ იმნაძეს	**№74**
ბეჟან აბესაძეს	**№75**
აკაკი ბობოხიძეს	**№80**
ანზორ სიჭინავას	**№95**
გია სუბელიანს	**№109**
დავით ბერძენიშვილს	**№112**
თამაზ დიასამიძეს	**№113**
ნოშრევან მუმლაძეს	**№120**
ვაჟა ადამიას	**№122**
რუსლან ღონღაძეს	**№127**
თედო პაატაშვილს	**№129**
დავით კუპრეიშვილს	**№134**
თენგიზ დიხამინჯიას	**№137**
მერაბ ურიდიას	**№138**
ირაკლი მელაშვილს	**№145**
მალხაზ კვანჭილაშვილს	**№151**
ხვედრი ინასარიძეს	**№159**
სალომე ზვიადაძეს	**№174**
გელა კობერიძეს	**№176**
თამაზ ობგაძეს	**№177**
ეთერ ყაველაშვილს	**№178**
ავთანდილ პოპიაშვილს	**№182**
ანზორ კუდბას	**№183**
ნუგზარ კვაჭაძეს	**№184**
მაია ნათაძეს	**№187**

2. საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას შეისწავლოს უზენაესი საბჭოს ზემო აღნიშნულ წევრთა მოქმედება და საქმიანობა.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ერთი თვის ვადაში მოამზადოს უზენაესი საბჭოს სხდომისათვის ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დადგენილების ძალაში მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე
ნემო ბურჭულაძე

ქ. თბილისი,
30 დეკემბერი 1991 წელი
გაზეთი „ქუთაისი“, №2 (17451), 1992 წ. 2 იანვარი.

ეინშტაინი



ერთხელ ერთმა ჭკვიანმა პროფესორმა უნივერსიტეტში სტუდენტებს საინტერესო კითხვა დაუსვა.

პროფესორი: ღმერთი კეთილია?

სტუდენტი: რა თქმა უნდა!

პროფესორი: ეშმაკი კეთილია?

სტუდენტი: არა!

პროფესორი: სიმართლე მითხარით, დედამიწაზე არსებობს ბოროტება?

სტუდენტი: დიახ.

პროფესორი: სატანა ყველგანაა, არა? და ღმერთმა ყველაფერი სწორად შექმნა, ჰო?

სტუდენტი: დიახ.

პროფესორი: ქვეყნად არის ბოროტება, ქედმაღლობა, დაავადებები, უსამართლობა, შიმშილობა? ეს ასე არ არის?

სტუდენტი: დიახ, სერ.

პროფესორი: და ვინ შექმნა ის?

სტუდენტი:...

პროფესორი: მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანს აქვს 5 მგრძნობელობითი ორგანო, რათა შეიცნოს სამყარო. მითხარი, შვილო, როდესმე გინახავთ ღმერთი?

სტუდენტი: არა, სერ.

პროფესორი: ოდესმე ღვთის სიტყვები გაგიგონია?

სტუდენტი: არა, სერ.

პროფესორი: ოდესმე შეხებიხარ, გაგისინჯავს მისი გემო ან მისი სუნი შეგიგრძვნია?

სტუდენტი: ვშიშობ არა, სერ.

პროფესორი: ამ არგუმენტებზე დაყრდნობით შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ღმერთი არ არსებობს. გაქვს რაიმე ამათ საწინააღმდეგოდ?

სტუდენტი: არა, სერ. მე უბრალოდ რწმენა გამაჩნია.

პროფესორი: აი, ზუსტად რწმენაა მეცნიერების მთავარი პრობლემა.

სტუდენტი: პროფესორო სიცივე არსებობს?

პროფესორი: რა კითხვაა? რა თქმა უნდა არსებობს. შენ რა სიცივე არასოდეს გიგრძვნია? (ახალგაზრდის კითხვაზე სტუდენტებმა გულიანად გაიცინიეს)

სტუდენტი: სერ, სინამდვილეში სიცივე არ არსებობს. ფიზიკის კანონების თანახმად, სიცივეს მივიჩნევთ იმ მომენტად, როდესაც რეალურად სითბო არ არსებობს. აბსოლუტური 0 — ეს არის სითბოს არ არსებობა. მთლიანად მატერია ხდება ინერტული და რეაგირების უნარს მოკლებული ამ ტემპერატურაზე. სიცივე არ არსებობს. ჩვენ შევქმენით ეს სიტყვა, რათა აღგვეწერა, თუ რას ვგრძნობთ სითბოს არ არსებობისას. (აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოვარდა)

სტუდენტი: პროფესორო სიბნელე არსებობს?

პროფესორი: რა თქმა უნდა არსებოს.რა არის ღამე თუ არა სიბნელე?

სტუდენტი: თქვენ ისევ არასწორი ხართ, სერ. სიბნელეც არ არსებობს. სიბნელე — ეს ის მომენტია, როდესაც სინათლე რეალურად არ არის. ჩვენ შეგვიძლია სინათლე შევისწავლოთ, მაგრამ არა სიბნელე. ჩვენ შეგვიძლია ნიუტონის პრიზმა გამოვიყენოთ, რათა დავშალოთ თეთრი სინათლე მრავალნაირ ფერად და შევისწავლოთ თითოეული ფერის ტალღის განსხვავებული სიგრძე. თქვენ არ შეგიძლიათ გაზომოთ სიბნელე. სინათლის უბრალო სხივებს შეუძლიათ ჩაბნელებული დედამიწის განათება. როგორ შეგიძლიათ გაიგოთ რამდენად ბნელია ესა თუ ის სივრცე? თქვენ წარმოდგენილი ფერების რაოდენობას ზომავთ. ასე არ არის? სიბნელე ეს არის ტერმინი, რომელსაც ვიყენებთ იმ მოვლენის აღსაწერად, რომელიც სინათლის არ ყოფნისას იქმნება. პროფესორო მითხარით არსებობს ბოროტება?

პროფესორი: რა თქმა უნდა არსებოს. ჩვენ მას ყოველდღე ვხედავთ და ვხვდებით. რა, ასე არ არის?!

სტუდენტი: არა, სერ, ბოროტება არ არსებობს. ღმერთს არ შეუქმნია ის. ბოროტება არის ღმერთის არარსებობა. ის ჰგავს სიბნელესა და სიცივეს. ეს არის სიტყვა, შექმნილი ადამიანის მიერ ღმერთის არარსებობის აღსაწერად. ბოროტება არ არის რწმენა და სიყვარული, რომლებიც არსებობენ ისევე, როგორც სინათლე და სითბო. ბოროტება ეს არის ადამიანის გულში ღვთაებრივი სიყვარულის არქონის შედეგი. ეს არის მსგავსად სიცივისა, რომელიც დგება მაშინ, როცა არ არის სითბო ან მსგავსად სიბნელისა, რომელიც დგება მაშინ, როცა არ არის სინათლე. თქვენს მეცნიერულ თეორიებში გაჩნდა სერიოზული ბზარები.

პროფესორი: რისი თქმა გინდათ ახალგაზრდავ?

სტუდენტი: პროფესორო, თქვენ სტუდენტებს ასწავლით იმას, რომ ისინი მაიმუნებიდან წარმოიშვნენ. თქვენ ევოლუციის პროცესი საკუთარი თვალით იხილეთ? (პროფესორმა ღიმილით თავი გააქნია)

სტუდენტი: ეს პროცესი არავის უნახავს. ასე რომ, თქვენ მღვდელი გამოდიხართ და არა მეცნიერი. (აუდიტორია «სიცილით აფეთქდა»)

სტუდენტი: ახლა კი მითხარით, არის აქ ვინმე ისეთი ვისაც პროფესორის ტვინი უნახავს? მოუსმენია მისთვის, გემო გაუსინჯავს ან შეხებია მას? (აუდიტორია სიცილს აგრძელებდა)

სტუდენტი: როგორც ჩანს არავის. ამ სამეცნიერო ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესორს ტვინი არ გააჩნია. თქვენდამი დიდი პატივისცემით გეუბნებით პროფესორო, როგორ შეიძლება თქვენს ლექციებს დავუჯეროთ? (აუდიტორიაში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა)

პროფესორი: ვფიქრობ, თქვენ ვალდებული ხართ ჩემი სიტყვების ირწმუნოთ.

სტუდენტი: აი, ზუსტად! ადამიანსა და ღმერთს შორის არის ერთადერთი კავშირი — რწმენა!

პროფესორი ჩაფიქრებული და ამავდროულად აფორიაქებული სკამზე დაჯდა.

ეს სტუდენტი **ალბერტ აინშტაინი** იყო.

ლუსტრაციის შესახებ ქართულ საზოგადოებაში

წერილი პირველი

*პუბლიკაცია ორ წერილად პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „მერიდიანი 44“ (31 იანვარი – 7 თებერვალი, 7 – 14 თებერვალი 2001 წელი, N 4, N 5). გაზეთში მუქი შრიფტით გამოყოფილი ადგილები რედაქციისეულია. პუბლიკაციას ჰქონდა დიდი გამოხმაურება, რადგან ლუსტრაციის საკითხის ამგვარი დაყენება აქამდე არ ყოფილა. წინამდებარე ტექსტი ქვეყნდება შესწორებებითა და ამოკლებული ადგილების აღდგენით.

არასწორია ლუსტრაციის პრობლემაზე ყველაფრისაგან მოწყვეტით, მხოლოდ კონიუნქტურასთან მიმართებაში მსჯელობა და ისე წარმოდგენა, რომ ლუსტრირების პროცედურა ქართველთა შორის ზნეობრივ საკითხს გადაჭრის. ეს პრობლემა არ თავსდება ნორმატიული ეთიკის ფარგლებში და სცილდება არსებულ კონიუნქტურას.

ლუსტრაციის საკითხი უკავშირდება ისტორიას, საერთაშორისო სამართალს, რელიგიას და ზნეობრივ პრობლემატიკას. ლუსტრირება არ არის მხოლოდ გამოვლენა საბჭოთა პერიოდის ინფორმატორებისა და დამსმენებისა, არამედ ის ნიშნავს, რომ ჩვენ სამსჯავროზე გამოგვაქვს ისტორიული ხდომილებანი, მაგრამ რამდენად ვართ ჩვენ ზნეობრივად უფლებამოსილნი იმისათვის, რომ განვსაჯოთ? ლუსტრაციის საკითხის ასპექტები ასეთია:

ა) საკითხი, როგორც ფილოსოფიური და რელიგიური;

ბ) – როგორც ისტორიული;

ც) – როგორც ზნეობრივი

განვიხილოთ ის ამ თანმიმდევრობით:

ა) დღეისათვის პოსტსაბჭოთა ადამიანი დგას დიდ გზაგასაყარზე. მისთვის აზროვნების დაწყება ნიშნავს არჩევანს რევოლუციონიზმსა და რევოლუციამდელ ეპოქას შორის. ლაპარაკი დემოკრატიაზე არ წყვეტს არჩევნის სიძნელეს. არჩევანი ეხება არა მხოლოდ ბოლშევიკურ რევოლუციას და მის მიერ უარყოფილ მონარქიას, არამედ რევოლუციონიზმის იდეას, რომელიც დიდი ფრანგული რევოლუციიდან მომდინარეობს, და საეკლესიო იდეას, რაც საზოგადოების მონარქიულ – არისტოკრატიულ მოწყობას გულისხმობს. არჩევანი ეხება მომავალს, რომელიც სულაც არაა ისეთი, როგორადაც მას წარმოაჩენენ. ის, რომ პოსტსაბჭოთა საზოგადოება ეკლესიაზე მითითებით ქმნის არჩევანის დასრულებულობის მოჩვენებითობას, ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას მომავალი არსებული სინამდვილის სრულ შესატყვისად მიაჩნია.

ადამიანი პოლიტიკური არსებაა და მან უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება ძალაუფლებისადმი, არა ხელისუფლებისადმი, რომელიც დემოსის მიერ იქნა არჩეული, არამედ ძალაუფლების იდეისადმი. პოსტსაბჭოთა ადამიანმა უნდა გაარკვიოს, რა აქვს მას მხედველობაში, როცა ერთდროულად ეყრდნობა ლიბერალურ დემოკრატიას და ეკლესიას. ეს ნიშნავს, რომ მას დემოკრატიული თანასწორობის პრინციპი გამოჰყავს ადამიანის უფლებებიდან, ბუნებრივი უფლებიდან, რაც განმანათლებლური ფილოსოფიის მაგისტრალური დებულება და ევროპეისტული რევოლუციონიზმის გულია. ამავე დროს იგი მიუთითებს სახარებაზე. ამგვარად, პოსტსაბჭოთა ადამიანი ერთიანობაში მოიაზრებს ლიბერალურ დემოკრატიასა და ეკლესიას, მაგრამ ასეთი ხერხით არჩევანი – ან რევოლუციონიზმი, ან რევოლუციამდელი ეპოქა, არ გადაწყვეტილა. რა უფლებით ახდენს პოსტსაბჭოთა ადამიანი განმანათლებლური თანასწორობის იდეისა და სახარებისეული თანასწორობის იდეის სინთეზირებას? ეგალიტარიზმისა და ქრისტიანული თანასწორობის იდეის გაერთიანებით პოსტსაბჭოთა ადამიანი ცდილობს არსებული ძალაუფლების ლეგიტიმაციას. არჩევანი რევოლუციონიზმსა და რევოლუციამდელ ეპოქას შორის გულისხმობს ადამიანის დამოკიდებულებას ღმერთის პრობლემის მიმართ. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა შევეხოთ ნიცშეს თეზისს – ღმერთი მოკვდა. ეს ნიშნავს, რომ სამყარო, ადამიანის საცხოვრისი ღმერთს მოკლებულია. პოსტსაბჭოთა აზროვნებამ, იმის გამო, რომ ათეიზმი უზნეობად მიიჩნია, მოახდინა ამ აზრის ყოველმხრივი უგულებელყოფა, მაგრამ ფილოსოფემა — ღმერთი მოკვდა, არაა ათეიზმის დასტური, როგორც ამას რელიგიური რეზონერები ამტკიცებენ. ათეისტური აზრი ღმერთის არსებობის გამომრიცხველია, როგორც ეს არის მარქსიზმში. სულ სხვაა ის აზრი, რომ ღმერთი მოკვდა. ამით მისი არსებობა კი არ უარიყოფა, არამედ ითქმის ის, რომ ის იყო სამყაროში. შემდგომ სამყარო რადიკალურად გარდაიქმნა და გახდა ისეთი, რომ ღმერთის ყოფნა მასში შეუძლებელი გახდა. ღმერთმა ვეღარ გაუძლო ასეთ სამყაროს და ის მოკვდა. პოსტსაბჭოთა ადამიანი კი ცდილობს შეარიგოს შეურიგებელნი, როცა ეგალიტარიზმს სახარებისეული თანასწორობის იდეის გაგრძელებად მიიჩნევს და ამით ახდენს გაუმართლებელი ძალაუფლების გამართლებას. არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სინამდვილე, არამედ მთლიანად ქრისტიანული სამყაროს სინამდვილე გაუმართლებელია. ადამიანი სამყაროს ცენტრში დგას, მაგრამ მას აღარ ძალუძს იყოს ღირებულებათა მაკონსტიტუირებელი. ნიჰილიზმი, რომლის არსებობა საბჭოთა ათეიზმს ბრალდებოდა, ვერ დაიძლია ეკლესიაზე მითითებით. ადამიანის არნახულ გაყალბებას და სიცოცხლის პაროდირებას აქვს ყველგან მეუფება. ეპოქის თავისებურება ის არის, რომ მსოფლიო გონი დღეს შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ როგორც დიდი შურისმაძიებელი, უარმყოფელი და იავარმქმნელი ყოველივე იმისა, რასაც ადამიანი აფუძნებს და სინთეზირებული თანასწორობის იდეით ამართლებს.

ლუსტრაციის საკითხის დასმა გულისხმობს იმას, რომ პოსტსაბჭოთა ადამიანი დემოკრატიას მიიჩნევს იმ კრიტერიუმად, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდება საბჭოთა ათეიზმისა და ბოლშევიკური ტერორის გმობა. ე. ი. იქმნება ზნეობის პრობლემის სრულად გადაწყვეტის მოჩვენებითობა, მაშინ როცა საკითხიც არ დაყენებულა სწორად მის გამო. საკითხის დაყენების მიზანი არის ბოლშევიზმის მიმართ უაპელაციო მსჯავრის გამოტანა. ასე ხდება იგნორირება მთელი რიგი ვითარებებისა, რაზეც ზემოთ აღვნიშნე.

ბ) განსახილველი საკითხის ისტორიული ასპექტი ისეთია, რომ შეუძლებელია თავიდანვე არ აღინიშნოს უახლოესი წარსულის გაყალბების ტენდენციაზე პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ხდება ტერმინ „ტოტალიტარიზმით“ მანიპულირება და ითქმის, რომ ბოლშევიზმი, ისევე როგორც ფაშიზმი, არის ტოტალიტარული სისტემა. კატეგორიულად მოითხოვენ ბოლშევიზმს მოუწყონ ნიურნბერგის პროცესი. ამაზე ლაპარაკობენ 1989-90 წლებიდან. ვის აქვს ზნეობრივი უფლება, რომ ბოლშევიზმს სასამართლო პროცესი მოუწყოს? შეუძლია დასავლურ სოციალ-დემოკრატიას მარქსიზმ-ლენინიზმის გამართლება? იყო პერიოდი, როცა ადამიანს არ ჰქონდა არჩევანი. ის უნდა მიმხრობოდა ან ნაციონალ-სოციალიზმს, ან კომუნიზმს. დღეისათვის ადვილია მენტორობა. აღინიშნება ხოლმე, რომ იდეოლოგია არის ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი. აქ ისევ ბოლშევიზმი და ფაშიზმი იგულისხმება. ითქმის, რომ იდეოლოგია უტოპიური, ცრუ მეცნიერებაა, რომ ფაშიზმისა და ბოლშევიზმის ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ კრახი განიცადა და ეს მიუთითებს მის უტოპიურობაზე.

მონარქია გაცილებით ტოტალიტარული საზოგადოებაა, ვიდრე სოციალისტური და ნაცისტური საზოგადოებანი. მონარქიზმი ღმერთის ავტორიტეტითაა სანქცირებული და ძალაუფლების ლეგიტიმაციის საკითხი აქ ამომწურავად გადაჭრილია. კომუნისტური იდეოლოგია თვითონ ადგენს ღირებულებებს და ადამიანს მოუწოდებს მათი დაცვისათვის იბრძოლოს. ის ღმერთმებრძოლი და ეკლესიის მდევნელია. ნაციზმი ბოლშევიზმისაგან განსხვავებით ძალაუფლების ლეგიტიმაციის პრობლემას წყვეტს ოკულტური ძალებისადმი აპელაციით. ნაციზმი ევროპულ ეკლესიებს მტრულად უცქერდა, მაგრამ ისეთი ათეისტური ომი, როგორიც იყო საბჭოეთში, ნაცისტურ იმპერიაში არ ყოფილა. ნაციზმს ათეისტური ძალზე ძნელად შეიძლება ეწოდოს. მას ბევრი რამ ჰქონდა აღებული ნიცშეს მოძღვრებიდან. დღეს დემოკრატები აღნიშნავენ, რომ ნაცისტურ და ბოლშევიკურ ტოტალიტარულ სახელმწიფო მანქანაში ადამიანი ჭანჭიკად იყო ქცეული და სულიერებას იყო მოკლებული. სულიერებაში დემოკრატები გულისხმობენ ეკლესიას. თვით ნაციზმისა და ბოლშევიზმისათვის იყო ცნობილი ის, რის გამოც დემოკრატები ამ სისტემებს აკრიტიკებდნენ. ნაცისტების დროს ცდილობდნენ დაეძლიათ მექანიცისტური შეხედულებანი ადამიანზე, რომელიც ტოტალიტარიზმმა კი არა, არამედ ნაციზმამდელმა საბუნებისმეტყველო აზროვნებამ შობა. ადამიანზე მექანიცისტურ შეხედულებას ნაცისტები უპირისპირებდნენ გერმანულ რომანტიზმს. მას უნდა დაეძლია ადამიანის მექანიცისტური განხილვა. ბოლშევიკებიც ცდილობდნენ ადამიანის მიმართ არ ყოფილიყო ისეთი დამოკიდებულება, როგორც მანქანისადმი. დღეს ყველგან თვალშისაცემია ტექნოცენტრული აზროვნება, რომელსაც ვერ ფარავს დემოკრატების ლაპარაკი სულიერებაზე და ეკლესიაზე მითითებანი. ტოტალიტარიზმი თანამედროვე საზოგადოებისა ისეთია, რომ მას ვერ შეედრება ნაცისტურ და კომუნისტურ საზოგადოებათა ტოტალიტარიზმი. დღეს ხდება ადამიანზე ფინალური შეტევა ტექნიკური აზროვნების მხრიდან. პრიმიტივიზმი, რომელიც დამკვიდრდა ისტორიოგრაფიულ აზროვნებაში, თანამედროვე ტექნოცენტრიზმისათვის პირდაპირ მისწრებაა. მსოფლიო ძალაუფლებისაკენ მისწრაფების გამართლებისათვის დასავლეთის ისტებლიშმენტი ოკულტურ ძალებსა და მასონურ სწავლებებს მიმართავს. ეს არის ტექნოცენრისტული წარმართობა, რომლის ხიბლს ყოველდღე ვხედავთ ტელეეთერში. ეს არის ისტორიის ნემეზიდის აღმძვრელი და დიდ ტანჯვაში მსოფლიო უნდა ღირსიქმნეს საიმისოდ, რომ ღმერთი კვლავ მოვიდეს.

ისტორიულ კონკრეტიკასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ლუსტრირება არ უნდა შემოიფარგლოს 20-30 -იანი წლების რეპრესიებით. ლუსტრირებას უნდა დაექვემდებაროს საქართველოს ისტორია, დაწყებული იქიდან, როცა მენშევიკები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში და თან მოიყოლეს ასობით მედროვე, ქვეყნის დამაქცევარი. შესასწავლია 20-იან წლებში მენშევიკთა, ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალ-ფედერალისტთა, მემარჯვენე სოციალისტ-რევოლუციონერთა და სხვა წვრილი პარტიების საქმიანობა. დღესაც არ არის გამოაშკარავებული მათი საქმიანობა, ვინც მენშევიკური მმართველობის დროს ქვეყანა გაღლიტა და ბოლშევიკთა შემოსვლის შემდეგ უცხოეთში გაიქცა. პარტიათაშორისმა მტრობამ ხელი შეუშალა ქართველთა გაერთიანებას, რათა მას შესძლებოდა ბრძოლა დამოუკიდებლობის დასაცავად. საქართველოს უსახური სინამდვილე მუდმივად საჭიროებს შელამაზებას. ამის გამოა, რომ 80 წელი გავიდა და დღემდე ერიდებიან მენშევიკთა ხელისუფლებაში მყოფი თაღლითებისა და ხაზინის ქურდების სახელთა ხსენებას. ქართველობამ ცუდად იბრძოლა და ვერ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ბოლშევიკური ტერორი რომ დაიწყო, ასობით რენეგატი მიემხრო მას. სხვა პარტიათა წარმომადგენელნი ნებაყოფლობით თუ შანტაჟის მეშვეობით ბოლშევიკთა ინფორმატორებად იქცნენ. შემდეგ თვით ბოლშევიკები გახდნენ იძულებულნი შეელამაზებინათ ქართული სინამდვილე. 20-იანი წლების რეპრესიები დიდი ეროვნული სირცხვილის აღმნიშვნელი მოვლენაა. დღესაც ასეულობით ქართულ ოჯახს ცოდვა აწევს და მაშინდელი შერცხვენის სიმძიმე ტანჯავს. 20-იანი წლების რეპრესიებმა იმჟამინდელი ქართული საზოგადოების ზნეობრივი სახე წარმოაჩინა. 90-იანი წლების ანტიკომუნისტურმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ გამოკვეთა დაუოკებელი რესენტიმენტული სწრაფვა ბოლშევიზმის მხილებისაკენ. ეს იყო შურისძიების მცდელობა ზნეობისა და ღმერთის სახელით უწინ განცდილი შერცხვენის გამო. დაკვირვებული თვალი მყისვე შეამჩნევდა თუ რაოდენ ნაყალბევი იყო ანტიბოლშევიკური მხილებანი. უამრავი ფაქტი ბოლშევიკური რეპრესიებისა სააშკარაოზე იქნა გამოტანილი, მაგრამ ამან ვერ შეძრა მომხმარებლობაზე დაქიმითებული საზოგადოება. ქართული სინამდვილე დღესაც ისეთივე უსახურია. პოლიტიკა გადაგვარებულია და წვრილმანი ინტრიგებს ვერ სცილდება. ისევ ის პარტიათაშორისი მტრობა, ოპორტუნიზმი, ფარული შეთანხმებანი ხელისუფლებასთან და ფსევდოოპოზიციურობა მკვიდრობს ქვეყანაში.

ზღვა მასალა გამოქვეყნდა ილიას მკვლელობაზე, მაგრამ დღესაც დაუდგენელია, თუ ვინ მოკლა ერის წინამძღოლი. ილიას მტრობდნენ არა მარტო მენშევიკები და ბოლშევიკები.ილიას მკვლელობაზე ამდენი ლაპარაკი ზნეობრივი მოჩვენებითობის მიზნით გამოიყენეს ქართველებმა. სწორედ ეს არის ის მანკიერება, რისგან განკურნებაც ქართველთა საზოგადოებას არ შეუძლია.

ც) საკითხის ზნეობრივი ასპექტი ეხება რელიგიური კათარზისის პრობლემას. არსებული საზოგადოება ზნეობრივად აღმატებული უნდა იყოს წინამორბედ საზოგადოებაზე, რათა შეძლოს მისი განკითხვა. ჩვენ არაფრით მეტნი არა ვართ გუშინდელ დღეზე. წარსულის გამო ხანგრძლივი საქვეყნო აღშფოთება და გაზეთების არტისტობა ვერ უწყობს ხელს ზნეობრივი კანონის განმტკიცებას. ქართველობა ის საზოგადოებაა, სადაც სინდისი ყოველთვის უკანა რიცხვით ახსენდებათ. ლუსტრირების პროცედურის დაწყება საქართველოში ნიშნავს ახალ მტრობას და ანგარიშსწორებას. ეს ნიშნავს ლახვრის ჩაცემასა და ყველა იმ ილუზიის გაცამტვერებას, რაზეც ეყრდნობა ქართველთა

გაგრძელება გვ. 12

შარლემანის აჩრდილი, ანუ ევროპული ახალი წელი

გაერთიანებულ ევროპას ჰყავს თავისი პირველი პრეზიდენტი. ეს მათავარი გეოპოლიტიკური გარდატეხის ხანაა ხანგრძლივ ევროპულ ინტეგრაციაში. გაჭიანურებული XX საუკუნე დასრულდა. ჩვენ ახალ ერაში შევდგით ფეხი. ამავე დროს დავუბრუნდეთ ევროკავშირის ფესვებს, ახალი დემოკრატიული იმპერიისას, რომელიც ჩვენს თვალწინ აღმოცენდა.

ევროპული იდეა შუასაუკუნეებიდან მოდის. ევროპის გაერთიანება ახალი, რომაულ საფუძვლებიდან განსხვავებული, პირველად განახორციელა შარლემანმა — კარლოს დიდმა (742-814), ფრანკთა მეფემ კაროლინგების დინასტიიდან, რომელმაც შეძლო თავის კონტროლის ქვეშ მოექცია ის მიწები, რომელსაც დღეს დასავლეთ ევროპას უწოდებენ. ეს იყო ევროპის ხალხების გაერთიანება ჩრდილოეთიდან მოსული გერმანელთა ეგიდით, რომლებიც აქამდე რომის მემკვიდრეობას ანგრევდნენ მხოლოდ და სანაცვლოდ არაფერს ქმნიდნენ. გაავრცელა რა თავისი ხელისუფლება ევროპის მიწების უდიდეს ნაწილზე, კარლოს დიდი გამოცხადდა წმინდა რომის იმპერიის იმპერატორად.

უზურპატორი

საეკლესიო ტრადიციის ხედვით, ეს იყო პირდაპირი უზურპაცია.

როგორც ქრისტიანულ რელიგიაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ღმერთის არსებობა, ისე ერთია იმპერატორიც — ბიზანტიელი ბასილევსი, რომელიც ასრულებდა „კატეხონის“ ფუნქციას, რომელიც ანტიქრისტეს მოსვლას აფერხებდა. თვით შარლემანს მშვენივრად ესმოდა, რომ ღვთიური ქმედება ჩაიდინა, როცა ის პირველ ხანებში მისი შეურაცხმყოფელი რომის პაპის ლეონ III სურვილის წინააღმდეგ წავიდა. სინამდვლილეში კი მან შეგნებულად გადაწყვიტა ევროპის მეფის — უაღრესად წარჩინებული ფიგურის სტატუსის შეცვლა,რომელზედაც განაწილებული იყო „დროებითი ხელისუფლება“, იმპერატორის სტატუსზე, რომელიც ქრისტიანობაში მოიაზრება, როგორც სიმფონიური კავშირი წმინდა ეკლესიასა და კაცობრიობას შორის.

რომის იმპერიის დაშლის მიუხედავად, კარლოს დიდამდის რელიგიური ერთობა შენარჩუნდა; დასავლელი და აღმოსავლელი ქრიასტიანები ერთდროულად აღიარებდნენ, როგორც პაპის ავტორიტეტს, ასევე ბიზანტიის იმპერატორისას. ფრანკების მეფის კარლოს დიდის ამაყი ჟესტის შემდეგ განხეთქილება ორ ქრისტიანულ სამყაროს შორის გარდაუვალი შეიქნა.

შარელმანის სიკვდილის შემდეგ ერთიანი ევროპა დაიშალა რამოდენიმე ფეოდალურ სამეფოდ. დასავლეთის იმპერია აღმოჩნდა მხოლოდ მცირე ხნიან მირაჟად ბიზანტიის იმპერიის ისტორიის ათასწლოვან ისტორიასთან შედარებით. და პირველი ადამიანი, რომელმაც შეძლო ერთიანი ევროპის იდეის განხორციელება, იყო უზურპატორი და განხეთქილების მქნელი, სწორედ მათ მიერ შექმნილი ეფემერული წმინდა რომის იმპერიის „პირველ რეიხად“ გერმანელები იქცნენ.

როზენკროიცერები და მასონები

შუა საუკუნეებში ევროპა დაიყო რამდენიმე ერთამანეთისადმი მუდმივ მტრობაში მყოფ სახელმწიფოდ. რეფორმაციის ეპოქაში ფეოდალურმა და დინასტიურმა ომებმა შეიძინეს კონფესიათა შორისი მტრობის ხასიათი. სამყაროში მცხოვრებ ერთმანეთთან ახლოს მცხოვრებ ხალხებს არ დაუღვრიათ იმდენი სისხლი და არ მისულან ახლობლის სიძულვილის ისეთ ეკზალტაციამდის, როგორც ევროპაში. ევროპელები ერთმანეთს ანადგურებდნენ საუკუნეების მანძილზე (გავიხსენოთ საფრანგეთისა და ინგლისის ასწლოვანი ომი), საომარი მოქმედებების დროს პირწმინდად ხოცავდნენ ყველას. ვესტფალიის ზავით დასრულებული XVII საუკუნის ოცდაათწლიან ომში დაიღუპა ორ მილიონზე მეტი სამხედრო და 6 მილიონი მშვიდობიანი მცხოვრები.

ამ ომის დასრულების მომენტისათვის ევროპაში ყალიბდება „ვარდისა და ჯვრის“ (როზენკროიცერები) მისტიური საძმო, რომელმაც თავის მიზნად დაისახა მუდმივი ომების მიწების „მუდმივი მშვიდობის“ ზონად გადაქცევა. საძმოს ლუზუნგი გახდა გამონათქვამი Pax Aუგუსტა ეტ Pროფუნდა – „უავგუსტესი და ღრმა მშვიდობა“. როზენკროიცერებმა მოუწოდეს ეთნიკური და აღმსარებლობითი წინააღმდეგობების დაძლევისაკენ მისტიკური სწავლების დახმარებით, რომელშიც „თავს იყრის მსოფლიოს ყველა სახის სარწმუნოება და ენები“. მათმა იდეოლოგიამ, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანობის ერეტიკულ მიმდინარეობებთნ, მოახდინა უდიდესი გავლენა ევროპულ მასონობაზე, რომელიც გადაიქცა ერთიანი ევროპის მთავარ მღაღადებლად. საინტერესოა, რომ გამოჩენილი როზენკროიცერი იან კომენიუსი წარმოადგენს ისეთი თანამედროვე ძლიერი ორგანიზაციის მფარველს, როგორიცაა იუნესკო.

ნაპოლეონის ბურჟუაზიული იმპერია

ცნობილია, რომ თავისუფალი კალატოზები იდგნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის მხარეზე, რომლის ძირითად ლოზუნგს წარმოადგენდა მასონური ტრიადა „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. ზომიერი მასონები მხარს ნაპოლეონსაც უჭერდნენ, სჯეროდათ რა ევროპის გაერთიანებაში მისის მისიისა. ამჯერად საუბარი მიდიოდა არა ფეოდალური სამეფოების გაერთიანებაზედ, არამედ საერთოევროპული ბურჟუაზიული იმპერიის შექმნაზე, რომელშიც წამყვან როლს ითამაშებდნენ „მესამე ფენის“ წარმომადგენლები.

ევროპის მასონობა ნაპოლეონში და მის ლაშქრობებში ხედავდა თავისი ოცნებების ცხოველ განსხეულებას. ამას წარმოსთქვამდა ბევრი გამოჩენილი თავადაზნაური იმ ქვეყნებისა, რომლებიც ნაპოლეონმა დაიპყრო. ნაპოლეუნს უმღეროდა გოეთე, მისადმი წრფელი სიმპათიებით იყვნენ განწყობილი XIX საუკუნის რუსი მასონები.

ნაპოლეონის იმპერიაში (არანაკლებ ეფემერული, ვიდრე შარლემანის პირველი რეიხი) ჩვენ ვხედავთ თანამედროვე ევროპის პროტოტიპს: იმპერიული ხელისუფლების შუასაუკუნეობრივ თანხვედრას, მასონური ტრადიციები და ბრწყინვალე სეკულარული რიტუალები ემეზობლებიან სოციალურ მოდერნიზაციას ლიბერალიზმითა და ბურჟუაზიული სულით. მასში შესაძლებელია განვასხვაოთ პოსტმოდერნის განსაზღვრული თვისებები — შერეული სტილები, შეუთავსებელის გროტესკული ერთიანობა, ეგზოტიკა და მძვინვარე ბურჟუაზიის ცარიელი პომპეზურობა.

კუდენოვ-კალერგის პანევროპული კავშირი

XX საუკუნეში ევროპის ინტეგრაციის იდეა ახალი ძალით იფეთქებს. მასონური სეკულარული ორგანიზაციები ახლოს არიან რამდენიმე საუკუნის წინ დასახული ამოცანის შესრულებასთან ევროპული ტრადიციული ინტიტუტების — ეკლესიის, მემკვიდრეობითი ფეოდალური არისტოკრატიის, წოდებრივი ფენის მარგინალიზაციით. ერთიანი ევროპის შექმნის პერსპექტივა სულ უფრო რეალური ჩანს.

ევროპული იდესის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი ხდება ავსტრიელი მასონი გრაფი კუდენოვ-კალერგი (1894-1972), დედით იაპონელი, მამის მხრიდან ვენეციელი ლოჟისა და საბერძნეთის ფოკების საიმპერატორო დინასტიის სისხლის მქონეა. 1923 წელს ის აარსებს პანევროპულ კავშირს, რომელიც სარგებლობს ჰაბსბურგების, ავსტრიის არისტოკრატიის, მსხვილი ევროპული ბურჟუაზიისა და რაც ძლიერ თვალშისაცემია, მესამე რეიხის მომავალი ფინანსთა მინისტრის ჰიალმარ შახტის მხარდაჭერით.

ყურადღებას იმსახურებს კუდენოვ-კალერგის გეოპოლიტიკური იდეები. მისი აზრით, სამყარო უნდა შედგებოდეს ხუთი პლანეტარული ზონისაგან: პანევროპული, რომელშიც შევა ევროპის ყველა კონტინენტალური ქვეყანა თავიანთი კოლონიებით“

1.პანამერიკული, რომელიც მოიცავს დასავლეთ ნახევარსფეროს.

2. პანევრაზიული, რუსეთის ირგვლივ გაერთიანებული.

3. პანაზიური ჩინეთისა და იაპონიის მეთაურობით, რომლებიც იბრძვიან წყნარი ოკეანის რეგიონში ძალაუფლებისათვის და ბოლოს ბრიტანული, რომელიც მოიცავს უზარმაზარ კოლონიებსა და დომინიონებს.

განიხილავდა რა მომავალი ევროპის იდეოლოგიას, ავსტრიელი გრაფი მოუწოდებდა სოციალიზმისა და ინდივიდუალიზის სინთეზისაკენ, ბურჟუაზიული და სოციალისტური ღირებულებების შერწყმისაკენ. თავის საჯარო გამოსვლებში ის არა ერთგზის არწმუნებდა არისტოკრატიას „ხალხის მასებთან ალიანსის დადებაში“, დახურულ კლუბებსა და მასონურ ატელიებში უმღეროდა შარლემანს და განსაზღვრულ იმედებს ამყარებდა ჰიტლერზე. უკანასკნელის ხელისუფლებაში მოსვლის გარიჟრაჟზე პანევროპული კავშირის ერთ-ერთ ყრილობაზე შახტმა აღნიშნა, რომ „ჰიტლერი გახდება ადამიანი, რომელიც გააერთიანებს ევროპას“.

კუდენოვ-კალერგის ავსტრიიის ანშლუსის შემდეგ მოუწია გაქცეულიყო ასეთი გაერთიანებიდან. პირველად ის გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ საფრანგეთში და ბოლოს აშშ-ში, ამით თავი დააღწია ერთიანი ევროპის ნაცისტური მშენებლებისგან დევნას. უკვე ომის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა აღიარა, რომ კუდენოვ-კალერგი იყო ერთ-ერთი პირველი ევროპელი პოლიტიკოსთაგანი, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ჰიტლერის წინააღმდეგ ომში ინგლისისა და აშშ-ს ჩართვაში.

1947 წელს კუდენოვ-კალერგის ინიციატივით შეიქმნა ევროპელი პარლამენტარების პირველი, ჯერ კიდევ არაფორმალური კავშირი. ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ სესიაზე გამოსვლისას, მან წამოაყენა ერთიანი ევროპის მშენებლობის ძირითადი მიმართულებები: სტაბილური საერთო ევროპული ვალუტის შექმნა, ევროპის ეკონომიკური და საბაჟო კავშირების გაერთიანება, ქვეყნების მკვეთრი დაახლოება, რომელიც „მუდმივი მშვიდობის“ გარანტიაა კონტინენტზე. 1955 წელს პირადად კუდენოვ-კალერგიმ შესთავაზა ბეთჰოვენის ოდა „სიხარული“ ერთიანი ევროპის ჰიმნად. 17 წლის შემდეგ იქნა ეს წინდადება მიღებული. კუდენოვ-კალერგი შეიძლება დავასახელოთ ევროკავშირის დამფუძნებელ და განმახორციელებელ მამად და თეორეტიკოსად. ამერიკელ საიდუმლო პირებთნ ის ევროკავშირს უწოდებდა ისტორიაში პირველ „ფრანკ-მასონურ სახელმწიფოს“.

ჟან მონე კონიაკელი

თანამედროვე ევროპის მეორე მამა-დამაარსებელი გახდა მსხვილი ფრანგი მწარმოებელი, კონიაკის მწარმოებელთა დინასტიის მემკვიდრე, საფრანგეთის პროვინციაში დაბადებული ანალოგიური სახელდებით -ჟნ მონე (1888-1979), ცნობილია აგრეთვე ჟან მონე კონიაკიდან ან ჟან მონე კონიაკური. ისევე როგორც მისი წინაპარნი, ისიც მასონი იყო და ესწრებოდა „ევროკავშირის მიზნების“ (ჩჰაინე დ’Uნიონ Eუროპეენნე) ლოჟის სხდომებს.

ჟან მონე კონიაკის წარმოების დროს მივიდა ევროპული ერთიანობის იდეასთან. აგზავნიდა რა საქონელს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ის დარწმუნდა, რომ საზღვრების გახსნა ხელს უწყობს დიდი მოგების მიღებას. ამ, არც თუ ისე ეშმაკური აზრით დაიწყო ევროპის გამაერთიანებლებიდან ერთ-ერთის ისტორია. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ის დიდ ძალისხმევას უთმობს ომის ფრანგული და ინგლისური გეგმების კოორდინაციას. 1921 წიდან აქტიურად მუშაობს ერთა ლიგის შესაქმნელად და მასში ხდემა მეორე ადამიანი.

ოციან წლებში მონე დროებით ტოვებს პოლიტიკას. ის ძალზედ ნაყოფიერად თანამშრომლობს ალ-კაპონეს ჩიკაგოს მაფიასთან და ასტრონომიულად მდიდრდება. მეორე მსაოფლიო ომის ზღურბლზე მონე საფრანგეთსა და ინგლისს მოუწოდებს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ, საერთო პარლამენტისა და შეიარაღებული ძალების შექმინსაკენ, ჰიტლერის საფრანგეთში შეჭრის შემდეგ კი აქტიურად თანამშრომლობს გენერალ დე გოლთან.

მონე ინგლისის მთავრობის ემისრის ხარისხში მიემართება აშშ-ი, სადაც ის უჩვეულო მეთოდებით ახერხებს ვაშინგტონის დარწმუნებას ევროპის კონტინენტზე სამხედრო ოპერაციების გარდაუვალობაში. კამპანიის დასასრულადმის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ომის შემდგომი საფრანგეთისათვის ამერიკული დახმარების განსაზღვრაში.

1945 წლიდან 1952 წლამდის მონე იკავებს დაგეგმარების კომისრის პოსტს, სწორედ მან შეიმუშავა „ქვანახშირისა და ფოლადის კავშირის“ გეგმა, რომელსაც შემდეგ ხელმოსაწერად აძლევს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს რობერტ შუმანს. ამ დროიდან იწყება ევროპის ფედერაციისაკენ მიმავალი გზა. მისი გაძლიერების კულმინაცია ხდება 1957 წლის რომის ხელშეკრულება, რომელზედაც ცხადდება „საერთო ბაზარზე“ გადასვლა.

ჟან მონე კონიაკელი — მრავალი აფორიზის ავტორია. მათ რიცხვს მიეკუთვნება სიტყვები: „მოდერნიზაცია — ეს არაა საგნების მდგომარეობა, არამედ ჭკუის მოქნილობაა“

ევროპის

გაგრძელება გვ. 13

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ე ს ს ე

მერაბ კოსტავა



საკანი. სენაკს მაგონებს იგი, პატიმარი — მეუდაბნოეს არანებაყოფლობითს. ასე განსაჯეთ, აქ იძულებით უნდა დავატყვევო საკუთარ თავში უსასრულო წყება სურვილებისა, სამშვინველისეული ქაოსის უმისამართო ენერგიით აღძრული, ლტოლვები, რომელთა დასადავება, გათოკვა და ჭკუაზე მოყვანა მეუდაბნოეთა, სოფლისაგან განდგომილთა სანუკვარი მიზანია.

მეც აღარ დავაყოვნე და უმკაცრესი კანონმდებელივით სანქცია დავადე ჩემს აბეზარ სურვილებს, გარდუვალობის ძალით სათითაოდ დავატუსაღე და შევუდექი მათ ულმობელ განკითხვას. გაუჩინარდა გლუვი გველაძუა, ნაირფრად აელვარებული ხატება მათი. შეწყდა მათი მოუსვენარი, საყვედურით აღსავსე სისინი. მოისვენა სხეულმა, და სადღაც, გონებაში აკიაფდა სიმშვიდის მომფენი კანდელი სულისმიერი.

სარკმლის დამხანჯლავი სინათლე შთენილა მარტოოდენ ერთადერთ, ჩაუფერფლავ სურვილად. ცის ნაფლეთები მარადისობის ლურჯი იებივით მოსდგომიან ცხაურის ვიწრო სამზერებს. თვალბუდეები ძლივსღა ამაგრებენ ამოსავარდნად გამზადებულ, უსასრულობის მირაჟივით დატყვევებულ თვალებს. შორს, კაბადონზე, იალქანივით ლაპლაპებს სივრცეში მონავარდე მტრედი. უცნაურად ენამჭევრობს იგი, როცა ფერმწერის სიმსუბუქით ჰაერში ავლებს იდუმალ ხაზებს. ნეტა თუ ფიქრობს, ამ ფარულ ნიშნებს აღმოუჩინოს სადმე წამკითხველი. ამაოდ, რადგან ისტორიის სათავეებთან აღმართული გასაოცარი სახე კალხასისა ჩვენმა აკადემიურმა საუკუნემ ანაქრონიზმად, ბალღობისჟამინდელი „უმეცარი“ კაცობრობის მონაჩმახად მიიჩნია, როგორც ყოველივე მითოლოგიური.

რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინველო, შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექსტაზი სივრცეთა შთანთქმისა, ერთდროულად ყველგანყოფის სურვილი. თავისუფლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ უთუოდ ჰფლობს მას სივრცეში, რომლის სინაკლეზესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსპეტაკესო, კიდევ მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომეჭდონ მისი კედლები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი. შენ სივრცეებში გასწავლეს ფრენა, მზემ ოქროს ცვარში ამოავლო საშურველი სითეთრე შენი სხეულისა. მიწამდე დაჰყვინთავ და წამისყოფაზე უმალ დიდებული მნათობის კალთასთან ნებიერად ამოჰყვინთავ ფირუზოვან თვალსაწიერის მეუფევ, მაგრამ ვერ მომატყუებს ეგ შენი თავდავიწყებამდე დაუცხრომელი ნავარდი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფლება, არამედ მარტოოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლების. ნამდვილი თავისუფლება აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის, ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი. უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში, დაიძვრის, როგორც მდინარე მეხსიერებისა და მიეშურება ჩემივე ცხოვრების სათავისაკენ. დავიწყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასულ სახეებს, აწ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ნაფიქრ-ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვარებულ სურათ-ხატებს. ხელახლა აცოცხლებს, ახლებურად წარმოგვიჩენს მტერსა და მოყვარეს და შენში ჰბადებს ახალ თვალს, თვალს მსაჯულს, შენივე სიღრმისაკენ მიქცეულს, რომელიც დაწვრილებით გამოწვლილავს მთელს შენ წარსულს, შენს ნამოქმედარს, ნათქვამს, გულისნადებსა თუ ნააზრევს, ადამიანებისადმი მიმართებას, პირუთვნელობის უქცეველი სასწორით ასწონის ყოველივეს, ნაწევარებს გაამთლიანებს, მიზეზებიდან გამოიყვანს შედეგებს და შედეგებიდან კვლავ მიგაბრუნებს მიზეზებისაკენ, რითაც გასწავლის კითხვას დრო-ჟამისეულ კანონებში არეკლილი ბედისწერის წიგნისას. დრო-ჟამისეულ მდინარეებაში გასწავლის ნავარდს, ისე, ვით შენ დანავარდობ, საოცარო ფრინველო, სინდისის ცეცხლში გამოგაწრთობს, საკუთარ თავს, საკუთარ ჭეშმარიტ არსს გაპოვნინებს, სიქველის საწყისსა და უჟამობის სამანებს მიგაახლებს და მაშინ, ამ ახალი სიმაღლიდან განახლებული სულითა და შემართებით გააცნობიერებ და გადააფასებ ნებისმიერ არსებას, ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას და ისეთ უმნიშვნელო გასაჭირსაც, როგორიცაა პატიმრობა, ოთხკედელშუა გამომწყვდევა, გიხსნის და, რაც მთავარია, დასაბამს აძლევს შენში ახალ, ჭეშმარიტ ცხოვრებას, შინაგანი თავისუფლების შუქით გასხივოსნებულს.

მაშ ასე, სივრცეების პატარა ბინადარო, შენ მხოლოდ მშვენიერი სიმბოლო ხარ იმ თავისუფლების, ამ ბნელ საკანში რომ იწყო აღმოცენება. ოდესღაც მტრედისფერი დაარქვეს რიჟრაჟს, როცა კაცობრიული ცხოვრების გარიჟრაჟზე პატრიარქთა დიდმა წინაპარმა ნოემ წარღვნისეულ სტიქიათა დაცხრომისას გამოგტყორცნა კიდობანიდან, როგორც მაცნე გადარჩენილი კაცობრიობის ახალ საფეხურზე აღზევებისა, და შენ მაშინ ცნობიერების გარიჟრაჟის სიმბოლოდ იქეცი. სპეტაკზე უსპეტაკესად გიხილა ზეცით გარდამოსული იორდანეზე წინამორბედმან უფლისამან და ნათლისმცემელმა, როცა ლაჟვარდოვანი სიწმინდის მისაღებად მოიწიფა კაცობრიული გონი და ამ ახალი განწმენდილი ცნობიერების სიმბოლოდაც შენ შეიქმენ. ცნობიერება მიგვაახლებს ჭეშმარიტებას, ხოლო ჭეშმარიტება თავისუფლების ძალუმი ფრთებით გვაუნჯებს. ანგელოსის ორი ფრთა ფრესკაზე მაღალი ცნობიერი ცხოვრების ხატია, ხოლო ქერუბიმის ექვსი ფრთა — ხატი განუსაზღვრელად უფრო მაღალი ცნობიერებისა. და ვინ უნდა გაგიმართოს მზერა შენ, უფალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველივეს აღავსებ მადლითა შენითა. ეს შენ მოგვივლინე სულიწმიდის ხატად ელვარე ნიმბით მოსილი პატარა მტრედი, სხეულისმიერი საკნის წიაღში რომ აღგვინთებს ცნობიერების კანდელს და გვაზიარებს ანგელოსურ ბუნებას შენსას, უკვდავებისა და თავისუფლების საწინდარს. ჭეშმარიტად არსებობს შენგან დადგენილი ცით დედამიწამდე დამავალი და მიწით ზეცამდე აღმავალი ანგელოსური კიბე ცნობიერების ხარისხებისა, შენგან არჩეული ერის ნუგეშად რომ იხილა ოდესღაც ბიბლიურმა იაკობმა. შენა ხარ, მტრედო, ხატი ცნობიერების ამ სიმაღლეთა ერთიანობისა. ვუმზერ სივრცეში შენს დაუსრულებელ ნავარდს, როგორც ჩემი სულის პროექციას გარე სამყაროში და ვტკბები მშვენიერი სიმბოლოთი, რომლის ჭეშმარიტმა არსმა ჩემშივე იწყო აღმოცენება.

1978 წელი

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ვახტანგ გოგიჩაიშვილის ლექსები

გამოთხოვება

ვუძღვნი მერაბ კოსტავას ხსოვნას

ირყევა გოდოლი და თრთიან მინები,
დევგმირულ სხეულით მნათობებს მინებდი,
ვით გვეგრძნო, აგრერიგ მსწრაფლ მიიძინებდი
მერაბ, უდრეკო სულო.

იბარებს მთაწმინდა ზეციურ ლოცვებით
შენს ცხელ გულს, აბაზმულს მერმისზე ოცნებით,
მიდიხარ გოლგოთურ გზის გასხივოსნებით
მერაბ, ბედისგან კრულო.

გადმოსდით გვირგვინებს ფოშფოში ცრემლებად,
ვაზის ჯვრის ხატება კუბოს თავს ევლება,
ო, წმინდა მიწაშიც ვით მოგესვენება
მერაბ, ერისა წყლულო.

გვჯეროდეს, ქარბუქით ხელახლა აავსებ
შენი ხმის ბუბუნში მღვიძარე ათასებს,
დღეს მთლად საქართველო წესისებრ გაფასებს
მერაბ, ლეგენდად თქმულო.

მეგობრობის თილისმა

შემოდგომით მოვერცხლილო ჩემო თბილის–ქალაქო,
მთაწმინდაო – დიდ მგოსანთა წმინდა ძვალთშესალაგო,
პლატოვ ძველი მეტეხისა, ხიდო ბარათაშვილის,
ეს ხალხია თუ ტალღები, ზღვის გრიგალში აშლილი?
ხედავ, მზემაც მთა–გორებზე როგორ მოიკალათა?
თუ არ გჯერათ ძმებო ჩემი, მოდით, ნახეთ თავადა,
ყველამ ერთად უნდა ვწეროთ მეგობრობის ბალადა.
ხედავ, წრეში თმაქოჩორა ყმაწვილი რომ ტრიალებს?
ისე როკავს, გულცივსაც კი ტანში გააჟრიალებს,
აფეთქდება წვა–დუღილით, როგორც ღვინო კახური,
სიმღერები, ხალხის გულში ჩუმად გადანახული,
აქვე ზორბა ჩოხოსნები ცლიან ყანწებს წამიერ,
მერე გზნებით შესძახებენ ხმატკბილ „მრავალჟამიერს“.
სადღაც ნელა შიშინებენ შამფურებზე მწვადები,
(სულო, ისევ გელხინება ხალხში განავარდებით)
ელავს ზღაპრულ ცხრაფერებად ხილთა გროვა ულევი,
ზვრის მტევნები, ტაროები, ახლად ჩაქარვულები;
ვით არ გვწვავდეს მკლავმაგარი, გამრჯე ხალხის ხარება,
ბებერ მტკვარზე მოცურავე ტივთა აელვარება...
ნაირფერო გალავნებო, ხიდო ბარათაშვილის,
ეს ხალხია თუ ტალღები, ქარიშხალით აშლილი?
ჩამოსულან ჭირნახულით დატვირთულნი ბარადა,
მტრების გულის დასათუთქად, მოყვრის გასახარდა,
ჩამოსულან ყველა მხრიდან, მთვრალნი
ძმობის თილისმით,
დოლის ხმას და ზურნის კილოს სცნობს
კვლავ ძველი თბილისი
და რიყეზე განფენილი ხალხის ტკბილი სეირით
კიდევ დიდხანს გაგრძელდება მეგობრობის ზეიმი.

1979.

თვალები

სულში აზავთულ იდუმალებით
წრფელმა ვნებებმა იწყეს ალობა,
როცა ვიხილე შენი თვალების
მოკრძალება და შეუვალობა.

თავბრუდამხვევი წუთით უჩვევით
სხვა სამყაროსკენ ამოდ ვილტვოდი,
თრთოდნენ სათუთად ბაგე–ტუჩები,
ელავდნენ კბილთა მარგალიტები.

და მოძალებულ, დღიურ ფიქრებით
შენგან დამალულ ცეცხლში ვეწამე,
თუმცა დუმილით მატყობინებდი,
რომ უიმედოდ გამომესალმე.

ო, ეს სიმართლე ურჩად დნებოდა
ილუზიებით აღსავსე გულში,
სახის მუდარა გეუბნებოდა,
როგორ ვიწოდი შენს სიყვარულში.

და ამ უსიტყვო ხვეწნა–მუდარას
დავატარებდი ჩუმი ოცნებით,
სანამ ვიგრძნობდი თვალთა მუქარას,
მეტყველს ულმობელ პატიოსნებით.

1975

მოგონების ექსტაზი

ლურჯი მთის კალთებს გადაბინდავს ოცნების ბოლი,
როცა შეხვედრა უსაშველოდ გადაიდება,
ძველ სამოსელით მოირთვება სევდა ობოლი
და გაშმაგებით დაიმსხვრევა ჭეშმარიტება.

მთვლემარე ყოფას ამაცილებს მხოლოდ ექსტაზი,
ახლად იფეთქებს ის ბავშვური მიამიტობა,
ამ სავსეობას ვერ გაწვდება მხურვალე თასი,
მთვლემარე ყოფას ამაცილებს მხოლოდ ექსტაზი.

გამახსენდება მე ოდესღაც ცხადად ნახული
თეთრ სამოსელში მომლოდინე მშვენიერება,
გამიჯნურების სევდიანი, მძაფრი ძახილი
შენთან შეხვედრას ჩუმი თრთოლვით მოეფერება.

ფიქრთა ფარაჯას კვლავ მოწყდება მწუხარე ღილი,
ბულბულიც იწყებს მიამიტი სტვენით გალობას,
ამ მარტოობის ნაპერწკალი, ახლად შობილი,
გადამავიწყებს ბედისწერის გარდუვალობას.

თავბრუდამხვევი ნატვრით სავსე მსუბუქ ბურუსში
კვლავ გამაქანებს ეს ნატიფი ჰაეროვნება,
როცა შეღებავს მოგონებებს ნათელ ფერებით
აუხდენელი სურვილების გაცისკროვნება...

ცნობიერებას გამოუთქმელ სევდად ედება
ადამიანთა უსასრულოდ წაშლილი კვალი
და ეს შეხვედრაც უმოწყალოდ გადაიდება,
როცა ექსტაზურ მოგონებით ვიქნები მთვრალი.

1976

შეხვედრა

სუსხიანი ზამთრის ქარში
ვერ დავმალე ნახვის ჟინი,
ხეებს ხვევდა ტკბილ სიზმარში
ფიფქთა ქროლა და ფოფინი.

ჩამწკრივებულ, მუქ სვეტებთან
მატულობდა ხალხის წყება
და ოცნებას ახელებდა
განვლილ წლების დამორცხვება.

გულმა თითქოს გაიარა
შენს გულამდე ასი მილი,
როს ქულებად მომეყარა
ის სიწმინდე, ის ღიმილი.

ხელოვნებამ შეიწირა
გაოცებულ თვალთა ქება,
ახალ რიტმში ჩაიძირა
იმ წარსულის აფეთქება...

მივდიოდით ერთად ორნი,
დამცინავი იყო ღამე,
შენს ქუჩას, რომ გაუსწორდი,
მოგერია სითამამე.

ჯიუტობდა ღამის სევდა
და შორს იყო ისევ რული,
განახლებას თან მოსდევდა
მღელვარ დღეთა სინანული.

1976

რუსთველის გამზირზე

მე საზეიმოდ გადავშლი წარსულს,
როს დავინახავ ნაცნობ ფილაქანს,
ისევ მოვძებნი მშვენიერ ასულს
და აღარ მივცემ არსად გასაქანს.

მე კვლავ დავივლი შენს ამაყ სივრცეს/
სადაც თვალები ეტრფიან ფერებს,
ეს სილამაზე ათასებს მისცეს
და ათასებმა ეს შეიფერეს.

მე გადავლახავ ატალღულ გამზირს,
გულს გამიხსნიან წარბთა მშვილდები,
ისევ იფეთქებს ოცნება ნაზი
და ათრთოლებას ვერ ავცილდები.

საუკუნეთა სუნთქვას ჩვეული,
ჩუმად იღვიძებს ოპერის ბაღი
და ყველასაგან გამორჩეული
სხივებს ირეკლავს ქაშვეთის თაღი.

ჭადრებს და ბუჩქებს ვეჩურჩულები
და რომც არ ვამცნო, მათაც იციან,
რომ შენს გამზირზე მარად ულევი
გრძნობით უვლიათ ლადოს, ტიციანს.

და როს გავხედავ წვით მამადავითს,
სულს ჩაეღვრება კვლავ ალიონი –
აქ აყოვნებდა არეულ ნაბიჯს
ღამენათევი გალაკტიონი.

ნუ მომაგონებ წარსულის ნაღველს,
ნუ გამახსენებ ტანჯვა–წამებას,
მე ვადღეგრძელებ ყველა იმ ქართველს,
ვინც დაიმკვიდრა აქ უკვდავებ ა.

გული სიახლით დაიწყებს ძგერას,
როცა შევიგრძნობ ნაცნობ ფილაქანს,
მე გამოვიჭერ შენს ბავშვურ მზერას
და აღარ მოგცემ არსად გასაქანს!

1977

კრწანისის ყაყაჩოთა ჯახსნება

მე უკვდავება გადმომედება,
თუ მომეგებე სავსე ველებით,
თუ ამიტაცებს შენი ქედები
და მომძახებენ არაგველები.
ვინ გაექცევა ტურფა სანახებს,
ამ ელვარებით ვინ არ იწოდეს?!
აქ ენძელები ჩუმად მანახეს,
ჩუმად მანახეს და მომაწოდეს.
მე მიხარია, ყვავილთა კრება
რომ გადმოგიშლის სანუკვარ ფერებს
და ახდენილი სურვილით დამთვრალს,
აქ უსიმღეროდ რა გაგაჩერებს!
აქ მომიხელთა ცხელმა ყაყაჩომ,
აქ შევიყვარე შენი წარსული
და განა ძალმიძს არ გიდარაჯო
და არ მოვიხმო დრო გარდასული...
აქ უომიათ ქართველ ვაჟკაცებს,
მზეს ნატრულობდნენ ტურფა ქალები,
მეც ყაყაჩოსებრ გავიკაშკაშებ
და იმ ვაჟკაცებს დავემგვანები!
მეც ვუპატრონებ შენს წითელ ყანას,
არ მოგაკლდება ძველი ღირსება
და ჩუმ ოცნებას ვით იავნანას
აქ გახუნება არ ეღირსება!

1977

ლუსტრაციის შესახებ ქართულ საზოგადოებაში

დასაწყისი გვ. 8

წარმოდგენები ცხოვრებაზე. ხელისუფლებას შეადგენენ ის ადამიანები, რომელნიც დამნაშავენი არიან ეროვნული მოძრაობის დამარცხებაში, აფხაზეთის ომის წაგებაში, ქვეყნის დაცემაში. ლუსტრაცია არ შეიძლება არ შეეხოთ მათაც, ვინც 80-იან წლებში ქვემო ქართლის მიწები გაყიდა, ვინც ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას ეწეოდა. ქართველთა ქვეყანაა ისეთი, რომ ლუსტრაცია ვერ შემოიფარგლება 20-30-იანი წლების რეპრესიათა მასალების გამოქვეყნებით. ლუსტრაცია თავისთავად გაგრძელდება და მოიცავს მთელ ქვეყანას, მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ ქართულ საზოგადოებას არ შესწევს ძალა ამგვარ ზნეობრივ დაძაბულობას გაუძლოს. სინდისზე ლაპარაკი საქართველოში მუდამ ერთურთის მოსატყუებლად სჭირდებათ. ლუსტრირების პროცედურამ არ შეიძლება არ მოიცვას პარტიული ცხოვრება, რაც გულისხმობს პარტიათა შემოსავლების, წევრთა რიცხოვნებისა და ვინაობის გარკვევას. გასარკვევია უამრავი NGO-ს საქმიანობა და არსებობის მიზანი. მათ დემოკრატიისა და გამჭვირვალეობის სახელით ქმნიან, მაგრამ ქართულ პოლიტიკაზე არანაირ გავლენას ისინი არ ახდენენ.

არასწორია მრავალთა მიერ გამოთქმული აზრი, რომ საქართველოში ლუსტრაციის კანონის ამოქმედებამდე უნდა დავიცადოთ, სანამ მარქსიზმ-ლენინიზმს ნიურნბერგის პროცესს არ მოუწყობენ. მაგრამ განზრახ ავიწყდებათ, რომ ნიურნბერგის პროცესის მოწყობის უმთავრესი ინიციატორი საბჭოთა კავშირი იყო, როგორც მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალებული მხარე. დასავლეთი არ ყოფილა ისეთი თანმიმდევრული ამ პროცესზე, როგორც საბჭოთა კავშირი და დასავლეთმავე შეუწყო ხელი გერმანული სამხედრო მანქანის უსწრაფეს აღდგენას. ნიურნბერგის პროცესი არ არის თანამედროვე მსოფლიოს ზნეობრივი სახის დამადასტურებელი მოვლენა და ამის დაუნახაობა პოლიტიკის არცოდნაა. ლუსტრაციის კანონი პირველად ამოქმედდა ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ ნიურნბერგის პროცესზე. ამგვარი პროცესი მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა იყო, ამიტომ მყარად დამკვიდრდა წარმოდგენა, რომ ასეთი პროცესის სამომავლო შესაძლებლობა პოლიტიკის ზნეობრიობის გარანტი იქნებოდა. დღეს, როცა ამას ამტკიცებენ, გულისხმობენ იმას, რომ დასავლური დემოკრატია უმაღლესი ზნეობის გამოხატულებაა და სწორედ დასავლეთს აქვს ზნეობრივი უფლება გაასამართლოს ბოლშევიზმი. მაგრამ დასავლეთი იყო ის, ვინც ნაციონალ-სოციალისტებს საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ აქეზებდა. მისი სახის მაჩვენებელია ისიც, რომ მეორე ფრონტი მან ძალზე დიდი დაგვიანებით გახსნა.

ლუსტრაციის შესახებ ქართულ საზოგადოებაში წერილი მეორე

თუ პოსტსაბჭოთა ადამიანი უმაღლეს ზნეობაზე აცხადებს პრეტენზიას, ეს ნიშნავს მსოფლიო ისტორიის რევიზიას მის მიერ. მან უნდა გაასამართლოს ფრანგული რევოლუცია და განმანათლებელთა მოძღვრება ბუნებრივი უფლების შესახებ ეკლესიასა და ღმერთზე მითითებით. ვთქვათ, ასეთი რამ მოხდა, მაგრამ უმაღლესი ზნეობა ამაზე ვერ შეჩერდება. უნდა დაიწყოს მონარქიისა და ეკლესიის ლუსტრირება. უნდა გასამართლდნენ იეზუიტები, რომელნიც მეცნიერების მდევნელნი იყვნენ. უნდა გასამართლდეს ცარისტული რუსული ეკლესია. თავის დროზე ევროპის უნივერსიტეტები აღდგნენ იეზუიტთა წინააღმდეგ და განდევნეს ისინი. იეზუიტის სახელი მაშინ ისეთივე მნიშვნელობის მქონე იყო, როგორც დღეს ГБ-ს მუშაკის სახელია და მანამდე მეფის ჟანდარმერიისა და ოხრანკის სახელი იყო. იეზუიტთა ორდენი განდევნეს ბევრი ქვეყნიდან და აკრძალეს ევროპაში, შემდგომ კი ისევ აღადგინეს.

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ნიურნბერგის პროცესი ისე მიმზიდველი გახდა, რომ სამოქალაქო ომის დროს გონებაარეული ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას უპირებდა მსგავსი პროცესის მოწყობას, უწოდებდა რა მას ფაშისტს და ისე წარმოაჩენდა, რომ ის ფიურერის მსგავსად, მთავრობის სახლის ბუნკერს აფარებდა თავს და ოპოზიცია კი მას უტევდა. დღეს აფხაზებს ემუქრებიან ნიურნბერგის პროცესით და დიპლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით ხვდებიან მათ საქართველოში ჩამოსვლისას. საკუთარი თავის პატივისმცემელი ქვეყანა ასე არ მოიქცეოდა. ვლადისლავ არძინბა თბილისში იყო ჩამოსული და ჩიტირეკია ქართულმა მედიამ ეს შევარდნაძის სიბრძნედ წარმოაჩინა. გამარჯვებული არძინბა ჩამოვიდა დამარცხებულ ქართველთა დედაქალაქში.

ლუსტრაციის საკითხზე მსჯელობისას ნათლად წარმოჩინდება ქართველთა პოლიტიკური აზროვნების ანტიისტორიზმი. როცა ადამიანი პოლიტიკური ტერმინების მონაა, ეს იგივე იდიოტიზმია. ხშირად აღინიშნება, რომ ლუსტრაციის პროცედურა უნდა წარიმართოს ზნეობაზე დაყრდნობით. ზნეობად კი დასავლური დემოკრატია მიიჩნევა. ჯიუტად არ სურთ იმის დანახვა, რომ ლიბერალ-დემოკრატიაც იმავე ევროპეისტული რევოლუციონიზმის პირმშოა, რომელმაც მარქსიზმი, სოციალ-დემოკრატია შობა. ქართული პროვინციალიზმის მიერ ისტორიის რევიზიის პრეტენზია იმასაც უნდა გულისხმობდეს, რომ ევროპა გასამართლდეს კოლონიალიზმის ეპოქის გამო, რომ ამერიკელები და ესპანელები უნდა გასამართლდნენ ინდიელთა ამოწყვეტის გამო, რომ ამერიკული დემოკრატია გასამართლდეს ლათინურ ამერიკაში 50-80-იან წლებში ჩადენილი დანაშაულებებისათვის. სულ ახლახანს, აუგუსტო პინოჩეტის გასამართლებას შეეცადნენ ევროპაში, მაგრამ ვერ შეძლეს, იმიტომ კი არა, რომ ყოფილი დიქტატორი ავადმყოფი კაცია, არამედ იმიტომ, რომ ატლანტიზმის ბანაკში მყოფ ევროპას არა აქვს ზნეობრივი უფლება ის გაასამართლოს. ამიტომ დააბრუნეს პინოჩეტი თავის ქვეყანაში. პინოჩეტს ბრალად ედება პოლიტიკური ოპონენტების წამება, მკვლელობები, დევნა. ამ საქმეთა გამოძიებისას კი ამერიკული აგენტურის როლს ვერანაირად ვერ აუქცევენ გვერდს. პინოჩეტი სამხედრო გადატრიალების გზით ამერიკულმა აგენტურამ დასვა ქვეყნის სათავეში და დაეხმარა მას ჩილეს ეკონომიკური სასწაულის ბლეფის შექმნასა და მის რეკლამირებაში. ამერიკული დემოკრატიის კისერზეა ათობით გადატრიალება ლათინურ ამერიკაში და დიქტატორების მხარდაჭერა.

გამსახურდიას ოპოზიცია ამერიკელთა სიტყვიერი მხარდაჭერით ისე დაბრმავდა, რომ არასაკმარისად მიიჩნია პრეზიდენტის ფაშისტად სახელდება და ის პინოჩეტის მიერ დამხობილ სოციალისტ პრეზიდენტს, სალვადორ ალიენდეს შეადარა, საკუთარი თავი კი ძლევამოსილ დემოკრატიულ ოპოზიციად მიიჩნია. რა ხორხოცი და ქილიკი იდგა თბილისში 1992-2002 წლებში. უმეცარი კაცები ქვეყნის მეგზურობას იჩემებდნენ. ქართველ დემოკრატთა შორის არავინ საუბრობს იმაზე, რომ პინოჩეტის თემა ისე განიხილება დღევანდელ მსოფლიო მედიაში, თითქოს მან დამოუკიდებლად მოახდინა გადატრიალება. არავის სურს გამარჯვებულ ამერიკელთა როლზე ილაპარაკოს ჩილეს გადატრიალებაში. დამარცხებული ბოლშევიზმის მხილებას კი ერთურთს არ აცლიან. ჩილეს მოვლენები იყო გეოპოლიტიკური ანტაგონიზმის გამოვლინება, ისევე როგორც კუბის რევოლუცია და კარიბის კრიზისი. პინოჩეტის საქმე ჩილეშიც ისევე გაიწელება, როგორც ეს ევროპაში მოხდა. სადამდეც შესაძლებელი იყო, გაწელეს პროცესი და შემდეგ ბრალდებული პინოჩეტი თავის ქვეყანაში გაამგზავრეს.

შეუძლებელია გეოპოლიტიკა გასამართლდეს ნიურნბერგის მსგავს პროცესზე. გერმანული გეოპოლიტიკის უდიდესი ავტორიტეტი კარლ ჰაუსჰოფერი ნიურნბერგის ტრიბუნალმა დამნაშავედ ვერ ცნო. პოტსდამის კონფერენციამ დაგმო გეოპოლიტიკა, როგორც ომის გაჩაღების იდეოლოგია. მრავალი მეცნიერის ძალისხმევა დასჭირდა გეოპოლიტიკის ნაცისტური იდეოლოგიისაგან გამოცალკევებას. გეოპოლიტიკის რეაბილიტაცია დასავლეთსა და თვით გერმანიაში უსწრაფესად მოხდა. უკვე 50-იანი წლების დასაწყისში ევროპაშიც და ამერიკაშიც აღინიშნა ჰაუსჰოფერის დიდი ღვაწლის შესახებ. საბჭოთა იდეოლოგია კი გეოპოლიტიკას თავისი არსებობის ბოლო დღეებამდე უარყოფითად უცქერდა. ნიურნბერგის პროცესი მსოფლიო ისტორიაში ერთადერთი და უკანასკნელი ასეთი პროცესია.

ეთნოცენტრიზმი ხელს უშლის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას, რომ მან მიიღოს მსოფლიო პოლიტიკა ისეთად, როგორიც ის არის. ვინ უნდა მოუწყოს ბოლშევიზმს აუტოდაფე? ვინმემ მახვილით დაშალა საბჭოთა იმპერია, როგორც მესამე რაიხი დაშალეს, თუ ვინმე მოსკოვში შევიდა ტანკებით? საბჭოთა იმპერიის ზნეობრივი უპირატესობა დასავლეთის წინაშე მოპოვებულ იქნა აღმოსავლეთ ევროპიდან არმიის გამოყვანით დასავლეთის მხრიდან რაიმე გარანტიების გარეშე. ე. ი. საბჭოთა იმპერიამ ნებაყოფლობით დაარღვია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადგენილი სტატუს-კვო. ამერიკელები კი ისევ დარჩნენ დასავლეთ ევროპაში და NAთO რუსეთის საზღვრებისაკენ მოიწევს. ზნეობრივი ქმედება ამერიკელთა მხრიდან იქნებოდა NAთO-ს რეორგანიზაცია, ატლანტისტური ბლოკის გლობალური უსაფრთხოების სისტემად გარდაქმნა და მასში რუსეთის შესვლა. მსოფლიო პოლიტიკის უმკაცრესი რეალიები ქართული პოლიტიკური ნაცარქექიობით ვერ დაიფარება.

ლუსტრირების პროცედურამ უნდა გამოიწვიოს ხელისუფლების შეცვლა და მრავალ ადამიანს საერთოდ უნდა აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა. ლუსტრაცია ქართული კულტურის დიდ შერყევას გამოიწვევს, რადგან მრავალი ხელოვანი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე დამდაბლდება ქვეყნის თვალში და ერისკაცის სახელით საფლავში ჩასული მრავალი ადამიანი გაიკილება. ლუსტრაციის ისე წარმართვა, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ექსსოციალისტურ და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საქართველოში შეუძლებელია. შევარდნაძის კორუფციულ ქსელში ჩართული იყო ინტელიგენციაც, რომელსაც ეშინოდა, რომ გამსახურდიას მთავრობას მისი ლუსტრირება არ დაეწყო, რითაც ის ოპოზიციაში მყოფ ინტელიგენციას დაემუქრა. სამოქალაქო ომის დროს უშიშროების არქივის ნაწილი დაიწვა. ამ არქივშია არა მხოლოდ 20-30-იანი წლების საქართველოს, არამედ ქართველთა მოდგმის ნამდვილი სახე.

თუ აზიისა და აფრიკის ხალხები კოლონიალიზმის დროს ინარჩუნებდნენ წინააღმდეგობის უნარს და რეპრესიების მიუხედავად აგრძელებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ქართველებს მსგავს ვითარებაში არ აქვთ ძალა, რომ აღდგნენ და იბრძოლონ. ეროვნული მოძრაობა დამარცხდა და დისკრედიტაცია განიცადა თვით იდეამ ეროვნული მოძრაობისა. ინტელიგენციას თავისი ძველი ავტორიტეტიდან ძონძებიღა შერჩა და ლუსტრაცია მას ამ ძონძებსაც შემოაცლის. ამდენი ხნის გასვლის მიუხედავად, მან თავისი წრიდან წინ ვერ წამოსწია უმწიკვლო წინამძღოლნი. ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდანვე ყველაფერი ძალადობისა და სიცრუის გზით წარიმართა. ცოდვა ცოდვას დაედო და დაირღვა სამოქალაქო კონსენსუსი.

არსებობს დიდი შესაძლებლობა, რომ ლუსტრირება შურისძიებას დაედოს საფუძვლად და მკვდრებიც აღარ დააყენონ საფლავში. არსებული პოლიტიკური მტრობის ვითარებაში ლუსტრირება შურისგების მიზნით შეიძლება გაყალბდეს და სალუსტრაციო სიები პროსკრიპციულ სიებად იქცეს. დამალული წარსული და დიდი კორუფცია ერთურთს არის შეზრდილი საქართველოში. მათ ერთიანობას კი მავანთა ხელისუფლებაში ყოფნა განამტკიცებს. კორუფცია ვერ აღმოფხვრილა, იმის მიუხედავად, რომ მას ებრძვის ხელისუფლების ყველა შტო, მას ებრძვის მთელი წყება NGO-ებისა და დემოკრატიის ინსტიტუტებისა. მასთან ბრძოლაში ხელისუფლებას ეხმარებიან „მეგობარი ქვეყნები“. ყველაფერი ეს არის ბლეფი, რომლითაც ატყუებენ ერთმანეთსა და საკუთარ თავს. ლუსტრირების დასაწყისი შეუძლებელია არ შეეხოს კორუფციულ ქსელს, რომელიც აიძულებს ადამიანს გაისვაროს, რათა მასზე არსებობდეს კომპრომატი და ამ გზით მოიპოვება კომპრადორული ბურჟუაზიის ერთიანობა.

უცხოეთში არსებობს სიძველის ცენზი. მაგალითად, 50 წლის შემდეგ ქვეყნდება მანამდე დახურული დოკუმენტები და საარქივო მასალები. საქართველოს 20-იანი წლების ბოლშევიკური რეპრესიები უკვე 80 წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ საარქივო მასალების გახსნისა ეშინიათ, რადგან თითქმის მემკვიდრეობით, ისევ იმათი შთამომავალნი არიან ქვეყნის სათავეში, ვინც ამ რეპრესიებს ხელმძღვანელობდა. ვარლამთა და აბელთა ოჯახები დღეს დემოკრატიას ასწავლინ, ეკლესიებს აგებენ.

ქვეყანა, რომელსაც ეშინია თავისი წარსულისა, სულ მალავს და ასხვაფერებს მას, თავისი მომავლისაც ეშინია. ამაოდ შეჰყურებს საქართველო დასავლეთს, ელოდება რა მისგან სიუხვეს. ჩვენი თაობა არის ის, ვინც ისტორიის ნემეზიდის შურისგებას უნდა შეეგებოს და ემზადოს არა მშვიდობისათვის, არამედ ომისათვის. მომავალი საზარელია და ჩვენი თაობა გახდება მოწმე ადამიანის დაცემის აპოთეოზისა. დიდი კათარზისი დიდ ტანჯვასა და ადამიანის ძალთა უკიდურეს დაძაბვაში უნდა იშვას.

სხვა მომავალი არ არსებობს.

გოჩა გვასალია

შარლემანის აჩრდილი, ანუ ევროპული ახალი წელი

დასაწყისი გვ. 9

ინტეგრაციის გეოპოლიტიკა

1950 წლები გერმანიის თავბრუდამხვევი განვითარების წლებია, რომელმაც გადაუსწრო სხვა ევროპულ სახელმწიფოებს ეკონომიკის აღორძინების ტემპებით და დაბადა შიში გერმანიის ძლიერების აღდგენისა. ამიტომ ევროპის ინტეგრაციის იდეა აუცილებელი შეიქნა. პირველ რიგში კი ერთიანი ევროპის კონცეფცია — (მისი აქტიური შემქნელების იდეოლოგიური მოტივაციის მიუხედავად) ეკონომიური ან მასონურ-მისტიკური — ემსახურებოდა „ბურჟუაზიული დასავლეთის ინტერესებს“ „საბჭოთა აღმოსავლეთთან“ დაპირისპირებაში.

არსებითად კი ის მუშაობდა შეერთებული შტატებისათვის, რომელიც 1945 წლის შემდეგ ისეთ წარმატებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ შეძლო მისი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინა არამარტო ორთავე ამერიკა, არამედ ბრიტანეთის იმპერიის დიდი ნაწილი, აგრეთვე განავრცო პოლიტიკური, ეკონომიკური (მარშალის გეგმა) და სამხედრო გავლენა ბებერ ევროპაზე, ამ სახით მან მოიხელთა კუდენოვ-კალერგის სამი „პლანეტარული ზონა“. ევროპის გაერთიანება ამტკიცებდა ატლანტიკურ ბლოკს, ხელს უწყობდა მის კონსოლიდაციას „საბჭოთა საშიშროებასთან“ დაპირისპირებაში.

ამას გარდა, ევროპის საზოგადოება მიმზიდველი მაგნიტი იყო საბჭოთ გავლენის ქვეშ მოქცეული აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებისათვის. გამოდიოდა რა თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან, აშშ-მ განავრცო ევროინტეგრაცია, ზრუნავს მისი ატლანტიკური ლიბერალური ორიენტაციისათვის და ანტიკომუნისტური მიმართულებისათვის. ცივი ომის ეპოქაში აშშ-ს არ ჰქონდა ევროპის გაერთიანების გამო განგაშის მიზეზი. ნებისმიერი ეკონომიკური და პოლიტიკური ნაბიჯი ამ მიმართულებით ხელს აძლევდა ამერიკელებს.

ევროინტეგრაციის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეიცვალა 80-90-იან წლებში ვარშავის ხელშეკრულების დაშლის შემდეგ. ბერლინის კედლის დაცემამ, აღმოსავლეთ ევროპის ანტიკომუნისტურმა რევოლუციებმა და მასზედ მოყოლებულმა სსრკ-ს დაშლამ გამოიწვია ორი მსოფლიო პოლუსიდან ერთის მოულოდნელი ლიკვიდაცია, რომლის საწინააღმდეგოდაც იყო მიმართული დასავლეთის მთელი ინფრასტრუქტურა (ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური). ევროპას ახლა შეეძლო აბსოლუტურად ახალ პირობებში განვითარება — აღმოსავლეთით მის საზღვრებთან უკვე აღარ იყო კაპიტალისტურ სამყაროსა და ამერიკის სიძლიერის მიმართ პლანეტარული დაპირისპირების იდეოლოგიის მქონე ძლიერი მოწინააღმდეგე.

გორბაჩოვის მიერ წამოქყებული პერესტროიკის პირველ ჯერზე „საერთო ევროპული სახლის“ იდეა ბევრის მიერ აღიქმებოდა გეოპოლიტიკურ თამაშად, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპის გადაბირება. მაგრამ მალევე გაირკვა, რომ საბჭოთა ლიდერები თუ ვინმეს ატყუებდენ, უპირველესად მხოლოდ საკუთარ თავს იტყუებდნენ, მშვიდობისაკენ მოწოდებებით ნიღბავდნენ თავიანთ უუნარობას იმპერიის მართვაში, რომელიც უკიდურეს ეკონომიკურ კრიზისში იყო. ევროპის გაერთიანება გახდა პროცესი, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთისაკენ გაფართოებასთან. ევროკავშირთან ახალი სახელმწიფოების მიერთება ავტომატიურად ნიშნავდა მათ შესვლას ნატო-ში და ამერიკის მხრიდან სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის დაწესებას მათზე. და როცა მოსკოვის მიმჭკნარმა და მორჩილმა პოზიციამ დაარწმუნა, რომ საბოლოოდ მოსკოვი ევროპელთათვის აღარ წარმოადგენდა საშიშროებას, წარმოიშვა წანამძღვრები ახალი ევროპული იდენტურობის ჩამოყალიბებისათვის.

ევროპა: კონტინენტური და ატლანტიკური

1990-იან წლებში ევროპაში დაიწყო ურთიერთდაპირისპირება ორი გეოპოლიტიკური მოდელისა — ევროკონტინენტალური და ევროატლანტიკურის. პირველი დამახასიათებელია ბებერი ევროპისათვის, უპირველეს ყოვლისა საფრანგეთისა და გერმანიისათვის, რომლებიც ტრადიციულად არ იქნებოდნენ წინააღმდეგი თავი დაეღწიათ ამერიკის მომაბეზრებელი ოპეკობისაგან და გადაექციათ ევროკავშირი დამოუკიდებელ ძალად საკუთარი არმიითა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკით. რუსეთის დასუსტება ხელს უწყობდა ამ კონცეფციის მომხრეებს, რამდენადაც აღმოსავლეთიდან სამხედრო საშიშროების არარსებობა უფლებას აძლევდა დაეწყოთ უმტკივნეულო განთავისუფლება ამერიკის ჰეგემონიისაგან. გარდა ამისა დაბნეული რუსეთისაგან სრულიად შესაძლებელი იყო ექციათ რუსეთი სასარგებლო მოკავშირედ, მისი ბირთვული და სარესურსო პოტენციალის გათვალისწინებით — ევროპის უშიშროებისა და საერთო ენერგეტიკული სისტემის შექმნაში პარტნიორად.

ევროკავშირი ევროკონტინენტალისტებისათვის წარმოადგენდა და წარმოადგენს იარაღს გეოპოლიტიკური ძლიერების მისაღწევად, რაც უფრო ერთიანი ხდება ევროპა, მით უფრო ადვილდება მისი ინტერესების დაცვა, განკერძოებულად როგორც დასავლეთის, აგრეთვე აღმოსავლეთის მიმართ. მოცემული მოდელი წამოსული ფრანკო-გერმანული ევროპეიზმიდან დე გოლ-ადენაუერამდის, წარმოჩინდა მიტერან-კოლის და შემდეგ შირაკ-შროიდერის — კლასიკური კონტინენტალისტ-პოლიტიკოსების ეპოქაში.

მეორე ევროპული იდენტობა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აშშ-ს ინტერესებთან ტრანსატლანტიკურ პარტნიორობასთან. უპირველესყოვლისა დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისათვის, რომელსაც ამერიკასთან დიდი ხნის „განსაკუთრებული ურთიერთობები“ აკავშირებს. 1990-ანი წლებიდან ატლანტიკოსების როგები შეივსო ევროკავშირში შესული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებით, რომელნიც გაჟღენთილნი არიან გუშინდელი „უფროსი ძმის“ სიძულვილითა და შურისძიებით. 2000-იან წლებში ევროატლანტიკურმა მოდელმა უპიტრატესობა ჰპოვა ევროპაში, რამდენადაც ტრადიციულ ‘კონტინენტალურ“ საფრანგეთსა და გერმანიაში ხელისუფლებაში მოვიდნენ პრომამერიკულად განწყობილი პოლიტიკოსები ნიკოლა სარკოზისა და ანჟელა მერკელის სახით. მითუმეტეს, ევროპაში ძველებურად არსებობს ორთავე ორიენტაცია. ამით განისაზღვრება ევროკავშირის ორსახოვნება. ორი ფენა ეწყობა ერთმანეთზე და მათი დაშორება მხოლოდ მოქნილი და ფაქიზი გეოპოლიტიკური პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი.

ევროპა, როგორც „სხვა მნიშველობით“

როგორ მივუდგეთ რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან წარმოქმნილ ერთიანი ევროპის სახელმწიფოს თავისი კონსტიტუციით, პრეზიდენტით და მომავალში საკუთარი შეიარაღებული ძალებით?

რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე ევროპა მისთვის რაღაც „სხვა მნიშვნელობისაა“. მათ ყველაფერი განსხვავებული აქვთ: რელიგია, კულტურის ტიპი, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური წყობა და მსოფლმხედველური შეხედულებები. ერთი სიტყვით, ორი სხვადასხვა ცივილიზაცია: ევროპული და ევრაზიული (აღმოსავლურ ქრისტიანული, ბერძნულ-სლავიანური, რუსულ-მართლმადიდებლური).

მით უმეტეს, ვეროპა რუსეთისათვის განსაკუთრებულად აუცილებელი იყო. მათთან დამოკიდებულებაში რუსეთი გამოვყოფდა საკუთრ იდენტობას. რაღაცას იღებდა და რაღაცას უარვყოფდა, მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდა, რომ ევროპული ცივილიზაცია დაფუძნებულია ერესზე. ერესში არის რაღაც ნაცნობი, რაღაც ორთოდოქსიიდან, მაგრამ ამავე დროს ეს ის არ არის. ერესისადმი ლტოლვა ყოველთვის საშიშია და მივყავართ დაღუპვამდის, თუ მასთან ძალიან ახლოს მიხვალ. რუსეთი არა ევროპა. ევროპაში რუსეთი ვერ შეძვრება, რადგან იქ არავინ ელოდება.

ევროპა კონტინენტალურია, თვითმყოფადია, შერწყმულია, თავისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია გახდეს რუსეთის მოკავშირე და პარტნიორი მრავალ პოლარულ სამყაროში. რუსებსა და ევროპელებს ამ ეტაპზე ერთი და იგივე ინტერესები აქვთ: თავისუფლად იმოქმედონ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკის ზეწოლის შერბილება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა — როგორც ეს ესმით მათ და არა ისე, როგორც ეს ოკეანის გაღმიდან მოსჩანს. რუსეთმა უნდა შეკრას ევროპასთან კავშირი. ეს მათ საერთო ინტერესებშია, რაც უფრო ერთიანი და კონსოლიდირებული იქნება ევროკავშირი, მისთვის უფრო ადვილად დააღწევს თავს — თუნდაც ნელ-ნელა — ამერიკის ოპეკობიდან. რუსეთს შეუძლია ევროპას დახმარება გაუწიოს ბირთვული ფარითა და ენერგორესურსებით.

ინტერესთა სიახლოვე კი არ უნდა მივიდეს ღირებულებების აღრევაში. მათი ღირებულებები სხვა და სხვაა. მაგრამ დღეს საერთო ინტერესები აქვთ. თავს არ უნდა მოახვიონ საკუთრი წესები, პატივი უნდა სცენ პარტნიორთა თვითმყოფადობას, რუსეთს გააჩნია ყველა შანსი ევროპასთან ნამდვილი დიალოგის გამართვისა.

მართალია ატლანტიკურ ევროპასთან, ნატოსეულთან რუსეთს არ გამოუვა რაიმე სახის დიალოგი და არც შეიძლება გამოვიდეს. ეს ევროპა ამერიკის გაგრძელებაა და შეიძლება მხოლოდ განიხილოს, როგორც ამერიკის ჰეგემონიის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. ამგავრ ევროპაში მიილტვიან რუსეთის გააფთრებული მოწინააღმდეგენი დსთ-ს ქვეყნებიდან. სწორედ ის ახორციელებს ზეწოლას მოსკოვზე უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციიების მეშვეობით. აკვირვებთ მათი ორმაგი სტანდარტებითა და მიკერძოებული, არაობიექტური შეფასებებით. ატლანტისტები ქმნიან რუსეთის „დამახინჯებულ“ სახეს მისი პოლიტიკური ლიდერებისაგან, როგორც ავტორიტარული ქვეყანა კორუმპირებული ხელმძღვანელობით.

ასე რომ, 2010 წლის 1 იანვრიდან სრულდება უძველესი მასონური ოცნება ერთიანი ევროპული სახელმწიფოს შესახებ. შარლემანის აჩრდილი ბრუნდება. უკვე ევროპაში დაძრწოდა მრავალი აჩრდილი და როგორიც არ უნდა აღმოჩნდეს ეს უკანასკნელი, რუსეთს არ სურს გაუწიოს ანგარიში მას. ეს იმათი აჩრდილია. რუსეთს სხვა საზრუნავი და სხვა ინტერესები აქვს. ბოლოს და ბოლოს რუსეთს სურს გაიგოს თავისი საკუთარი იდენტურობა, მისი მუდმივად ხელიდან მსხლტომი რაციონალური ანალიზიდან ნაციონალური „მე“.

http://www.odnako.org/blogs/show_242

რუსული ინტერნეტგვერდებიდან მოამზადა

ალ. სანდუხაძემ

ჩვენი მიმოხილვა

ოხ, ეს ვოლუნტარისტული Facebook

ქეთევან ქურდოვანიძე

სულა სულაშვილი

თამაზ ალვანელი

იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ინტერნეტ-ქსელი Facebook მრავალმხრივი მოხმარების ყველაზე ეფექტურ კომპიუტერულ საშუალებად იქცა, დღითი-დღე სულ უფრო მეტი და მეტი ყველა თაობის ადამიანი იყენებს მას. ამგვარმა განუსაზღვრელმა შესაძლებლობამ და მასზე ცენზურის ფაქტობრივმა არარსებობამ, სულ მთლად ვოლუნტარისტულ სარბიელად აქცია იგი; პორნო თუ მანიაკალური ფოტო-სურათების, უხამსი პოსტებისა და კომენტარების გამოქვეყნებით წარმოქმნილი ბილწი და წუნწუხი ნიაღვრისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად ზნედაცემულ და მანიაკალური ადამიანების, „მეგობრობის „ სიიდან წაშლა რჩება.

დიდად სამწუხაროდ, მსგავსი რადიკალური გადაწყვეტილების მიღება, ზნეკეთილი ადამიანების მიმართაც, პოზიციური „ომის“ წარმოქმნის შემთხვევაშიც გვიწევს, თუმცა პირადად, ბოლომდე ვცდილობ შევინარჩუნო დემოკრატიულობა ყოფილი თანამოაზრეების მიმართ და, პირადი შეურაცხჰყოფების მიუხედავად, არ მოვიკვეთო მეგობრობიდან. პოზიციურ „ომში“ კი, ნებსით თუ უნებლიედ, ჩართული აღმოვჩნდი: **რუსუდან კიკალიშვილთან (ემიგრირებულია პოლონეთში), სულა (-ნუგზარ) სულაშვილთან (ემიგრირებულია საფრანგეთში), თამაზ ალვანელთან (ემიგრირებულია გერმანიაში), ქეთი ქურდოვანიძესთან (საქართველო).**

ხსენებული მეგობრებიდან უმრავლესობა გახლავთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ მთავრობასთან ასოცირებული პირი, თუმცა, ამჟამად, ხუნტის მემკვიდრე ხელისუფალ მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი. მიუხედავაც იმისა, რომ არანაირი მსგავსება არ არსებობს პოლარულად განსხვავებულ ამ პოლიტიკურ ლიდერთა შორის არამედ, ერთმანეთის სრულ ანტიპოდს წარმოადგენენ, მაინც არანაირი უფლება და სურვილიც არ მაქვს , ვინმეს დავუშალო მიშას მომხრეობა. მომხრეობის მთავარ არგუმენტად კი, ჩემი ოპონენტები, სააკაშვილის დასავლურ კურსსა და ნატოსკენ სწრაფვას ასახელებენ. ცხადია, ჭეშმარიტი ეროვნული ცნობიერების ადამიანებისათვის არათავსებადი და კატეგორიულად მიუღებელიცაა საქართველოს პოლიტიკური კურსის რუსეთზე ორიენტაცია და СНГ-ში დაბრუნება, მაგრამ ჩვენ, ვერც ნატოს სატყუარაზე ვიქნებით ჩვილი ბავშვივით გამობმული, მითუმეტეს, როცა ნატო სულაც არ წარმოადგენს საქართველოსთვის პოლიტიკურ პანაცეას.

ჩემი თვალთახედვით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავალი კავკასიურ გაერთიანებაშია და ადრე თუ გვიან, ზვიად-ჯოხარისეული ერთგულება და სწრაფვა ამ სასიცოცხლო იდეალებისადმი, უცილობელ ხორცშესხმას ჰპოვებს. მთავარია, არ დავაგდოთ ეს ალტერნატიული გზა და ჩვენს გულებსა და გონებიდან არ გამოვრეცხოთ იგი. მერწმუნეთ, ნატოზე უფრო შორეული და ფუყე, ნამდვილად არ იქნება კავკასიური გაერთიანება.

სააკაშვილი კი, ისეთივე ანტიეროვნული (ზვიადის ხელისუფლების მოძულე), ანტისახელმწიფოებრივი და კაპიტულანტი ხელისუფალია, როგორიც შევარდნაძე იყო და ბევრადაც გადააჭარბა მას ქართველთა გენოციდსა თუ დიქტატორობაში. დარწმუნებული ვარ, ისტორია, სწორედ ასეთად შეაფასებს მის პოლიტიკურ მოღვაწეობას მომავალში.

საკვირველია, რომ მიუხედავად ქვეყნის ამგვარი ტოტალური კატასტროფისა (სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური... აღარაფერს ვამბობ რელიგიურ ექსპანსიაზე), ყოფილ თანამოაზრეთა შორისაც აღმოჩნდნენ პიროვნებები, რომლებიც ბედნიერ-კმაყოფილნი არიან მიშას პრეზიდენტობით და მარადიულ ხელისუფლადაც ესახებათ იგი, თვით კონსტიტუციის, სულაც, სააკაშვილის თარგზე მოჭრითაც კი! მიშას ამგვარმა უკრიტიკო მომხრეობამ, ქეთი ქურდოვანიძეს, Facebook-ში ასეთი მკრეხელობაც კი დააწერინა: „ზვიადი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მიშა სააკაშვილს დაუჭერდა მხარს“!

მიმაჩნია, რომ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ზვიადის პოლიტმეტრზე წაპოტინება, მთლად ტაქტიანი საქციელი არ უნდა იყოს!

სააკაშვილისადმი ჩემი მიუმხრობლობის გამო, ქეთი ქურდოვანიძის მსგავსი ჟესტით მეგობრობიდან წამშალა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პერიოდის ახმეტის რაიონის სოფელ ალვანის გამგებელმა (ამჟამად ემიგრაციაში მყოფმა) თამაზ ალვანელმაც.

ანალოგიური ვირტუალური კონფლიქტი მომიხდა პოლონეთში პოლიტდევნილის სტატუსით 90-იან წლებში ემიგრირებულ ქალბატონ რუსუდან კიკალიშვილთანაც, რომელიც უზენაესი საბჭოს დეპუტატისა და ყოფილი პოლიტპატიმრის ვიქტორ დომუხოვსკის მეულლე გახლავთ. იგი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერია და 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა იმდენად განარისხა, რომ საქართველოს რუკაზე ამგვარი ქმედება განახორციელა, რაც დიდი კმაყოფილებით მოუწონა თამაზ ალვანელმა: „ყველაფერი ზუსტია, ქალბატონო რუსუდან“!.

სულა სულაშვილის

რუსუდან კიკალიშვილის

გორის კომუნისტურ ხელმძღვანელობასთან პირადი საკუთრების ხელყოფის მოტივით საქართველოდან ემიგრირებულ ბატონ სულა(-ნუგზარ) სულაშვილს, 2012 წლის 7 დეკემბრისათვის, პროფილის სურათად საქართველოს რუკა ამგვარი მდგომარეობით ეყენა, რამაც ჩემი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია და მივწერე, რომ ამით მან გამოხატა მტრული სურვილები საკუთარი სამშობლოს მიმართ. ბატონმა სულამ, ენერგიული კამათის შემდგომ, თუმცა მოხსნა ჩემს მიერ გაპროტესტებული რუკა პროფილიდან, მაგრამ მეგობრობიდან წამშალა.

ჩემი მწვავე რეაქცია კი ასეთი იყო:

Leila Tsomaia ქალბატონო, რუსუდან, საქართველოს არ უნდა შეჰკადროთ და გაუბედოთ ასეთი შეფასება, თანაც რუკაზე! 1 ოქტომბრის არჩევნებზე მოხდა ის, რაც სააკაშვილის 2004 წლის არჩევნებზე, - ხალხს სძულდა შევარდნაძე და ხმას მისცემდა ნებიესმიერ ალტერნატივას . დღევანდელ საქართველოსაც სძულს მტარვალი, კაპიტულანტი, ხარბი და გაუმაძღარი მოქკავშირულ-ფსევდო ნაციონალური ხელისუფლება სამარცხვინო პარანოიდული ლიდერ სააკაშვილით, რომელსაც არჩევნების გზითაც კი არ სურს ჩამოსცილდეს ხელისუფლებას!

Rusudan Kikaleishvili საქართველომ ზუსტად აჩვენა, რომ თვალებში გუგების ნაცვლად 2 ლარიანები აქვს ... უფულო ივანიშვილს არც კი დაელაპარაკებოდნენ დღეს მისი გამარჯვებით აღფრთოვანებულები ... ეს ჩემი კედელი მაინც დამიტოვეთ ჩემად და 60 წლის ქალს ნუ მასწავლით რისი შემრცხვეს და რა არ ვიკადრო ... დამდეთ პატივი

Leila Tsomaia 1 ოქტომბრის არჩევნებში, ოფიციალური მონაცემებითაც 40% ამომრჩეველმა არ მიიღო მონაწილეობა, რაც არ უნდა გაძლევდეთ იმის საფუძველს, ეს აკადრეთ საქართველოს (ამის უფლება მხოლოდ ილიას, აკაკის, ვაჟას და ზვიადის დარ მამულიშვილებს აქვთ და არა, საქართველოდან გახიზნულ ქართველებს), რაც შეეხება თქვენს კედელს, იგი რეალურად საზოგადოებრივი ქსელია და თქვენ საქვეყნოთ გააბახეთ საქართველო, რასაც მიშისტი ქართველი ემიგრანტების მსგავსად, ნამდვილად ვერ მოგიწონებთ. ამ პოსტს საარქივოდ შევინახავ!

ამასთანავე, თამაზ ალვანელი, რუსუდან კიკალიშვილი და ქეთი ქურდოვანიძე, ჟამიდან – ჟამამდე აქვეყნებენ (რომელიღაც მათგანის მიერ შედგენილ) ბრალდებების ჩამონათვალს ზვიად გამსახურდიას ოპოზიციონერებისა, რითაც ცდილობენ იდენტიფიცირებას სააკაშვილის ოპოზიციონერების ბრალდებებთან ამ უკანასკნელის „გაკეთილშობილების“ მიზნით, რაც ასევე არასწორ საქციელად მივიჩნიე:

Leila Tsomaia სააკაშვილის მომხრეობის გასამართლებლად, არა მგონია ასეთი ყურით მოთრეული და თითიდან გამოწოვილი „ პარალელების“ შედგენა, ზვიადის დაფასება იყოს! შეეშვით ზვიადის სახელით სპეკულირებას, მას ჩრდილს აყენებთ!

შენიშვნების გამო მეგობრები გამინაწყენდნენ, თუმცა ორ მათგანთან დღემდე მაინც ვინარჩუნებ ვირტუალურ მეგობრობას!

ლ.ტ.

კლარა შედანია გარდაიცვალა

კლარა შედანია - ქალბატონი, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ დედას ვუწოდებდით, რომელიც, აგრეთვე იყო ბიოლოგიური დედა 1991 წლის 22 დეკემბერს უზენაეს საბჭოს შენობის დაცვის დროს ხუნტის მიერ მოკლული ვარაზ ვარაზაშვილისა.

კლარა შედანია იმ დიდი და გმირი ქართველი დედების ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ, რომლებიც საკუთარ შვილებს სამშობლოსათვის ომში გზას ულოცავდნენ. და, 1991 წლის 22 დეკემბერს, როდესაც იმპერიალისტურმა რუსეთმა შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ქალბატონმა კლარამ თავისი უმცროსი შვილი სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობის დასაცავად უყოყმანოდ გაუშვა და თვითონაც მიჰყვა. ვარაზმა უზენაესი საბჭოს შენობაში შესვლა მოახერხა, ქალბატონი კლარა კი გარედან შეეცადა მონაპოვარის დაცვასა და მომიტინგეთა მობილიზებას. მე მას პირველად უნივერსიტეტის ეზოში შევეყარე, იგი ხალხს ამხნევებდა და ეროვნული ხელისუფლების დაცვისაკენ მოუწოდებდა. იგი და მისი შვილი წმ.ილია მართლის საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ, შვილი მუსიკოსი, თავად ქ-ნ კლარა კი ექიმი. 33 წლის ვარაზი, რომელიც 26 მაისს იყო დაბადებული, თავის გულში აღტკინებით ატარებდა ამ დღის აღმაფრენას, იგი ჯერაც უცოლო იყო.

უნივერსიტეტის ეზოში, როდესაც ქალბატონი კლარა ხალხის მობილიზებას ახდენდა, სწორედ მისი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა სიბრალულით და მწუხარებით ჩაილაპარაკა: „ვარაზიც მოკლეს...„ წუთით გაჩერდა დედის გულიც, გახევდა.

ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრის, ალექსანდრე სანდუხაძის გადმოცემით, როდესაც შინაური მტრების ძალისხმევით საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრა, ქალბატონ კლარას ასეთი რამ უთქვამს: „თუ ჩემი შვილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირება, მე ბედნიერი დედა ვიქნებიო!„

1991 წლის 4-5 ოქტომბერს, როდესაც კრემლისგან მართულმა ოპოზიციამ პირველი გასროლები განახორციელეს მთავრობის დამცველ მომიტინგეთა წინააღმდეგ (მოკლეს ერთი -ტეტელაშვილი და დაჭრეს ათობით მშვიდობიანი მომიტინგე) და იმელის წინ არმატურებით და ქვა-ღორღით გადაკეტეს რუსთაველის გამზირი, ქალბატონმა კლარა შედანიამ ორგანიზება გაუკეთა ეროვნულ ძალებს, იმელის მიმართულებით დაძრა და მისი თაოსნობით შიშველი ხელებით გაწმინდეს რუსთაველის გამზირი ჯართის ბარიკადებისაგან, თუმცა წერეთლის პარტიელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ეროვნულ ძალებს და რკინის თავში ჩარტყმით მოკლეს ერთ-ერთი მათგანი ედიშერაშვილი, ხუთი შვილის მამა.

ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე, ქალბატონი კლარა იყო მომიტინგეთა მზრუნველი დედა, რომელიც საკუთარ სახლში (ენგელსის, ამჟამად ლადო ასათიანის ქუჩაზე) აპურებდა და ასვენებდა ათობით მშიერ და დაღლილ მომიტინგეს, რისთვისაც დიდად ემადლიერებოდნენ მას ზვიადი და მერაბი.

ქალბატონ კლარა შედანიას, როგორც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს, არც საკუთარი შვილის შეწირვისა და არც კანონიერი ხელისუფლების განდევნის შემდგომ შეუწყვეტია ბრძოლა ხუნტისტური რეჟიმის წინააღმდეგ, იგი ეროვნული ხელისუფლების მოყვარე და ბოლომდე ერთგული დარჩა. მას ეამაყებოდა ზვიადის პრეზიდენტობა, მას ღვიძლი შვილივით უყვარდა ზვიადი. ქალბატონმა კლარამ, დაღუპული შვილის, ვარაზის ვიოლინო გაყიდა, რათა გროზნოში მოენახულებინა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მისი ოჯახი. არასოდეს დამავიწყდება, როგორი სათნოებითა და მშობლიური მზრუნველობით არჩევდა იგი გროზნოში წასაღებ ხილსა და სულგუნს მაშინდელი დეზერტირების ბაზარში დევნილი პრეზიდენტისათვის წასაღებად. უსაზღვრო იყო ბატონი ზვიადის სიხარული გროზნოში ჩვენი მოულოდნელი სტუმრობისა. ზვიადი, როგორც დედას ისე ესათუთებოდა ქალბატონ კლარას, კლარა კი, როგორც სანუკვარ შვილს. ზვიადი უბოდიშებდა და უსამძიმრებდა ვარაზის დაღუპვის გამო და ორივენი თავშეკავებით იცრემლებოდნენ.

ამაღლებული წუთები იდგა...

ქალბატონმა კლარამ უდიდესი პატივი და ამაგი დამდო მეც, როგორც რეპრესირებულსა და პოლიტპატიმარს. სიცოცხლის უკნასკნელ წუთებამდე გამითბობს გულს მისი მშობლიური ამაგისა და მზრუნველობის მადლი.

ამ სურათზე, ქალბატონი კლარა, ჩემს გვერდით, შავებით მოსილი და ნაღვლიანი მზერამოსილებით დგას. იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთსულ და ერთხორც იგლოვდა შვილსაც და ზვიადს. ამ მეორე ფოტოზე კი მისი შვილი, ერთ-ერთ მიტინგზე კიბეზე ზის, როგორც პატრიოტი და თბილისურ-ინტელიგენტური უბრალოებით.

ამაღლებული და ვალმოხდილი წავიდა ამა სოფლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დედა კლარა შედანია, შევარდნაძის ხუნტისტურ თუ სააკაშვილის ხუნტისმემკვიდრე ხელისუფლებებთან, ერთნაირად შეურიგებელი და უკომპრომისოდ მებრძოლი ქალბატონი.

ნათელი დაადგეს მის დიად სულს!

ლეილა ცომაია

სრულიად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უღრმესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1992 წლის 3 იანვარს, მეტრო დიდუბესთან ხუნტის მიერ დახვრეტილი სტუდენტის გივი რეხვიაშვილის ძმა

ნუგზარ რეხვიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის გულმოკლულ დედას ჟანა რეხვიაშვილს, რომელმაც ის დარჩენილი ერთადერთი შვილიც, გივისა და მათი მამის გვერდით, მიაბარა ბოლნისის მიწას. შევსთხოვთ უფალს, რომ ნუგეში სცეს სრულიად ეულად და მარტოდ დარჩენილ დედას და შეუმსუბუქოს შვილების მოწყვეტით გამოწვეული მწარე- ტკივილიანი მწუხარება.

საქართველოში ბავშვები ჯვლავ შიმშილით იხოცებიან!

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში სულ უფრო მეტი სიხშირით ისმის საქართველოში მატერიალური სიდუხჭირის ნიადაგზე ოჯახების ნგრევის, მკვლელობების, თვითმკვლელობებისა თუ შიმშილით გარდაცვლილთა შესახებ ხმები. შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან დღემდე გასაიდუმლოვებული და პოლიტიზირებული სტატისტიკის სამმართველოდან მონაცემების

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო

გამოთხოვას აზრი არა აქვს, იმდენად, რამდენადაც, იგი არ ასახავს ზუსტ სტატისტიკას. ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ვერც მილიარდერი პრემიერის, თითქმის რვა მილიარდიანმა სახელმწიფო ბიუჯეტმა უშველა. გაეროს ბავშვთა ფონდის ინფორმაციით საქართველოში 77 000 ბავშვი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს („საქინფორმი“, 25 მარტი,2013).

22 მარტს ბათუმის დედათა და ბავშვთა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში შიმშილით გარდაიცვალა ერთი წლის გოგიტა აბაშიძე, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოდან იქ შოკურ მდგომარეობაში მიიყვანეს. გოგიტა, ახალგზრდა ცოლ-ქმრის მეოთხე შვილი იყო და მიუხედავად სიღატაკისა ისინი სოციალურად დაუცველთა პროგრამაში არ ჩასვეს. სამარცხვინო, ტრაგიკული და შემაძრწუნებელი ფაქტია, რომ საქართველოში, უწამლობითა და შიმშილით დღესაც იხოცებიან ბავშვები, ხოლო ჩვენი ხელისუფალნი კი, კვლავაც სიმდიდრესა და განცხრომაში ცხოვრობენ! საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი დარჩა, თუ რა მოიმოქმედა, რა იღონა ივანიშვილის ჯანდაცვამ 1 წლის შიმშილით კომაში ჩავარდნილი და გამოფიტვით დაბერებული ბავშვის გადასარჩენად, მას შემდეგ მაინც, რაც ბავშვი საავადმყოფოში მოხვდა!

აწ უკვე არავისთვისაა დამალული, არამედ საჯაროდ გაცხადებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი 20 წლის განმავლობაში კოლოსალური თანხებით აპურებდ- აფინანსებდა ასობით იმ რეჟისორ- მსახიობებსა და ხელოვნების დარგის იმ მუშაკებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობაში, რის ტოტალური კატასტროფის შედეგებსაც იმკის დღეს ქართველი ერი.

არადა, ივანიშვილს რომ თავისი ფინანსები ხალხის სოციალური დონის გაუმჯობესებისა და დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტისაკენ მიემართა, დღეს აღარ გვექნებოდა შიმშილით სიკვდილის სამარცხვინო და შემაძრწუნებელი ფაქტები და ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეც არ აღმოჩნდებოდა. ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილმა კი, პარლამენტსა და მთავრობაშიც მოიყვანა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობაში მონაწილე თეატრალები და პოლიტიკური ძალები, დაუნიშნა მაღალი ხელფასები, ხოლო ხალხი კი კვლავ სულს უწამლობითა და სიდუხჭირით ღაფავს!

ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ივანიშვილის მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილმა ზოგიერთმა ადამიანმა საზოგადოებისაკენ გაიშვირა ხელი და ხალხი ოჯახის მდგომარეობისადმი გულგრილობაში დაადანაშაულა. საზოგადოებას-ხალხს, შევარდნაძე-სააკაშვილმა წაართვეს ანაბრები, გამოყარეს სამსახურებიდან, მოუშალეს მეურნეობები და ისეთივე განწირულ მდგომარეობაში ჩააყენეს, როგორშიც გოგიტიძის ოჯახი. და ეს იყო მიზანმიმართული და გეგმიური სოციალური გენოციდის პოლიტიკა საკუთარი

გოგიტა აბაშიძე

ერის მიმართ, რასაც იზიარებდა ივანიშვილიც და აფინანსებდა იმ კასტას, რომელიც ისედაც პრივილეგირებულ-უზრუნველყოფილი იყო ხელისუფალთაგან.

16. „... აჰა, დავაყენებ ამ ქვეყანაში მწყემსს; მიგდებულთ არ მიხედავს, პატარებს არ მოძებნის, დასახიჩრებულს არ განკურნავს, ფეხზე მდგარს არ გამოკვებავს; მაგრამ ნასუქალთა ხორცს შეჭამს და ჩლიქებს ააგლეჯს“

ოცი წელია ასეთი „მწყემსმთავრები“ ბოგინობენ ჩვენი ბედკრული სამშობლო-საქართველოს სათავეში, რომლებმაც არ უწყიან, თუ როგორი იქნება მათი ბოლო:

17. ვაი, უმაქნის მწყემსს, ცხვრის მიმტოვებელს! მახვილი იქნება მის მკლავზე და მის მარჯვენა თვალზე; მთლიანად შეახმება მკლავი და დაევსება მთლიანად მარჯვენა თვალი !“

ძველი აღთქმა წინასწარმეტყველება ზაქარიასი (თავი11).

ინტერნეტმედიის „არჩი“–ს მონაცემებით, მდიდარი ქართველების სია კი ასე გამოიყურება:

ყველაზე მდიდარი ქართველები. 2012, 5 ივნისი, 19:55

49.ალეკო გოცირიძე-10.000.000$
48.ირაკლი იაშვილი-15.000.000$
47.არჩილ გეგენავა-15.000.000$
46.თემურ აპსაძე-20.000.000$
45.ავთანდილ ჯორბენაძე-20.000.000$
44.აკაკი ჩხაიძე-20.000.000$
43.ლევან პირველი-22.000.000$
42.გია შერაძე- 25.000.000$
41.კახი კალაძე-40.000.000$
40.თამაზ გაიაშვილი-42.000.000$
39.გოგი ლიპარტელიანი-50.000.000$
38.ილო მოსიაშვილი-50.000.000$
37.ვანო ზოდელავა-50.000.000$
36.ლაშა პაპიაშვილი-50.000.000$
35.ნუგზარ შევარნადძე-50.000.000$
34.კოტე გოგელია-50.000.000$
33.გოგი თოფაძე-50.000.000$
32.თემურ უგულავა-60.000.000$
31.ლაურა ღაჭავა-60.000.000$
30.მაია რჩეულიშვილი-80.000.000$
29.ალექსანდრე ებრალიძე-82.000.000$
28.ტარიელ ონიანი-100.000.000$
27.სანდრო მეჯევიძე-100.000.000$
26.პაატა კურტანიძე-100.000.000$
25.ვანო ჩხარტიშვილი-100.000.000$
24.ფრიდონ ინჯია-100.000.000$
23.კახა ოქრაიშვილი100.000.000$
22.პანტიკო თორდია-150.000.000$
21.ვალერი მელაძე-150.000.000$
20.მამუკა ხაზარაძე156.000.000
19. მიშა მირიაშვილი-200.000.000$
18.თემურ ქარჩავა-210.000.000$
17.ლევან ვასაძე-225.000.000$
16. ბუტა ელიავა-250.000.000$
15.შოთა ბოტერაშვილი-270.000.000$\
14.დავით ბეჟაშვილი-300.000.000$
13.აბრამ ნანიკაშვილი-320.000.000$
12.თამაზ სომხიშვილი-325.000.000$
11.კახა ბენდუქიძე-900.000.000$
10.ანზორ კიკალაშვილი-1.000.000.000$
9.გიორგი ჯოხთაბერიძე-1.000.000.000$
8.დავით ჟვანია-1.000.000.000$
7.ზურაბ წერეთელი-2.000.000.000$
6.თენგიზ ხასაია-2.500.000.000$
5.დავით იაკობაშვილი-2.700.000.000$
4.თემურ სეფიაშვილი-3.100.000.000$
3.ნიკოლოზ გოგიტიძე-4.000.000.000$
2.ტარიელ ვასაძე-5.000.000.000$
1.ბიძინა ივანიშვილი- 8.000.000.000$

ამ სიაში არ ფიგურირებენ პატარკაციშვილები, მინდია გულუა, ვალერი გელაშვილი, მოსკოვში მოღვაწე სამტრედიელი ბიზნესმენი მერაბ ელაშვილი, გულიკო ხარჩილავა და სხვები. და რაც ყველა მდიდრის მიმართ უნდა ითქვას, არც ერთ მათგანში არ გაჩნდა კეთილი ნების ჟესტი, რომ შეექმნათ „საქართველოს ღატაკთა დახმარების ფონდი“, სადაც გარკვეულ თანხებს გადარიცხავდნენ და შიმშილით სიკვდილსაგან გადაარჩენდნენ თანამემამულეებს.

ქეთევან ჭანტურია

მივყვეთ მძმე-ჯაჭის გზას!

გლახო კარგარეთელი

ჩვენს საზოგადოებაში მკვიდრდება ე.წ. „ევროპული განმანათლებლური იდეები“ და ამ განმანათლებელთა მიმართ ჩვენი სიმპათიებისა თუ გულისყურის მიპყრობის ტენდენცია.

ახალი ტიპის ქართველმა მედასავლეთეებმა ლამისაა ხაზი გადაუსვან 1500 წლოვან ქართულ ლიტერატურასა და უხსოვარ დროინდელ ქართულ კულტურას. ბოლო ხანებში ამგვარ ნიჰილისტთა მებაირახტრედ გვევლინებოდა ინტელექტუალად სახელდებული ლევან ბერძენიშვილი, რომელიც საჯაროდ აცხადებს „მე არ ვიცნობ ისეთ მწერალს, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე“! ისინი მონიწებით უხრიან ქედს ჯეიმს ჯოისს, ჰესეს, ოსკარ უალიდს, ბერნარდ შოუს და სხვ. მათი აზრით, ვისაც არ წაუკითხავს ჯოისის „ელისე“, ის არასრულფასოვანი ადამიანია.

რომელი ჭკუათმყოფელი უნდა იყოს განათლებულობისა და განმანათლებლების წინააღმდეგი? მაგრამ აქ საქმე გვაქვს შენიღბულ მზაკვრობასთან; რამდენიმე საუკუნეა ამ კეთილშობილური სიტყვებით შენიღბული ორგანიზაციები და მათი ფარული წევრები თავგზას უბნევენ კაცობრიობას და მიაქანებენ საყოველთაო გადაგვარებისაკენ, კლავენ მასში ღვთიურსა და ჭეშმარიტ ადამიანურს. მათი მთავარი მიზანი ხომ ადამიანში ადამიანურის მოსპობა და მისი მარტივ, ბიოლოგიურ არსებებად გადაქცევაა. ასეთები გვმოძღვრავენ, რომ გავწყვიტოთ ჩვენს ტრადიციებთან კავშირიო და ვიქცეთ ისეთ ბიოლოგიურ არსებებად, რომელთა საბინადროა დღევანდელი ევროპა, ცივილიზებული დასავლეთი, სადაც განადგურებულია ოჯახი, მოშლილია ნათესაური კავშირები, მამა შვილს იპარავს, მალავს სარდაფში, მასთან თანაცხოვრებით აჩენს შვილიშვილებს, დაძმა სარეცელს იყოფენ! ქალი ქალთან ცხოვრობს, კაცი-კაცთან! აღარ არსებობს კავშირი თაობებს შორის, მოხუცებული დედ-მამა შვილების უნახავად ლევს სულს უპატრონოთა სახლებში, დასაფლავებაზეც კი არ ესწრებიან შვილები და ა.შ.

ვინ არიან ილუმინატები?

ლათინურად illuminati — „განმანათლებელი“, ამ სახელწოდებით სხვადასხვა ეპოქაში არსებობდა ოკულტურ-ფილოსოფიური მიმდინარეობების ნაირგვარი გაერთიანება. ილუმინატების წინაპრები ორიათასი წლის წინაც არსებობდნენ და ებრძოდნენ ქრისტეს, ღმერთს, ხალხს...

როგორც ცნობილია, ილუმინატების ლოჟა დაარსდა მე-18-ე საუკუნის ბოლოს გერმანიაში, მაგრამ არსებობს მასალები, რომლებიც გადმოგვცემენ, რომ ილუმინატთა წინამორბედი ორგანიზაცია, ჯერ კიდევ 11-ე საუკუნის ბოლოდან არსებობდა. ისინი ძარცვავდნენ მდიდარ მოქალაქეებსა და ურთიერთშორის იყოფდნენ ნაძარცვს. მე-14-ე საუკუნეში კი მათ უნდა შეეწყვიტათ არსებობაო. ჰასანსა და საბაჰს, ილუმინატები, 1092 წელს დაუარსებიათ. 1623 წელს მათ შეუღწევიათ ესპანეთის მინაზე და მოსდებიან მთელს ევროპას. ეპას ლევის მიხედვით ილუმინატები ზოროასტრასელებს უნდა დაეარსებინათ და მე-12-საუკუნეში ტაძრის რაინდებს ევროპაში უნდა შემოეტანათ...

როგორც ორგანიზებული, სისტემური ორგანიზაცია „ილუმინატები“ მეიერ ამშელ როტშილდის დავალებით ადამ ვაისჰაუპტის მიერ დაარსდა 1776 წლის 1 მაისს. კავშირს თავიდან ეწოდებოდა დერ Bუნდ დერ Pერფეკტიბილისტენ (სრულყოფილების კავშირი). ამ პატარა საიდუმლო კავშირში ახალგაზრდა ადეპტებს, უმეტესად სტუდენტებს, ეძლეოდათ საშუალება სიმშვიდეში ეკითხათ რევოლუციური იდეებით გამსჭვალული განმანათლებლობის აკრძალული ტექსტები და ეკამათათ. ეს კავშირი კლუბიდან მალევე გარდაიქმნა „ფუტკართა ორდენად“, შემდეგ კი იწოდა ილუმინატებად — განმანათლებლები. ორდენმა მიზნად დაისახა მთელს ევროპაში ეკლესიისა და დიდგვაროვანთა ძალაუფლების მოსპობა და უფრო სრულყოფილი გაეხადათ ადამიანთა ბატონობა ადამიანებზე „განმანათლებლობითა“ და ზნეობრივი „გაუმჯობესებით“. მათ სახელთან არის დაკავშირებული უამრავი შეთქმულების თეორია და რევოლუცია, მათ შორის საფრანგეთის, ინგლისის, ნიდერლანდების რევოლუციები, ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, სწრაფვა მსოფლიო ბატონობაზე და ა. შ. თავიანთი კვალის დასაფარად ილუმინატთა წევრებმა მიიღეს ფსევდონიმები, გაასაიდუმლოეს ქალაქების სახელებიც.

ვისაც წაუკითხავს მე-19 საუკუნის სიონისტებისა და მასონური ლოჟების ოქმები, მან ბრწყინვალედ იცის, თუ რა მეთოდებით მოქმედებდნენ ეს შავ-ბნელი ძალები სხვადასხვა ერის წინააღმდეგ. ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ დროა და საჭიროა ავამოქმედოთ ჩვენი აგენტები: „კლასიკური ლიტერატორები“, მუსიკოსები, მხატვრები, მომღერლები, სხვადასხვა რელიგიური ორდენები, რათა ზნეობრივად და მორალურად გავხრწნათ ხალხი, დავავიწყოთ ქრისტიანული სარწმუნოება, ყოველგვარი ეროვნული, გავხადოთ მატერიალისტები, რათა იფიქრონ მხოლოდ მატერიალურ სიმდიდრეზე და დაივიწყონ სული. ყოველგვარი ასეთი ქმედებით, სისხლთა აღრევით მოვსპოთ ფაქტიურად არსებული საზღვრები სახელმწიფოებს შორის. ევროპის ადამიანი ჩვენი ბრმა იარაღია, რომელსაც გამოვიყენებთ მთელი მსოფლიოს დასაპყრობადო.

ილუმინატთა სპეკულაციებმა ახალი საზრდო ილუმინატების აღორძინებით 1836 წელს მიიღო, იულიამ ჰ. რასელმა, იელის ცნობილი უნივერსიტეტის სტუდენტმა იმ დროისთვის დაარსა ახალი საიდუმლო კავშირი „თავის ქალა და ძვლები“, ის ახალი დაბრუნებული იყო ევროპული სტუდენტობიდან, მოიარა გერმანიაც და კავშირი დაუმყარებია გერმანულ საიდუმლო საზოგადოებასთან. დიდი გავლენის მქონე „თავის ქალა და ძვლები“ დღესაც არსებობს (სახვადასხვა სახელებით: „ლოჟა 322“, „სიკვდილის ორდენი“). მისი წევრები იყვნენ და არიან უამრავი ამერიკელი პოლიტიკოსი და ოლიგარქი, მათ შორისაა ჯორჯ ბუში უფროსი, კაცი, რომელიც წარმოადგენს საშიშ სახეს „ახალი მსოფლიო წესრიგისას“. საფუძველს მოკლებული არ არის ის მოარული ხმებიც, რომ მისტიური „თავის ქალა და ძვლები“ უნდა იყოს გერმანული საიდუმლო ორგანიზაციის მემკვიდრე, რომელსაც ამჯერად შეუსრუტავს აშშ-ს ელიტა. ეს იმით დასტურდება, რომ ამერიკული კლუბი ილუმინატების ზოგიერთ ისტორიულ რიტუალს ინახავს.

ილუმინატების სტრატეგია კონსპირაციაა. პოლიტიკურ ტაქტიკად კი იყენებდნენ და იყენებენ ნგრევას. ილუმინატები ბავარიის საცენზურო უწყებებში თავიანთ ხალხს სვამდნენ — შესანიშნავი საჭადრაკო სვლაა საკუთარი იდეების გასავრცელებლად და არაკეთილგანწყობილი მოწინააღმდეგის სვლების აღსაკვეთად.

როგორც სახელმწიფოების პრეზიდენტები, პიროვნებები ირჩევიან ილუმინატების მონურად მორჩილი ფავორიტებისაგან, რომელთა წარსულში შავი ლაქებია, რაიც მათ ილუმინატების მითითებების მორჩილ შემსრულებლებად ხდის. ეს კი ილუმინატებს აძლევთ კანონების ინტერპრეტაციისა და კონსტიტუციური ცვლილებების შესაძლებლობას. პრეზიდენტს ანიჭებენ ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების უფლებას, რათა მთელი სამხედრო ხელისუფლება აღმოჩნდეს ილუმინატების ხელში. ხოლო მათ მიერ არახელდასმულმა მმართველებმა ზრდილობიანად უნდა თქვან უარი მიღებულ სახელმწიფო მმართველობაზე და თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე. მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირთა გამყიდველობით მთავრობები საგარეო ვალების აღებით უნდა მოექცნენ ილუმინატების კაბალაში, სახელმწოფო ვალების საგრძნობლად გასაზრდელად. ილუმინატების მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მეშვეობით, მიმოქცევიდან მოიხსნება ყველა ხელმისაწვდომი ფული, „არაილუმინატების“ ფულადი მრეწველობის დასამხობად. ფულის ძალაუფლებამ უნდა მიაღწიოს თვითმპყრობელობას ვაჭრობასა და კომერციაში, რათა მრეწველებმა ფულის მეშვეობით პოლიტიკური ძალაუფლებაც მოიპოვონ. ილუმინატების გვერდით ყოფნა შეუძლიათ მილიონრებს და მათზედ დამოკიდებულ უქონელ პოლიციელებსა და სამხედროებს.

ჩვენ ხომ ყოველივე ეს ამ ოციოდე წლის წინ ვიწვივნეთ საკუთარ თავზე. ჩვენ გავხდით მოწმენი არაილუმინატი პრეზიდენტისა და ეროვნული მთავრობის დამხობისა, რომელშიც შავ მუშახელად რენეგატი ქართველები გამოიყენეს, რომელთა მეშვეობით მათ გაანდგურეს ჯანსაღი ეროვნულობისა და ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის უკანასკნელი ბასტიონი, ორსაუკუნოვანი ტყვეობისაგან თავდახსნილი, თავისუფლების გზაზე შემდგარი საქართველო.

საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების შემოღებით უნდა შეიქმნას უმრავლესობის თვითმპყრობელობა. აზროვნებასთან „თვითგამორკვევის“ შეგუებით უნდა გაანადგუროს ოჯახის მნიშვნელობა და მისი აღმზრდელობითი ღირებულებები. ყალბ საფუძვლებსა და ცრუ მოძღვრებებზე აღზრდის მეშვეობით უნდა გამოათაყვანონ, გააფუჭონ და გარყვნან ახალგაზრდობა.

საქართველოში ხომ ყოველივე ეს სახეზეა! სპობენ და ანგრევენ ჩვენეულ ტრადიციებს, თავისი სიწმინდითა და სიმტკიცით გამორჩეულ ქართულ ოჯახს, ქვაკუთხედსა და ბურჯს ეროვნებისას.

ყველა ამ საშუალებების მეშვეობით ხალხები იძულებულნი გახდებიან, ილუმინატებს შესთავაზონ მსოფლიო ბატონობა. ახალი მსოფლიო მთავრობა უნდა წარმოგვიდგეს, როგორც მფარველი და ქველმოქმედი იმათი სახით, ვისაც თქვენ ნებაყოფლობით ემორჩილებით (მაგ. გაერო). თუ რომელიმე სახელმწიფო ამის წინააღმდეგია, მეზობლებმა ის უნდა ჩაითრიონ ომში, თუ ისინი გაერთიანდებიან, მაშინ ხელ-ფეხი უნდა გაუხსნან მსოფლიო ომს.

ჩვენი პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენს გავეცნოთ იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთეს კავშირს ამ ორგანიზაციასთან.

გოეთე და მასონები

ახალგაზრდა გოეთე მალევე მოექცა ჰერდერის გავლენის ქვეშ, რომელიც იყო რიგის მასონთა ლოჟის „Zum Schwert“ (მახვილი) წევრი. 1780 წლის 7 იანვარს გოეთე და კარლ აუგუსტი დაბრუნდნენ შვეიცარიიდან, ათი დღის შემდეგ იოახიმ ქრისტოფ ბოდესთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გოეთემ შეიტანა მასონთა ორგანიზაციაში შესვლაზე ოფიციალური განაცხადი.1780 წლის 23 ივლისს ქრისტოფ ბოდეს მიერ ის იქნა მიღებული მასონთა ორდენ „ამალიაში“.

გოეთე და ილუმინატები

1782 წლის 16 ივლისს ვილჰელმსბადში გაფორმდა კავშირი თავისუფალ კალატოზთა და ბავარიის ილუმინატთა შორის. ამ პაქტმა გააერთიანა ორთავე საიდუმლო ორგანიზაციის 3 მილიონი წევრი. ვილჰელმსბადის კონგრესსზე დადგინდა, აგრეთვე ებრაელთა მიღება ამ ორგანიზაციაში. ბავარიელი ილუმინატებზე კონტროლის მეშვეობით ახლა როტშილდს ჰქონდა საშუალება მოეხდინა პირდაპირი გავლენა სხვა მნიშვნე;ლოვან საიდუმლო ლოჟებზეც.

1783 წელ 33 წლის გოეთე შევიდა ბავარიელ ილუმინატთა რიგებში, მიღების დოკუმენტს ხელს აწერს კვლავ ილუმინატების მეთაური ქრისტოფ ბოდე.

ბავარიის კურფურსტს 1785 წლის 11 ოქტომბერს ვაისაუპტის ასისტენტმა ცვაკმა სახლში მიაწოდა ორიოდე უმნიშვნელო ცნობა, რამაც გაამჟღავნა დამანგრეველი საიდუმლო, ამას მოჰყვა სხვა საბუთების აღმოჩენაც, რომლებიც აღწერდნენ ილუმინატების „ახალი მსოფლიო წესრიგის „ (Novus Ordo Seclorum) გეგმას. ბავარიის მმართველმა გადაწყვიტა ამ დოკუმენტების გამოქვეყნება, ეს ნაწერები დაეგზავნა ევროპის მონარქებს გასაფრთხილებლად. ვაისჰაუპტს ჩამოერთვა პროფესორის ტიტული. ვაისჰაუპტი ილუმინატების ორდენის წევრთან, საქსენ- გოტას ჰერცოგთან ერთად მიიმალა. მავანთ ეგონათ, რომ ორდენი უკვე დაიშალა, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა, ისინი გადავიდნენ იატაკქვეშეთში და განაგრძობდენ მუშაობას და მოგვიანებით კვლავ გამოჩნდნენ სხვა სახელით „DEUTSCHE EINHEIT“ — „გერმანული ერთობა“ და საზოგადოებაში ავრცელებდნენ ილუმინატების პროპაგანდისტულ ფურცლებს. სწორედ მაშინ წარმოიშვა ცნობილი ლოზუნგი „Liberté, Egalité, Fraternité.“- „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

დროზე ევროპელმა მონარქებმა, როგორც სჩანს ვერ შეიგნეს ეს საშიშროება და ამას შემდეგ მოჰყვა ფატალური შედეგები: საფრანგეთის რევოლუცია და უამრავი ტერორისტული რეჟიმები.

საფრანგეთის რევოლუციის შესახებ საუბრობს თვით ფრანგი მაღალი საფეხურის მასონი ერნარდინი: „თავისუფალი კალატოზობა იყო ის, ვინც მაომზადა საფრანგეთის რევოლუცია.“

1782 წლის 2 მარტს გოეთეს მისცეს შეგირდის ხელდასმა, იმავე საღამოს კი აიყვანეს ოსტატის ხარისხში. 1782წლის 10 დეკემბერს გოეტე მიიღეს მკაცრად განსაზღვრული რიტუალით „შიგა ორდენში“. 1783 წლის იანვარში დაარსეს „შოტლანდიის რაინდის“ წოდება, 1783 წლის 11 თებერვალს გოეთე მიიღეს ამ ორდენში „აბარისის“ საორდენო სახელით, სწრაფად მიაღწია უმაღლეს ხარისხს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კრებებში და გადაწყვეტილებების მიღებაში. ამას გარდა გოეთე გახდა ამ ორდენის ვალდებული პოეტი და ის წერდა ნაწარმოებებს მათი დაკვეთით. მაგ: „ეგმონტი“, „იპიგენია“,“ რომაული ელეგიები“... მაგრამ მისი უმთავრესი ქმნილებაა „ფაუსტი“.

გოეტე და ფაუსტი

ჰეინრიხ ფაუსტი, როგორც მისი ისტორიული პროტოტიპი იოჰან გეორგ ფაუსტი (დაახ. 1480-1538), პატივდებული მკვლევარი და მასწავლებელი ახალი ეპოქის დასაწყისში, თვითკრიტიკულად აჯამებს თავის ცხოვრებისეულ შედეგებს და გამანადგურებელ დასკვნას აკეთებს : როგორც მეცნიერს მას აკლდა სიღრმისეული წვდომა და აქედან გამომდინარე, სასარგებლო შედეგები. როგორც ადამიანს მას არ შესწევდა უნარი დამტკბარიყო ცხოვრების სიამით. თუ ის გაანთავისუფლებდა უკმაყოფილებისა და წუხილისაგან, იმედ და ილაჯგაწყვეტილი ჰპირდება ეშმაკ მეფისტოს თავის სულს, მეფისტო დებს ფაუსტთან ხელშეკრულებას სანაძლეოს სახით, აახალგაზრდავებს მას, თან იახლებს ქვეყნიერების გარშემო სამოგზაუროდ და ეხმარება მას ახალგაზრდა ქალთან მარგარეტთან (გრეტჰენთან) რომანის გაბმაში. როგორც წესი ჩნდება ბავშვი ქორწინების გარეშე, დედა კლავს ბავშვს და სასოწარკვეთისაგან ნახევრად შეშლილს აპატიმრებენ. ფაუსტს სურს ის ეშმაკის დახმარებით გადაარჩინოს სახრჩობელას და ამაოდ ცდილობს მის დარწმუნებას გაქცევაში, საბოლოოდ ის იძულებული ხდება დანებდეს ბედისწერასა და უფლის წყალობას.

იოჰან ფაუსტი -შავკანიანი დოქტორია. არსებობს საბუთები იმისა, რომ ის სტუდენტებს გადასცემდა ანტიკურ ისტორიას, სიუჟეტების ვიზუალიზაციისათვის უხმობდა გმირების აჩრდილებს. მის ბიოგრაფიას ადარებენ სიმონ ვოლხვისა (გნოსტიციზმისა და ეკლესიაში ყოველგვარი ერესის ფუძემდებელი) და ალბერტ დიდის ბიოგრაფიას. კვინთეიზმის მოწინააღმდეგე ფაუსტი მიიჩნევდა, რომ ღმერთისადმი პასიური დამოკიდებულება ეწინააღმდეგება ადამიანის შემოქმედებითს ბუნებას და მის ძალას. მის მეამბოხურ შეხედულებებს მიჰყავს ის დემონთან (გოეთესთან მეფისტოფელი) და მასთან ხელშეკრულების დადებასთან. 24 წლის შემდეგ ფაუსტი მოკლულ იქნა დემონების მიერ, ხოლო მისი სული ჯოჯოხეთში მოხვდა (გოეთესთან კი ის მაინც ანგელოზებმა გადაარჩინეს). აღნიშვნის ღირსია ის, რომ ფაუსტის ფიგურა გარშემორტყმულია მისტიკის ციალით, მაგრამ სარწმუნო ისტორიული ფაქტები, რომლებიც ამას დაადასტურებდენ, არ არსებობს. ამ თემაზე კი შექმნილია მისი ბიოგრაფიის აღმწერი რამოდენიმე ნაწარმოები („ხალხის წიგნი“ უავტოროდ, აგრეთვე წიგნები მარლოსი, კაიესა და გოეთესი).

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ყალბი პათოსი

ამა წლის 19 აპრილს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დიდი ქადილით გამოვიდა. პარლამენტში ნუგზარ წიკლაურმა და მიტინგზე გიორგი ვაშაძემ რიხით გამოაცხადეს ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების შესახებ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რა დანაქადნი განხორციელებულა, რომ ეს განხორციელდეს, მაგრამ ამ ამპარტავნულმა მიმბაძველობამ პასუხი უნდა მიიღოს.

ეროვნული მოძრაობა 1988–1991 წლებში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით სრული წარმატებით დაგვირგვინდა, როდესაც 1991 წლის 9 აპრილს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ეროვნული მოძრაობა არა მხოლოდ ფორმა, არამედ პირველყოვლისა შინაარსია, კონკრეტული შინაარსი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 26 მაისს დანიშნულ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველ საყოველთაო–ეროვნულ არჩევნებზე, როცა ხალხი თავისუფლად და დემოკრატიულად პირველად ირჩევდა სახელმწიფოს მეთაურს, წარმოადგინა საარჩევნო პროგრამა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწილებით. ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში ზვიად გამსახურდიამ ზუსტად მიუთითა თუ რა არის ქართული ეროვნული მოძრაობა, აჩვენა მისი უმთავრესი არსი.

„ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან. თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ–ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მარტო განკერძოებული ეროვნულ–პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით„.

ზვიად გამსახურდიამ მიუთითა არა მხოლოდ მორალურ–პოლიტიკურ მხარეზე, არამედ ნათლად აჩვენა ეკონომიკური სისტემა, რომლის ჩამოყალიბებისთვის იღვაწებდა გამარჯვებული ქართული ეროვნული მოძრაობა: „არანაკლები მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნას, რომელიც პასუხობს ადამიანთა მოთხოვნილებებს. ასეთად სოციალური საბაზრო მეურნეობა მიგვაჩნია„.

ხელისუფლებაში მოსვლამდე, ხელისუფლებაში ყოფნისას და საპარლამენტო ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იყო და არის სრული ანტიპოდი ქართული ეროვნული მოძრაობისა, არც ღირებულებებში, არც ფორმასა და არც შინაარსში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არ ყოფილა და არ არის ქართული ეროვნული მოძრაობა. ის ადამიანები, ვინც დღეს არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ ხელმძვანელობაში დღესაც აქტიურად უპირისპირდებიან რაიმე გამოვლინებასაც კი სოციალური საბაზრო მეურნეობისა. ლიბერტარიანიზმის ადეპტებს რა ზნეობრივი აღორძინება ძალუძთ, რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით? არანაირი!

მნიშვნელოვანია, რომ ამ ყალბი პათოსით გამოვიდნენ არა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ან მოძრაობის გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილი, არამედ მოძრაობის სიით პარლამენტში შებრძანებული ნუგზარ წიკლაური და გიორგი ვაშაძე. ნათელია, რომ ეს ფანდი ამ დეპუტატთა მხრიდან იმიტომ იქნა გაკეთებული, რომ მოძრაობის პოლიტიკურ მოთავეებს პოლიტიკური მანევრისთვის მაქსიმალურად ფართო მოედანი ჰქონდეთ. მათ ამ ყალბ პათოსს, არც არასდროს უწერია განხორციელება, თუნდაც იმის გამო, რომ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!„

როგორ იძარცვებოდა საქართველოს თავდაცვა

სსრ კავშირის დაშლის შემდგომ საქართველო, ე. წ. სამხედრო და ე. წ. სახელმწიფო საბჭოების მიერ უზურპირებული ხელისუფლების პირობებში დიდი ძარცვის ობიექტი გახდა; ქვეყანაში კანონიერი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა სათანადო თავდაცვითი ძალების ფორმირება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკას გააჩნდა სრულიად გამართული და ეფექტური ჰაერსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა. აქ იყო სამეთაურო პუნქტები, საბრძოლო პოზიციები, აეროდრომები, სამხედრო ქალაქები. საქართველოს ცის დაცვა შეეძლო 1 საზენიტო სარაკეტო–საარტილერიო დივიზიას, 3 საზენიტო–სარაკეტო ბრიგადას, 2 საზენიტო–სარაკეტო პოლკს, 2 საზენიტო–საარტილერიო პოლკს, 2 ავიაგამანადგურებელ პოლკს, 3 რადიო–ტექნიკურ ბრიგადას, 1 რადიოტექნიკურ ბატალიონს.

ოჩამჩირეში არსებობდა საზენიტო სარაკეტო–საარტილერიო პოლიგონი 4 სამხედრო ქალაქით, საველე ბანაკითა და სხვა სასწავლო ობიექტებით. დედაქალაქში იყო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის განსაკუთრებული არმიის შტაბი. ედუარდ შევარდნაძის, თავდაცვის ე. წ. მინისტრის თენგიზ კიტოვანის და „მხედრიონის“ მეთაურ ჯაბა იოსელიანის მოღვაწეობის შედეგად ეს ყველაფერი გაიძარცვა და გატანილ იქნა საქართველოდან. ასევე გაყვანილ იქნა საზღვაო ხომალდების ბრიგადა ქ. ფოთიდან, ხოლო ნაპირზე არსებული მთელი ინფრასტრუქტურა გაიძარცვა და განადგურდა.

1992 წლის აპრილ–ივნისში ქ. ცხინვალთან და 1992–1994 წლებში აფხაზეთში მებრძოლი ქართველები მუდმივად უჩიოდნენ საბრძოლო მასალების ნაკლებობას, მაშინ როცა ქვეყანაში იყო 2 საოლქო და 3 სადივიზიო საწყობი. ქ. ახალციხეში 850 ვაგონი, ქ. ბათუმში 200 ვაგონი, ქ. ახალქალაქში 200 ვაგონი, ქ. ხაშურში 800 ვაგონი.

ამდენი საბრძოლო მასალის მქონე რესპუბლიკამ დაკარგა ტერიტორიული მთლიანობა. მაგალითისთვის უნდა ითქვას, რომ სომხეთის რესპუბლიკაში იყო სულ 600 ვაგონი საბრძოლო მასალა. საქართველოს ჰქონდა 5 გამართული სამხედრო აეროდრომი, სომხეთს არცერთი. ეს ფაქტები ნათლად ადასტურებენ, რომ 1992–1994 წლებში ქართველი მებრძოლები ღალატის მსხვერპლი გახდნენ და მათ წინააღმდეგ არა მარტო ფრონტის ხაზზე, არამედ ზურგშიც იბრძოდნენ მოღალატე პუტჩისტები.

მიხეილ სააკაშვილის შეუსრულებელი განკარგულება

2004 წლის 21 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა №147 განკარგულება „1991–1993 წლებში ხელისუფლების უკანონო შეცვლასთან დაკაშვირებული მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“.

„შეიქმნას საქართვლეოში 1991–1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევი (1991–2003 წლებში მომხდარი და სხვა) მოვლენების შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ივანე მერაბიშვილი –კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები: ზურაბ ადეიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი ანდრიაძე, მანანა არჩვაძე–გამსახურდია, ტარიელ ფუტკარაძე, მანანა ტაბიძე, მერაბ რაფავა“.

9 წელი გავიდა და კომისიის მუშაობისა და შედეგების შესახებ დღემდე ჩამი–ჩუმიც კი არ ისმის!

კიდევ ერთი შეუსრულებელი დაპირება

„შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მერვე მოწვევის პარლამენტში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოაჩინა ბიძინა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური კოალიციის „ქართული ოცნების“ სახე. „შრომის კოდექსი“, მათ მიერ შეტანილი ცვლილებების შემდეგ კვლავ დარჩა მშრომელთა ექსპლუატაციის დოკუმენტად. გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის ტარიფების დაპირებულ განახევრებით, რეალურად მოხდა ტარიფები მიზერული შემცირება. ასევე „შრომის კოდექსში“ მხოლოდ ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომელმაც ფაქტიურად არ უზრუნველყო მშრომელთა თანასწორუფლებიანობა. პრემიერ–მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ კოდექსი კვლავ იქნება დამსაქმებლის სასარგებლოდ გადახრილი. ამის მიზეზად მან ინვესტორებისთვის მადის არ დაკარგვა დაასახელა. ბიძინა ივანიშვილი სიტყვით ემიჯნება „ლიბერტარიანიზმს“ და სიმპატიას გამოხატავს სოციალ–დემოკრატიისადმი, მაგრამ საქმით საპირისპიროს აკეთებს. მისი არგუმენტი საგარეო ინვესტორებთან დაკაშვირებით უპირისპირდება 1977 წლის ნოემბერში შრომის საერთაშორისო ბიუროს ადმინისტრაციული საბჭოს მიერ მულტინაციონალური საწარმოებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ მიღებულ სამმხრივი (მთავრობა, ბიზნესი, პროფკავშირები) პრინციპების დეკლარაციას, რომელიც აცხადებს: „როდესაც მიმღები ქვეყნის მთავრობა უცხოური ინვესტიციების მისაღებად წარმოადგენს სპეციალურ სტიმულებს, ეს სტიმულები თავის თავში არ უნდა შეიცავდნენ მუშაკთა გაერთიანების თავისუფლების ან ორგანიზების უფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების წარმართვის უფლების არავითარ შეზღუდვას“.

საქართველო უკვე ორი ათეული წელია, რაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია და აღნიშნული პრინციპების დეკლარაცია საქართველოს მთავრობის საყურადღებო დოკუმენტიც არის, თუ მას არ უნდა ქვეყანაში ლუმპენიზაციის ზრდა.

ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი „ლიბერტარიანიზმის“ დოგმების – „ბაზარი ღმერთია“ და „ადამიანი ბაზრისთვის“ – შესაბამისად მოქმედებდა. დღეს რეალობაა, რომ ამავე ტალღაზე ზის კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი. მერვე მონვევის პარლამენტში დღემდე განხილულიც კი არაა ისეთი უმნიშვნელოვანესი კანონ–პროექტები, როგორიც არის „განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, სოციალური და იურიდიული დაცვის სფეროში გარანტირებული სტანდარტების შესახებ“ და „შრომითი დავების არბიტრაჟის შესახებ“.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და მიხეილ სააკაშვილმა დაბლოკეს შრომის საერთაშორისო კონვენციებისა და ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) რატიფიცირების გაგრძელება. საქართველოს რატიფიცირებული აქვს სულ 16 კონვენცია, როცა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, რომელიც სულაც არ ითვლება „დემოკრატიის შუქურად“, – ოთხჯერ მეტი. კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი არანაირ დაინტერესებას არ იჩენენ ისეთი გადაუდებლად აუცილებელი კონვენციების რატიფიცირების საკითხში, როგორიცაა №81 „შრომის ინსპექციის შესახებ“, №102 „სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური ნორმების შესახებ“, №103 „დედობის დაცვის შესახებ“, №130 „სამედიცინო დახმარებისა და ავადმყოფობისას შემწეობის გაწევის შესახებ“, №135 კონვენცია და №143 რეკომენდაცია „მშრომელთა წარმომადგენლების შესახებ“, №154 კონვენცია და №163 რეკომენდაცია „კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ“, №158 კონვენცია „მეწარმეთა ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“, №162 რეკომენდაცია „მოხუც მშრომელთა შესახებ“. ასევ დღემდე არანაირი ყურადღებას არ იჩენენ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებულის) ისეთი დებულებების რატიფიცირების მიმართულებით, როგორიც არის: „უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობები“, „ოჯახის სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვა“, „ხანდაზმულთა სოციალური დაცვა“, „დაცვა დასაქმების შეწყვეტისას“, „შრომით დაწესებულებებში მუშაკთა წარმომადგენლების მიერ დაცვის განხორციელება და მათთვის მინიჭებული შეღავათები“, „უფლება საცხოვრებელ ადგილზე“ და სხვა.

გააგრძელა რა წინა მთავრობის კურსი, ბიძინა ივანიშვილის თავმჯდომარეობით მოქმედმა მთავრობამ, ვერაფერი მოუხერხა შრომის ბაზრის პოლარიზაციას, სოციალურ–ეკონომიკური ნორმატივების რეგრესს და საერთო სოციალურ სტაგნაციას, რომლის ერთ–ერთი საშინელი გამოვლინებაა შრომის უსაფრთხოების ინსპექციის არარსებობა. შედეგად მივიღეთ ყოველწლიურად რამდენიმე ათეული მუშის დაღუპვა და რამდენიმე ასეული მუშის დაინვალიდება სამუშაო ადგილებზე. უხვად გაიცემა რამდენიმე წელში ეკონომიკური „სასწაულის“ მოხდენის დაპირებები. ადამიანის შრომისადმი „ლიბერტარიანული“ დამოკიდებულების საპასუხოდ კარგად აქვს ნათქვამი XIX საუკუნის ამერიკის დიდ პრეზიდენტს აბრაამ ლინკოლნს: „შრომა კაპიტალის წინაპირობაა და არ არის მასზე დამოკიდებული, კაპიტალი მხოლოდ შრომის ნაყოფია და ვერასოდეს იარსებებდა, შრომა მასზე ადრე რომ არ ყოფილიყო, შრომა კაპიტალზე უფრო მაღლა დგას და შეუდარებლად მეტ პატივისცემას იმსახურებს“.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა კი დაპირებული ცვლილებები „შრომის კოდექსში“ უცილობლად უნდა გაატარონ, რადგან როგორც აბრაამ ლინკოლნი ამბობდა: „ყველაფერი, რაც ემსახურება მშრომელებს, ემსახურება ერს! ყველაფერი რაც ვნებს მშრომელებს, ისე ვნებს ქვეყანას, როგორც სახელმწიფო ღალატი!“

გვერდი მოამზადა დავით არაბიძემ

თავისუფალი ტრიბუნა

ჩემი ნააზრევი

26 მაისის – ისტორიულად დატვირთული თარიღებიდან უმნიშვნელოვანესია:

26 მაისი – 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა პირველად მოხდა;

26 მაისი – კოსტავას დაბადების დღეა და ბედნიერია ის ერი, ვისაც ასეთი შვილი უჩნდება;

26 მაისი – საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას არჩევის დღეა;

26 მაისი – გოლგოთასა და ბარაბას ღამე – ნაცრეჟიმის მხრიდან, რომელიც დღემდე ვერ შეფასდა... თუმცა შეუფასებელი ბევრი რამ გვაქვს საქართველოს უახლოეს ისტორიაში:

1991–1992 წლები... პირველი პრეზიდენტის ბურუსით მოცული მკვლელობა... და ახლა კვლავ მივუბრუნდები 19 მაისის შეკრებას, მით უმეტეს, რომ მე ხელთა მაქვს „რეზოლუცია“, რომელიც იმ დღეს დარბაზში, სადაც საზოგადოება ითხოვს სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას... ამ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა ერთი ქალბატონი, რომლის მეუღლე იმ 1991–92 წლების რეჟიმის მსხვერპლი გახლდათ და ეს ქალბატონი სწორედ ამას აპროტესტებდა... ბევრმა გაიზიარა ჩემს გარშემო მისი გულისტიკვილი და მეც ვსვამ კითხვას: – რატომ არ ვითხოვთ შევარდნაძის რეჟიმის გასამართლებას?! არადა ფაქტია, რომ ვიდრე არ შეფასდება ეროვნული მოძრაობის, როგორც კანონიერი უზენაესი საბჭოს და პრეზიდენტ გამსახურდიას როლი საქართველოს უახლოეს ისტორიაში და საზოგადოება, ვისაც ეს ხელეწიფება არ დააყენებს ამ საკითხს ფართო მასშტაბით, როგორც ეს დღეს გახდა სპორტის სასახლეში – მე ერთი, რიგითი, მოკვდავი მოქალაქე ჩემი ქვეყნისა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: – 20 წელზე მეტია „დავდიავართ წრეზე“... და კიდევ დიდხანს ვივლით, ვიდრე არ ვაღიარებთ, რომ კრემლისა და ამერიკის ინტერესებში შედიოდა სულმნათ მერაბის მოცილებით მისი სულიერი ძმის ზვიადის დასუსტება... კრემლში იჯდა „ის“, ვინც 9 აპრილის გამთენიისას „თვითმფრინავში იჯდა“... კრემლის კარები აატალახეს მოქკავშირის „მამებმა“, ვიდრე „მეორედ“ არ მოუვლინეს საქართველოს შევარდნაძე. რუსეთ–ამერიკის შეთანხმებითა და რუსეთის ფულით მოხდა პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახის განდევნა საქართველოდან, რუსული იარაღით სდიეს მას ხუნტის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ტყე–ღრე და დღემდე ბურუსითაა მოცული მისი მკვლელობა. აი, სწორედ იმ ერთმა ქალბატონმა შეაფერხა 19 მაისს სპორტის სასახლეში სააკაშვილის 9–წლიანი რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით შეკრებილ ხალხს 90–იანი წლების რეპრესიები, რომლის მსხვერპლი იყო მისი საკმაოდ ახალგაზრდა მეუღლე იმ 22 წლის წინ.

მე, მქონდა პატივი ჩემი 10 წლიანი ემიგრაციაში ყოფნის დროს საბერძნეთში, კერძოდ ათენში შემეძინა ჩემსავით იქ ემიგრირებული მეგობრები, ვინც დღემდე ერთგული დარჩა ეროვნული ხელისუფლების მიმართ. სულ ახალხანს 600–ზე მეტი ხელმოწერით „ასავალ–დასავალმა“ დაბეჭდა წერილი, რომელიც მე მივიტანე რედაქციაში (ჟურნალისტი გიორგი გიგაური) „ელადელი“ ეროვნული მოძრაობის ერთგული ადამიანები ითხოვდნენ ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენას პირადობის მოწმობაში. დიახ, სულ ახლახან კიდევ ერთი წერილი გამოგზავნეს „ასავალ–დასავალში“, რომლის ადრესატი დღევანდელი ხელისუფლება და მისი თავკაცი ბატონი ივანიშვილია! იქვე ჩემი მისამართით გამოგზავნილი წერილიცაა, სადაც მთხოვენ ყველგან მივაწოდო ხმა, რომ შეფასდეს კანონიერი გზით მოსული პირველი ხელისუფლების დამხობის წლები! დიახ!.. აქედან თუ დავიწყებთ, აუცილებლად შევძლებთ იმ მოჯადოებული წრის გარღვევას, რომელიც უკვე 22 წელია, ვერ გადაგვილახია!!! დიახ, ჩვენ ის თაობა ვართ, ვისაც უფლება გვაქვს ვისაუბროთ იმ ბედნიერ დღეებზე, რასაც ეროვნული ჰქვია და ჩვენივე ბედოვლათობით 19 აპრილს ეს სიტყვა იმ რეჟიმმა იხმარა, ვინც 9 წელიწადი და უფრო ადრე 13 წელიწადი მის სრულ დასამარებას ცდილობდა!

ნინ 26 მაისია! მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ისტორიაში შესვლის დღე! მართალია სხვადასხვა მნიშვნელობით, მაგრამ მათ ხომ ერთი რამ აკავშირებდათ, რასაც საქართველოს უკიდეგანო სიყვარული ჰქვია. სწორედ ეს არ აპატიე ამ ღმერთკაცებს და აკი მოვიმკეთ კიდეც: – წრეზე ტრიალი და გაურკვეველი მომავალი! თუ გონს მოვეგებით ჯერ კიდევ გვაქვს შანსი გადარჩენისა. ყველას მოვუწოდებთ მე და ჩემი ემიგრანტი მეგობრები – შევხვდეთ ერთმანეთს ამ დღეს მთაწმინდაზე, სადაც მათი წამებული სხეულებია დავანებული... შარშან, ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებულს ბევრი უსიამოვნო ფაქტი მომხვდა თვალში ამ წმინდა ადგილზე გასულს. წარსულს გავატანოთ ძველი წყენა და გავერთიანდეთ! ეს ეხება დღევანდელ ხელისუფლებასაც თავის ე. წ. ოპოზიციასთან ერთად! ნუ ვეძებთ „ადგილს და ფორმას“ ამ დღის აღსანიშნავად... ამას არც პარლამენტის ტრიბუნიდან მსჯელობა ჭირდება! ჩვენ გვაქვს კოლხური კოშკი... მერაბ კოსტავს ისტორიული ეზო... რუსთაველი და მთაწმინდა გვაქვს ზღვის წვეთად უამრავი შინდისფერი დროშა... მადლობა ღმერთს, რომ დღეს პატიმრობიდან თავისუფლია ბატონი ცოტნე გამსახურდია, ვინც ყაზბეგიდან, კოლხურ კოშკამდე და მერე მთაწმინდამდე ამ დროშების ლივლივში ატარა გმირი მამის წამებული სხეული და ღირსეულად მიაბარა იგი მთაწმინდის მიწას! მერაბთან ახლოს... ილიასთან ახლოს... დიდ მამულიშვილებთან ახლოს... აი, ასეთი უნდა იყოს 26 მაისი, იგი ხომ ღმერთკაცების დღეა ისტორიული პერიპეტიებით... ისტორია კი ისეთი აქვს საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე, როგორიც ეკადრება მის ერს! აკი ვაჩვენეთ კიდეც იგი მთელს მსოფლიოს 17 მაისს.... და არა მარტო 17 მაისს... წინ ბევრი სირთულეა გადასალახი, რომელიც სიმართლით უნდა გადაილახოს!

დიახ! ასეთი საქართველო ეკადრება მერაბს და ზვიადს, რომელთაგან ამ დღეს ერთს დაბადების თარიღი აჩუქა უფალმა და მეორეს პირველი პრეზიდენტობა!

მოვუფრთხილდეთ ამ თარიღს და ერთმანეთს... ესაა ჩვენი ვალი სამშობლოს წინაშე, მომავალი თაობის წინაშე, იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც დღემდე შეგვინარჩუნა ენა, მამული, სარწმუნოება.

ეთერ ხვიჩია–ჯოხაძე

ხიზნების მიმართვა ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მოგესალმებით ელადის ხიზან იმ ქართველ მამულიშვილთა სახელით, რომელთათვისაც მშობლიურ ფესვებს დროებით მოწყვეტის მიზეზი არ ყოფილა მხოლოდ ეკონომიური გასაჭირი, ჩვენ აქ „სულის ტკივილმა“ გადმოგვხვეწა!...

შევარდნაძე–სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა სამშობლო ჯოჯოხეთად გვიქცია და აუტანელი გახდა სამშობლოში ჩვენი ცხოვრება... თუმცა ვაი, რომ აქაც არა გვაქვს დალხინებული ყოფა!!!

აქ ჩვენი უმძიმესი შრომით, არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ ახლობლებსაც ვუმსუბუქებთ მანდ გაუსაძლის ყოფას. ჩვენი წყალობით იხდიან ისინი გადასახადებს, სწავლის ქირას, ყიდულობენ სურსათს, ტანსაცმელს, წამლებს, ჩვენი ფული შედის ბიუჯეტში; უცხოეთიდან შემოტანილი სახელმწიფო სესხები და დახმარებები კი მხოლოდ ხელისუფალთა კეთილდღეობას ხმარდება!... არა და, ბევრი არ იშურებს ჩვენთვის უარყოფით ეპითეტებს... ზოგმა ლამის მოღალატეებადაც გამოგვაცხადონ, რაც ძალზე მძიმე ბრალდებაა, დამნაშავენი კი ნამდვილად ვართ, რადგან მთავრობის საკეთებელი ჩვენ ვაკეთეთ და მანდ დარჩენილებს ქვეყნის დამღუპველი მთავრობების ატანა გავუადვილეთ!...

ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ სისხლიან ხუნტაზე ამოზრდილი ყველა მთავრობა, ისეთივე დამაქცევარი იქნებოდა ქვეყნისათვის, როგორიც შევარდნაძისა და სააკაშვილისა იყო, მაგრამ მაინც იმედით შევხვდით ბატონ ბიძინა ივანიშვილის მოსვლას ქართულ პოლიტიკაში და გაგვახარა არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ. თუმცა, მისი გარემოცვა იმთავითვე გვაფიქრებდა და ახლაც გვაფიქრებს!...

უმორჩილესად გთხოვთ, მიაწვდინოთ ჩვენი ხმა ბატონ ბიძინას, გვინდა იცოდეს, რომ ჩვენ მისგან, უპირველესად სამართლიანობის აღდგენას, დამნაშავეების კანონის შესაბამისად დასჯას. ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ყველა ქმედების აღმოფხვრას მოველოდით და სიმართლე გითხათ, იმედგაცრუებულნი დავრჩით!!!

ჯერჯერობით, „ქართული ოცნება“ კი არ, სააკაშვილის „ნაციონალური“ ბანდის ოცნება სრულდება – საქართველო უქართველოდ რჩება!!

ჩვენ იძულებით შეხიზნული ვართ უცხო ქვეყნებს, ჩვენს სამშობლოში კი უცხოტომელები მოდიან და ადვილად მკვიდრდებიან. მათთვის ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური ცხოვრებისათვის!!!

ბატონო ბიძინა, გემუდარებით, საბოლოოდ ნუ მოუკლავთ ქართველებს თქვენს მიერ გაცოცხლებულ იმედს!!!

ა) ჩააბარეთ წარსულს „ნაციონალური“ სისტემა, დაასრულეთ ორხელისუფლებიანობა;

ბ) სწორი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცით 1991–1993 წლების სისხლიან მოვლენებს. დამნაშავენი დაისაჯოს (სისხლიანი ხუნტის წევრთა დაუსჯელობამ შვა სააკაშვილი და მისი ბანდა);

გ) მკაცრად დაისაჯონ სააკაშვილის მთავრობის მაღალჩინოსნები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს;

დ) შეწყდეს ქართული მიწების გაყიდვა უცხოტომელებზე, ყველაფერი იღონეთ, უკვე გაყიდულის უკან დასაბრუნებლად;

ე) შეწყდეს თბილისის გარეუბანში „ჩინური ქალაქის“ მშენებლობა (ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩინელები დამკვიდრდნენ საქართველოში, თორემ ჩვენი ქვეყანა რუკიდან გაქრება);

ვ) პასპორტსა და პირადობის მოწმობაში დაგვიბრუნეთ ეროვნება და მამის სახელი;

ზ) არ დაუშვათ სომხურისა და აზერბაიჯანულის რეგიონალურ ენებად დაკანონება;

თ) საკმარისად მიიჩნიეთ საქართველოში ამ ბოლო წლებში აშენებული მეჩეთები!!!

ბატონო ბიძინა, გავკადნიერდებით და ერთ ჩვენთვის საიმედო დოკუმენტსაც შეგახსენებთ: ეს გახლავთ 1992 წლის 13 მარტით დათარიღებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა ევროპის თანამეგობრობის საბჭოებისადმი“, სადაც გარკვევით წერია: „საქართველოს რესპუბლიკა არ კისრულობს პასუხისმგებლობას უკანონო ხელისუფლებასთან დადებულ არც ერთ შეთანხმებაზე“ (შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლება დიახაც, რომ უკანონო იყვნენ).

ეს მიმართვა, რომელიც საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა პრეზიდენტმა, ეროვნულმა გმირმა ზვიად გამსახურდიამ დაგვიტოვა, იქნებ, მართლაც ის ჯადოსნური განძია, რომლის შესახებაც ამ რამდენიმე წლის წინ ერთმა ძალიან ნიჭიერმა ჟურნალისტმა თქვა: „თუ საქართველოს გადარჩენა უწერია, ამ დოკუმენტმა უნდა გადაარჩინოსო!“

იმედით და მოკრძალებით: ***ფატი კახაშვილი, სვეტა მჟავანაძე, თამარ შენგელია, ელეონორა წითაძე, რუსუდან გეგეშიძე, ნანულ კუბლაშვილი, ნინო სუთიაშვილი, ცისანა ეკიბაძე, მაყვალა ჟორჟოლიანი, ლ. ახალაძე, ლამარა მაჩიტიძე (ელადის ხიზანი თანამემამულეების სახლით).***

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის

ღია წერილი

რუსეთის ფედერაციის დისიდენტს, ადამიანის უფლებათა დამცველს ქ-ნ ვალერია ნოვოდვორსკაიას

სიყალბეზე გარჯა ცვლის ჭეშმარიტების უზენაესობას!

დღეს, მძიმე შიდა პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენიტეტისთვის მებრძოლმა მამულიშვილებმა დუმილი ვარჩიოთ, ტაში დავუკრათ სამხედრო საბჭოს პოლიტიკურ მემკვიდრედ ქცეულ ,,დემოკრატ-რეფორმატორ“ ნაცმოძრაობის ვანდალიზმს, რომელმაც ე. შევარდნაძის აქტიური პოლიტიკიდან ,,მოსაცილებლად“ და სახელისუფლო სადავეების მოსაპოვებლად მიწასთან გასწორებული მოსახლეობა მოიმხრო ,,სამართლის აღდგენის“ ლოზუნგით.

სამართლის, რომლის მოსპობაც 90-იან წლებში რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა! ამაზე მეტყველებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა (საქართველო-რუსეთის) პრეზიდენტების შეხვედრა ყაზბეგში, რაც მცირე დროში რუსი გენერლების, რუსული იარაღის ,,წყალობით“ და რუსეთის რეგულარული არმიის მეშვეობით (ბალტინის სამხედრო ფლოტის) სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა კიდეც.

ეს მაშინ! მეოცე საუკუნის დასასრულის მორიგი რუსული ისტერია და ძალადობის ესკალაცია თავისი შედეგებით: AKC-ით დახვრეტილი მანიფესტაციები; ათასობით აოხრებული ოჯახი; პოლიციის სამმართველოს VI განყოფილების მიერ წამების საბჭოური მეთოდების ამოქმედება (გაუპატიურება, ელექტროსაწამებლის გამოყენება, ადუღებული წყლით ჩვენებების გამოძალვა და სხვა). ვიმეორებთ – ეს მაშინ! ,,დემოკრატ“ ელცინის ფარული, თუმც გახმაურებული შოვინისტური თავდასხმა დამოუკიდებელ სახელმწიფოზე – საქართველოზე!

და შემდეგ: ე.წ. პოლიტიკურ მოვლენათა ციკლში დღესაც მიმდინარეობს მცდელობა ხალხის არჩევანის ფეხქვეშ გათელვისა (როგორც მაშინ!).

ადგილი აქვს სამოქალაქო დაპირისპირების წახალისებას შიდა და გარე ძალების მიერ (ეს, როგორც მაშინ!). ამ დროისთვის: დაპირისპირების სათავეში ,,დემოკრატ-რეფორმატორთა“ მანტიით შემოსილი მ. სააკაშვილი თავისი „ნაცმოძრაობით“, რომელმაც ,,სამართლის აღდგენის“ ლოზუნგს ურცხვად ჩანაცვლა ,,ნულოვანი ტოლერანტობისა“ და ,,ადგილზე ლიკვიდაციის“ პოლიტიკა. ამით ხალხის ნდობით აღჭურვილმა განაგრძო სამხედრო საბჭოს ძალადობრივი გზა ძალადობის კულმინაციისაკენ!

მცირე დროის შედეგი: – სისხლის გუბეებად ქცეული თბილისი, რეგიონები (ქუჩებში ადგილზე ლიკვიდირებული ახალგაზრდების სახით), რამაც ქართველ ხალხში გამოინვია ისევ და ისევ სერიოზული პანიკა, შიში. ამ მოვლენის კვალდაკვალ მოსახლეობა უიმედობის ქარცეცხლში გაეხვა, რადგან დემოკრატიულმა სახელმწიფოებმაც მიმდინარე ვანდალიზმზე დუმილი ამჯობინეს და მათ შორის თქვენც, ქალბატონო ვალერია!

ამ დროს თქვენ, ქალბატონო ვალერია, დემოკრატიულ სასელმწიფოთა ლიდერებისაგან განსსვავებით, სსვა მანტია გქონდათ მორგებული - საბჭოთა იმპერიის დისიდენტობა!!! ეს მანტია ყველა დემოკრატი ლიდერის მანტიაზე მაღლა დგას თავისი არსით. დიახ, ასეა და მისმა მრავლისმომცველმა სტატუსმა (თქვენის სახით) თავი იჩინა მაშინ, როცა კრემლისგან ინსპირირებული ბნელი ძალა სპობდა ერსა და ქვეყნის ფასეულობას: თქვენ ჩამობრძანდით (1992-93 წ.) და ამით თქვენი დისიდენტური ძახილი იყო ნამდვილად ჭეშმარიტი ქმედება. სწორედ თქვენ ამცნეთ ევროპის ქვეყნებს სამხედრო საბჭოს ბარბაროსობა, რისთვისაც ერი მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა თქვენი დისიდენტური ჭეშმარიტების მიმართ.

სამწუხაროდ, დრომ თუ მოვლენამ თქვენი ძლევამოსილი ხმა ,,დემოკრატ-რეფორმატორთა“ ქმედებების (2007 წ. 7 ნოემბერი; 2011 წლის 26 მაისი; სისტემის ტრაგედია - ციხის კადრები) მიმართ, სადღაც პოლიტიკურ, ვიწრო ამბიციაში შთაინთქა და ის დისიდენტური მანტიის არსი ამ დროისთვის სამარცხვინო კრახით ამთავრებს თავის მისიას (როგორც თავის დროზე დისიდენტ სახაროვს დაემართა თავისი რუსული შოვინიზმიდან გამომდინარე).

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, თქვენმა დამოკიდებულებამ და თავად მოღვაწეოსის ეტაპებმა დღეს მთელი სერიოზულობით გაგვიჩინა კითსვა: რაში მდგომარეობდა თქვენი მაშინდელი მისია (1992-93 წ.)? ან იქნებ ,,დემოკრატ“ ელცინის ძალადობრივი პოლიტიკის ნამუსის მოსაწმენდად იღწვოდით ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ჩვენ ეს აღვიქვით, როგორც დისიდენტის დისიდენტური მოვალეობა?

ვაცხადებთ! საქართველო დროებით ტერიტორიამორღვეული დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მოსახლეობამ ცივი უარი თქვა „დემოკრატთა“ ეგიდით ვანდალიზმზე. არჩევანი ახალ ხელისუფლებაზე შეაჩერა და თქვენ არავითარი უფლება არ გაქვთ, ელცინის მსგავსად ჩაერიოთ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში. ელცინის პოლიტიკის მემკვიდრეობა არ არის დისიდენტობა!

გახსოვდეთ! ჭეშმარიტება ერთია! – ეს არის ქართველი ხალხის ხმა - „ახალი ხელისუფლება“!!! ნახევარჭეშმარიტება კი, სიყალბე! სწორედ სიყალბეა, დღეს უკვე ე.წ. ოპოზიციაში გადაბარგებული ,,დემოკრატ-რეფორმატორთა“ ყიჟინი.

სიყალბისთვის გარჯა ცვლის ჭეშმარიტების უზენაესობას!

საუდაკ-ის ლიდერი: თამარ დადიანი

საუდაკ-ის აღმ. დირექტორი: გია ჩუთლაშვილი

წვალება, სიკვდილი და დასაფლავება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

(მათ. 26, 27, თ. მარკ. 14, 15, თ. ლუკ. 22, 23 თ. იოან. 18 19)

იესო ქრისტემ სამი მოწაფე – პეტრე, იაკობ და იოანე გეთსამანიის ბაღში წაიყვანა; იქ ქრისტე სწუხდა და სამჯერ პირქვე მიწაზე დავარდა და ილოცა: „მამაო! უკეთუ შესაძლებელ არს, თანა წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე. ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“. ანგელოზი გამოეცხადა მას და განაძლიერებდა.

ამ დროს ბაღში შემოვიდა იუდა; მან მოიყვანა ჯარის კაცნი და მღვდელ–მთავართ მსახურნი და უთხრა მათ: „რომელსაც მე ვეამბორები, იგი შეიპყარით“. იუდა მივიდა იესოსთან, ეამბორა მას და უთხრა: „გიხაროდენ, მოძღვარ!“ მაშინ მოსამსახურეებმა და ჯარისკაცებმა შეიპყრეს იგი, შეკრეს და წაიყვანეს ურიების მღვდელ–მთავართან, ხოლო მისი მოწაფენი შიშისაგან გაიფანტენ.

ქრისტე პირველად მიიყვანეს მღვდელ–მთავარ ანნასთან, და მერე კაიაფასთან; აქ გამოცხადდენ ცრუ მოწმენი, მაგრამ იესოს ვერაფერი დაუმტკიცეს. მაშინ კაიაფა მღვდელ–მთავარმა უთხრა მას: „გაფიცებ შენ ღმერთსა ცხოველსა, გვითხარი, შენ ხარ ქრისტე ძე ღვთისა?“ იესომ ამაზე უპასუხა „მე ვარ, და ამიერიდან იხილოთ ძე კაცისა, მჯდომარე მარჯვენით ღვთისა და მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა“. ეს რომ გაიგონა კაიაფამ, შემოიგლიჯა ტანისამოსი და დაიყვირა: „რაღათ გვინდა კიდევ მოწმენი? თქვენ თვითონ ხომ გაიგონეთ მისგან ღვთის გმობა. თქვენ როგორ გგონიათ? ყველამ მიუგო: „სიკვდილის ღირსია“. მაშინ მოსამსახურეებმა გამოიყვანეს იესო გარეთ და დაუწყეს მას დაცინვა: აგინებდნენ, სცემდენ და აფურთხებდენ პირში. იესო ითმენდა და ჩუმათ იყო.

პარასკევ დილას იესო ქრისტე წაიყვანეს პონტოელ პილატესთან, ურიასტანის მართველთან, რომ მას სასიკვდილო განაჩენი დაემტკიცებია. პილატემ ურიების მღვდელ-მთავრებს ჰკითხა: „რა ბრალსა სდებთ ამ კაცს“? იმათ მიუგეს: „ხალხს რყვნის, თავის თავს მეფედ უწოდებს და ხალხს კეისრისთვის ხარკის მიცემას უკრძალავს“ პილატემ ჩვენება ჩამოართვა იესოს, მაგრამ ვერაფერი ბრალი ვერ ჰპოვა და უნდოდა მისი გაშვება; მაგრამ ხალხი, მღვდელ–მთავრების შთაგონებით, თხულობდა მის სიკვდილს.

პილატემ ბრძანა ეცემათ მისთვის, ჩაეცმიათ ძოწეული სამოსელი და დაედგათ ეკლის გვირგვინი, ამგვარათ ეჩვენებიათ ის ურიებისთვის. პილატე ფიქრობდა, ამით აღვძრავ მათში სიბრალულსაო. მაგრამ ისინი გასაოცრათ ყვიროდენ: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“! სულ–მოკლე პილატემ ხალხის წინ ხელი დაიბანა და სთქვა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისა, თქვენ იხილეთ“. ხალხმა დაიყვირა: „სისხლი მაგისი ჩვენზედა, და შვილთა ჩვენთა ზედა“. მაშინ პილატემ მისცა იესო ქრისტე ურიებს, რათა ჯვარს ეცვათ იგი.

იესო წაიყვანეს გოლგოთას მთაზე და იქ ორ ავაზაკთა შორის ჯვარ აცვეს. უფალი ჯვარზე ლოცულობდა თავის მტრებისათვის: „მამაო“ მიუტევე იმათ, რამეთუ არა იციან, რასა შვრებიან“. ხოლო მტრებმა იგი ჯვარზედაც არ მოასვენეს. ისინი დაცინვით ეუბნებოდნენ: „იხსენ თავი, თუ შენ ძე ღვთისა ხარ, გადმოდი ჯვრიდან და ჩვენ გერწმუნებით“.

ერთი ავაზაკთაგანი აგრეთვე გმობდა ღმერთს, ხოლო მეორე უშლიდა ამხანაგს და მერე ქრისტეს უთხრა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“. იესომ უთხრა მას: „დღესვე ჩემთანა იყო სამოთხესა შინა“.

ჯვართან იდგენ დედა იესოსი და მოციქული იოანე. უფალმა უთხრა დედას: „აჰა ძე შენი“, ხოლო იოანეს უთხრა: „აჰა დედა შენი“. ბოლოს ქრისტემ სთქვა: „აღსრულდა!“ მან მიიდრიკა თავი და მისცა სული თვისი მამა ღმერთს. ქრისტეს წვალების დროს მზე დაბნელდა. მიწა იძრა, ტაძრის ქრეტსაბმელი ორათ გაიპო, კლდენი გასკდენ, საფლავები გაიხსნა და ბევრი მკვდარი აღსდგა. ყოველივე ამის მხილველი ურიები მკერდზე ხელს იცემდნენ და შინ ბრუნდებოდნენ; ხოლო ასისთავი, რომელიც ჯვართან იდგა, შიშით ამბობდა: „ჭეშმარიტათ ძე ღვთისა იყო იგი“.

პარასკევ საღამოს, პილატეს ნებართვით, იესოს ორმა ფარულმა მოწაფემ – იოსებ არიმათიელმა და ნიკოდიმოსმა – იესოს სხეული ჯვარიდან გარდამოხსნეს, სცხეს მას კეთილსუნნელოვანი ნელსაცხებელი, შეახვიეს იგი არმენაკში (წმინდა ტილოში) და დასდვეს ახალ საფლავში, რომელიც იყო კლდისაგან გამოკვეთილი იოსების ბაღში და საფლავზე დაადვეს დიდი ლოდი.

შაბათს, დილით ადრე, ურიები მივიდნენ პილატესთან და უთხრეს: „ჩვენ გავიხსენეთ, რომ მან, მაცთურმა, სთქვა: მესამე დღეს აღვსდგებიო. უბრძანე საფლავის დაცვა მესამე დღემდი, რომ ღამე მოწაფეებმა არ მოიპარონ იგი და არ უთხრან ხალხს: „აღსდგა მკვდრეთითო“. პილატე დათანხმდა და იესოს საფლავს დაუყენეს მცველნი, ხოლო ლოდი დაბეჭდეს.

აღდგომა იესო ქრისტესი

(მათ. 28, 1–15; მარკ. 16, 1–14; ლუკ. 24, 1–48; იოან. 20, 1–31)

შაბათს შემდეგ პირველ დღეს დილით ადრე უეცრათ მიწა შეიძრა და გამოცხადდა ანგელოზი უფლისა, გადააგორა ლოდი საფლავისაგან და დაჯდა მასზე. ქრისტე აღსდგა და გამოვიდა საფლავიდან. ამ ნახვით თავზარდაცემული მცველნი გაიქცნენ.

იმ დღესვე დილით, ადრე, როცა კიდევ ბნელოდა, ზოგიერთი კეთილმსახურნი დედანი: მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვანი მიდიოდნენ მაცხოვრის საფლავზე, რომ მისი სხეულისათვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაიცა ვერ მოასწრეს დამარხვის დროს. მარიამ მაგდალინელი ყველაზე ადრე მივიდა და დაინახა, რომ ლოდი გადაგორებული იყო; მან იფიქრა, უთუოდ მტრებმა წაიღეს ქრისტეს სხეულიო და გაიქცა ამის სათქმელათ პეტრე და იოანე მოციქულებთან. სხვა დედანიც მოდიოდენ ნელსაცხებლათ; მივიდენ საფლავთან თუ არა, დაინახეს ანგელოზი, რომელმაც უთხრა მათ: „ქრისტე აღსდგა“. დედანი შიშით და სიხარულით უკან დაბრუნდნენ და ეს ამბავი მოწაფეებს აუწყეს, მაგრამ ისინი არ ერწმუნენ მათ. ამასობაში პეტრე და იოანე მოციქულებმა მოირბინეს მაცხოვრის საფლავზე, შევიდნენ საფლავში და დაინახეს, რომ ის ტილო, რომელშიაც შეხვეული იყო უფლის სხეული, ცალკე იდვა; ხოლო სუდარა, რომელიც იყო მის თავზე, იდვა ცალკე შეკეცილი სხვა ადგილზე. ეს რომ იოანემ იხილა, ერწმუნა, პეტრე კი კვირობდა ამ ამბავს; მოციქულები უკანვე დაბრუნდნენ.

აღდგომა დღეს ქრისტე გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს იოსების ბაღში და ორ მოწაფეს, რომელნიც მიდიოდენ ემაურს. საღამოს კი იერუსალიმში ყველა მოწაფეებს გამოეცხადა თომას გარდა. ერთი კვირის შემდეგ ის კიდევ გამოეცხადა ყველა მოწაფეებს, როდესაც მათთან თომაც იყო. თომა ეჭვობდა მის აღდგომას, და ქრისტემ ნება მისცა გაესინჯა მისი ხელები. შემდეგ ამისა გამოეცხადა მოწაფეებს გალილიის ტბის ნაპირზე. ერთხელ ეჩვენა გალილიის მთაზე ხუთასზე მეტ მორწმუნეს. ის ეცხადებოდა მოციქულებს ორმოცი დღის განმავლობაში და ეგაასებოდა მათ ღვთის სასუფეველზე.

ამაღლება ქრისტესი

(მარკ. 16, 19–20; ლუკ. 24, 44–53; საქმ. მოც. 11)

აღდგომის შემდეგ მეთორმეტე დღეს იერუსალიმში იესო ქრისტე უკანასკნელათ გამოეცხადა თავის მოწაფეებს და უთხრა მათ: „დარჩით იერუსალიმში, სანამ არ შეიმოსოთ ძალითა მაღლით. ამ ძალას მიიღებთ, როცა თქვენზე გადმოვა სული წმიდა; მერე წადით და უქადაგეთ სახარება ყოველ კაცს და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“. ამ სიტყვების შემდეგ ქრისტემ აიყვანა ისინი ზეთისხილის მთაზე, აკურთხა და მათ თვალწინ ამაღლდა ზეცად და იქ დაჯდა მარჯვენით მამისა.

მოციქულები იდგენ და ზეცას იხედებოდენ. იმათ გამოეცხადა ორი ანგელოზი. ანგელოზებმა უთხრეს მოციქულებს: „რასა სდგახართ და იცქირებით ზეცას? იესო, თქვენგან ზეცას ამაღლებული, მოვალს ეგრეთვე, როგორც თქვენ იხილეთ იგი აღმავალი ზეცას“. მოციქულებმა თაყვანი სცეს ამაღლებულ ქრისტეს და სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმს.

წიგნიდან „საღვთო სჯული“. ქუთაისი, 1916.

რედაქტორი ლეილა ცომაია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***